საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ლელო

№017
(12 394)
23 იანვარი ოთხშაბათი 2008
გამოდის 1934 წლიდან
ფასი
50 თეთრი



## უდანაკარგო მხოლოდ ოლიმპია

დღეს, მეოთხედფინალში, ბატესთან
თანამეგობრობის თასი პეტერბურგში 2

# გედევანიშვილი ევროპის ჩემპიონატს იწყებს




გუშინ ხორვატიის დედაქალაქ ზაგრებში ფიგურულ ციგურაობაში ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. ჩემპიონატში მონაწილეობას ერთი ქართველი მიიღებს - 18 წლის (7 იანვარს გახდა) **ელენე გედევანიშვილი**. ქალთა შეჯიბრი პარასკევს და შაბათს გაიმართება, მასში 40 სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას. ქართველს ამჟამად **რომან სეროვი** წვრთნის, ქორეოგრაფია **ნიკოლაი მოროზოვი**. ელენე ამერიკაში, ჰეკენსეკში ემზადება. მოკლე პროგრამაში ის „კაბარეს" შეასრულებს, ხოლო თავისუფალში - „სასიყვარულო ისტორიებს". შარშანდელ ევროპის ჩემპიონატზე გედევანიშვილმა მერვე ადგილი დაიკავა, წინა წელს კი - მეხუთე. ამ სეზონში ქართველმა ორ ტურნირში იასპარეზა, „სქეით ამერიკაზე" მან მე-6 ადგილი დაიკავა, NHK ტროფიზე იაპონიაში კი - მერვე.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



# უთანხმოება მწვრთნელსა და ფაჩულიას შორის

ექვსმატჩიანი შესვენების შემდეგ **ზაზა ფაჩულია** მოედანს „პორტლენდთან" მატჩში დაუბრუნდა. იგი თამაშში ელ პორფორდის ნაცვლად, მეათე წუთზე ჩაერთო. მოედანზე გამოვიდა მეორე პერიოდშიც და მესამეშიც, მეოთხის მეორე წუთისთვის კი ქართველს მოედანზე 8 წუთი, 31 წამი ჰქონდა გატარებული და - 1 ქულა ჩაგდებული. გამოცვლისას მან ვერ მოითმინა და მწვრთნელის მისამართით უკმაყოფილება გამოხატა. შეგირდის გაცხარება ვარ აიტანა გუნდის თავკაცმა **მაიკ ვუდსონმა** და ზაზა გასახდელში ნაადრევად გაუშვა. ამ ინციდენტის შესახებ ამერიკულ პრესაში მეტი არაფერია ნათქვამი, არც მწვრთნელს უსაუბრია მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე. უნდა ვივარაუდოთ, რომ მწვრთნელ-მოთამაშემ პრობლემა გასახდელშივე მოაგვარეს.

„ატლანტამ" კი „პორტლენდთან" დამატებით დროში 109:111 დათმო. სადღეისოდ ჯორჯიელებს 17 მოგება აქვთ (20 ნაგების ნილ) და აღმოსავლეთ კონფერენციაში მეშვიდე ადგილზე არიან.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**



## ოთარი ფრაიბურგში დარჩა 3



## ზესტაფონმა სიმურგი დაამარცხა 3

რაგბი. 2,9 თებერვალი.
ერთა თასი.
საქართველო-პორტუგალია
საქართველო-რუმინეთი

# ორივე თამაში უნდა მოვიგოთ!




ინტერვიუ ლევან დათუნაშვილთან 11

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

დსთ-ისა და ბალტიის ქვეყნების ჩემპიონთა თასი

# უდანაკარგოდ მხოლოდ ოლიმპია


ოლიმპი-ვენტსპილსი 3:0

გუშინ, 22 იანვარს „თანამეგობრობის თასზე" ბოლო, მესამე ტურის შეხვედრები გაიმართა და მეოთხედფინალური წყვილებიც გაირკვა.

**A ჯგუფი**

ზენიტი-ლევადია 2:1
შერიფი-აშხაბადი 4:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზენიტი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| შერიფი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:3 | 6 |
| ლევადია | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| აშხაბადი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:6 | 3 |

**B ჯგუფი**

კაუნასი-ტადაზი 5:1
აქტობე-ხაზარი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხაზარი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| კაუნასი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:6 | 6 |
| აქტობე | 3 | 2 | 0 | 1 | 8:4 | 6 |
| რეგარ/ტადაზი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | 0 |

ერთდროულად სამმა გუნდმა, „ხაზარმა", „კაუნასმა" და „აქტობემ" 6-6 ქულა დააგროვეს, მაგრამ პირადი შეხვედრების ხარჯზე, მეოთხედფინალში აზერბაიჯანისა და ლიტვის ჩემპიონები გავიდნენ. ყაზახები თამაშგარეთ დარჩნენ და კიდევ ერთხელ გამოჩნდა, რომ მარტო ფულით კლასს ვერ აიმაღლებ.

„კაუნასის" ძირითადში გამოჩნდა **აკაკი ხუბუტია**, რომელმაც 23-ე წუთზე ყვითელი ბარათი მიიღო. **გია კვარაცხელიამ** თავის საქმე კარგად შეასრულა და 56-ე წუთზე მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეი ზიგმანტოვიჩმა** მეოთხედფინალისთვის დაასვენა. უნდა ვივარაუდოთ, რომ **ნუკრი მანჩხავას** უთამაშებლობაც სიფრთხილით იყო გამოწვეული - მან პირველ დღეს ყვითელი ბარათი მიიღო და გართულებას გაარიდეს.

**C ჯგუფი**

**ოლიმპი-ვენტსპილსი 3:0**

სპორტკომპლექსი პეტერბურგსკი. 300 მაყურებელი.

1:0 ხუბუა (24), 2:0 დელიმინკოვი (32. საკ. კარში), 3:0 პატულა (76).

ოლიმპი: შეყრილაძე, ორბელაძე, სილაგაძე (59. კოვალევსკი), სტეფანიშვილი (46. მახვილაძე), პატულა, ჯოჯუა (66. ომელიანოვი), მეტრეველი, ფარულავა, სეფისკვერაძე (87. გეწაძე), კვარაცხელია, ხუბუა.

ვენტსპილსი: ელტერმანისი (46. ვანინი), პიხოცკი, დელიმინკოვი (52. ციგალკო), მილოშევიჩი, ბესპალოვი, კოსმაჩევი (46. მისიკოვი), პაუნოვიჩი (72. ციგირლაში), რუგინში, დედოვი (39. სოლეიჩუკი), კაჩანოვი, ლადზინში.

არბიტრი: ს. გოროხოვოდაცკი (ყაზახეთი).

გაფრთხილებები: მილოშევიჩი (15), სოლეიჩუკი (75).

გაძევება: მილოშევიჩი (33. მეორე ყვითელი).

საუკეთესო ფეხბურთელები: ლადო ჯოჯუა, რიტვარს რუგირში.

დიდი ხანია ქართული გუნდების საერთაშორისო სარბიელზე ასე დამაჯერებლად არ უთამაშიათ. ტურნირი არ დასრულებულა და დღეს კიდევ ბევრი რამ გამოჩნდება, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - **ანატოლი პისკოვეცმა** უკვე მოახერხა საქართველოს ჩემპიონის ღირსეულად წარმოჩენა. რუსთაველებმა დამაჯერებლად მოიგეს სამივე შეხვედრა და ჯგუფში პირველი ადგილი უშუალო კონკურენტის ძლევით დაიკავეს. სხვათაშორის, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონმა მოახერხა ჯგუფში უდანაკარგოდ ასპარეზობა. ყველა დანარჩენი ჯგუფის პირველადგილოსანმა დაკარგა ქულები.

ლატვიის ჩემპიონთან მოგება ბოლო წლებში მეტად რთული ამბავია. ჩვენ ისიც კარგად გვახსოვს, რამდენიმე წლის წინათ, რიგის „სკონტომ" თბილისის „დინამოს" ორჯერ საკონტროლო შეხვედრებში 6:0 რომ მოუგო. ამდენად „ვენტსპილსის" დამარცხება სასიამოვნო სიურპრიზი აღმოჩნდა.

ქართველები უპირატესობას თავიდანვე ფლობდნენ და უკვე 32-ე წუთისთვის 2:0 დაწინაურდნენ. ლატვიელები ლამის მთელი ერთი საათი კაცნაკლულები თამაშობდნენ, მაგრამ საქართველოს ჩემპიონის მოგება ამას არ უნდა მივაწეროთ. **მილოშევიჩი** ყაზახმა არბიტრმა 33-ე წუთზე გააძევა, როდესაც ქართველები 2:0-ს იგებდნენ.

ანატოლი პისკოვეცმა ძირითადი შემადგენლობის არაერთი ფეხბურთელი დაასვენა, ისევე როგორც, ლატვიელთა მწვრთნელმა **რომან გრიგორჩუკმა**. ქართველთა რეზერვი გაცილებით მაღალი კლასის აღმოჩნდა. **გელა ხუბუამ** 24-ე წუთზე რუსთაველები დააწინაურა. რვა წუთში ლატვიელთა მცველმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, მერე მსაჯმა მილოშევიჩი გააძევა და ფაქტობრივად, შეხვედრაც დასრულდა. დარჩენილ დროს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ქართველეთა უკრაინელმა ლეგიონერმა **სერგეი პატულამ** მესამე ბურთით ლატვიის ჩემპიონის განადგურებას წერტილი დაუსვა და რუსთავის „ოლიმპი" ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდა.

**რომან გრიგორჩუკი**, „ვენტსპილსის" მთავარი მწვრთნელი: *„ნაგება ყოველთვის უსიამოვნოა, თუნდაც, ვარჯიშზე. დღეს ახალგაზრდები გავსინჯე, ბევრი მათგანი საქმეში პირველად ვნახე. შევაფასე, ვინ რად ღირს. გულწრფელად ვულოცავ ქართველებს ჯგუფში პირველ ადგილზე გასვლას და ორივე გუნდის წარმატებას ვისურვებდი. ჩვენ „პახტაკორს" ვხვდებით, საკმაოდ ძლიერ და სწრაფ გუნდს, რომელსაც ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტად შემთხვევით არ თვლიან. ამის მიუხედავად, ვიბრძოლებთ და მეოთხედფინალში გამარჯვებას შევეცდებით."*

**ანატოლი პისკოვეცი**, რუსთავის **„ოლიმპის"** მთავარი მწვრთნელი: *„თავადაც მიხვდებოდით, Dდღევანდელი შეხვედრისთვის განსაკუთრებული სტრატეგია არ გვქონია - ჩვენ წინასწარ გავინაღდეთ ჯგუფიდან გასვლა. ამიტომაც, საკუთარი სიამოვნებისთვის ვთამაშობდით. თუმცა მოგება ყოველთვის სასიამოვნოა. ჩემი ზოგიერთი ფეხბურთელის კმაყოფილი დავრჩი, ზოგიერთისა უკმაყოფილო. საბედნიეროდ, ტრავმებს გადავურჩით. კიდევ მსურს „ვენტსპილსთან" ფინალში შეხვედრა. ვფიქრობ, შეხვედრა სანახაობრივი გამოდგა, იყო ბევრი გოლი და ალბათ, მაყურებელმა თამაშიდან სიამოვნება მიიღო."*

**ოფკ-დორდოი-დინამო 2:0**

ბაჩუკი ფარულავამ და რუსლან უმარაშვილმა „დორდოიში" შეუცვლელად ითამაშეს.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 3 | 3 | 0 | 0 | 8:2 | 9 |
| ვენტსპილსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3:3 | 6 |
| ოფკ | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |
| დორდოი/დინ. | 3 | 0 | 0 | 3 | 2:6 | 0 |

**D ჯგუფი**

ბატე-პახტაკორი 2:1
დინამო-ბანანცი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| პახტაკორი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:2 | 6 |
| ბატე | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ბანანცი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:5 | 1 |

ბელორუსის ჩემპიონმა ბოლო მატჩში იყოჩაღა, კიევის „დინამოს" გადაუსწრო და ამის ხარჯზე შემდეგ წრეში გავიდა. რუსთავის „ოლიმპს" „თანამეგობრობის თასის" მეოთხედფინალში სწორედ ის დაუპირისპირდება. საქართველოს გუნდებს ბელორუსები უკვე მეოთხედ ხვდებიან. სამჯერ უეფას თასზე, ახლა კი ურთიერთობას „თანამეგობრობაზე" გავარკვევთ.

დღევანდელი მეოთხედფინალური შეხვედრების განრიგი:

| | |
|---|---|
| **14.00** | ოლიმპი-ბატე |
| **16.00** | ვენტსპილსი-პახტაკორი |
| **18.00** | ხაზარი-შერიფი |
| **20.00** | ზენიტი-კაუნასი |

**მერაბ მამულაშვილი**


ახალკაცი, ტოპმიოლერი, მინგე: თანამშრომლობა გრძელდება

ეროვნული ნაკრები

## ნაკრები 3 თებერვალს შეიკრიბება

6 თებერვალს ლატვიის ნაკრების წინააღმდეგ მატჩისთვის მზადებას ჩვენი ეროვნული გუნდი 3 იანვარს დაიწყებს - გუნდი ტექნიკურ ცენტრ "ბასაში" შეიკრიბება.

ლატვიის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, იმავე დღეს, რიგაში, ოლიმპიურ სპორტკომპლექსში შეკრებს ნაკრებს ბალტიისპირელთა მწვრთნელი **ალექსანდრ სტარკოვსი**. მწვრთნელის თქმით, თბილისური მატჩი ლატვიელთათვის ერთობ მნიშვნელოვანია და მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ, რომ წლის პირველი მატჩი წარმატებით ჩაატარონ. ლატვიელები თბილისში ჩარტერული ავიარეისით 4 თებერვალს ჩამოფრინდებიან და "ქორთიარდ მარიოტში" დაბინავდებიან. საქართველო-ლატვიის 6 თებერვლის მატჩი ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე დაიწყება.

## ტოპმიოლერისთვის კონტრაქტი მზადაა

**კლაუს ტოპმიოლერთან** ჯერ კიდევ დეკემბერში გასაფორმებელი კონტრაქტი, სავარაუდოდ თებერვალში გაგრძელდება.

"კლაუს ტოპმიოლერი 27 ან 28 იანვარს დაბრუნდება თბილისში. კონტრაქტი ხელმოსაწერად უკვე მზადაა. ტოპმიოლერი ჩამოვა და ლატვიასთან მატჩამდე კონტრაქტიც ოფიციალურად გაგრძელდება", - გვითხრა ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ**.

## დიადორასთან 14 თებერვალს...

ეროვნულ ნაკრებს სააქციო საზოგადოება "მადნეულის" სახით ახალი სპონსორი მიმდინარე წლის დასაწყისიდან უკვე ჰყავს. ეს პარტნიორობა სამი წლის განმავლობაში გასტანს და ფეხბურთის ფედერაცია დროში 1.4 მილიონ დოლარს მიიღებს. ეს გარკვეულია, მაგრამ გასარკვევია თუ ვინ შემოსავს საქართველოს ნაკრებს, რადგან იტალიურ "დიადორასთან" კონტრაქტი იწურება.

როგორც ირკვევა, ქართულ მხარეს ჯერ ისევ "დიადორასთან" ექნება შეხვედრა. მერე კი სხვა დაინტერესებულ ფირმებთან. კერძოდ, "ადიდასთან", "პუმასთან" და "სალერთან".

"სავარაუდოდ 14 თებერვალს, მილანში "დიადორას" წარმომადგენლებს შევხვდებით. ვნახოთ თუ რა პირობებს შემოგვთავაზებს "დიადორა". მერე კი "ადიდასთან", "პუმასთან", "სალერთან" გვექნება შეხვედრები. მათან ერთ-ერთი იქნება ჩვენი ტექნიკური სპონსორი", - გვითხრა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა უჩა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

# სიმურგმა ზესტაფონთან მარცხით დაიწყო


ზურაბ იონანიძე

აზერბაიჯანული „სიმურგი" უკვე თბილისშია და მოახლოვებული ოფიციალური მატჩებისთვის ემზადება. ზაქათალელები აქ რამდენიმე საკონტროლო შეხვედრას გამართავენ. მათი პირველი მეტოქე „ზესტაფონი" იყო. თამაში გუშინ ჩატარდა ავჭალაში, „სინათლის" სტადიონზე და ფეროელთა მინიმალური გამარჯვებით, 1:0 დასრულდა.

„ზესტაფონმა" ავადმყოფობის გამო ოთხი ფეხბურთელი, **შალვა ღონღაძე, ჟილვან ვიეირა, ნიკა კვასხვაძე** და **გიორგი ხიდეშელი** მოისაკლისა. ჯანზე ვერც **პოლ კესანი** და **ეტიენ ბიტოო** იყვნენ, მაგრამ სიცხემოხდილებმა მაინც შეძლეს მოედანზე გასვლა.

საკადრო პრობლემების მიუხედავად, მატჩი ფეროელთა უპირატესობით წარიმართა. გამარჯვების გოლი მალევე, მე-9 წუთზე გავიდა, **ბექა გოცირიძის** პასით აზერბაიჯანელებს ვეტერანმა **ზურაბ იონანიძემ** გაუტანა. მეორე ტაიმში „სიმურგი" ბევრს ეცადა თამაშის გადარჩენას, მაგრამ რეალური სახიფათო მომენტი ვერ შექმნა.

„ზესტაფონმა" გუშინ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ჭანტურია, თოდუა, საჯაია, ლობჟანიძე, რ. ონიანი, დაუშვილი, კესანი, გ. ნუგ. ჭელიძე, ბიტოო, ბ. გოცირიძე, იონანიძე (77. ბახტურიძე).**

ამ შეხვედრით „ზესტაფონის" მზადების პირველი ეტაპი დასრულდა. ხვალ გუნდი ანთალიაში მიემგზავრება, სადაც ქართული სეზონის განახლებამდე დარჩება. 2008 წლის პირველ ოფიციალურ მატჩს „ზესტაფონი" 17 თებერვალს ჩაატარებს, როცა თასის მეოთხედფინალში მოძლიერებულ რუსთავის „ოლიმპს" ესტუმრება.

ლევან ჯანეზაშვილი

ლეგიონერები

# ოთარი ფრაიბურგში დარჩა

„ლელოს" გუშინდელ ნომერში გაუწყეთ, რომ **ოთარ ხიზანეიშვილს** „ფრაიბურგიდან" წასვლა სურდა. გუშინ ხიზანეიშვილი და თავისი აგენტი ერთხელაც დაელაპარაკნენ კლუბის მესვეურებს და გადაწყდა, რომ ხიზანეიშვილი ამ ეტაპზე „ფრაიბურგიდან" არ წავა.

- ეს მოლაპარაკების ბოლო სტადია იყო. „ფრაიბურგს" რამდენიმე მცველი ტრავმირებული ჰყავს და მითხრეს, ახლა ვერ გაგიშვებთ, გვჭირდებიო. დამპირდნენ, რომ ძირითადში ხელმეორედ დამკვიდრების შანსს აუცილებლად მომცემდნენ. გითხარით, „ფრაიბურგი" ჩემში 800 000 ევროს რომ ითხოვს და დღევანდელ მოლაპარაკებაზე ამაზეც ვისაუბრეთ, თუმცა „ფრაიბურგმა" ამ თანხას ცენტიც არ დააკლო. მოკლედ, „ფრაიბურგში" სეზონის ბოლომდე დავრჩები, მერე კი თავისუფალი აგენტიც გავხდები.



**- სეზონის დასრულების შემდეგ „ფრაიბურგს" უპირობოდ დატოვებ?**

- ასე არ ვიტყოდი, თუ სისტემატურად ვითამაშე და „ფრაიბურგი" ბუნდესლიგაში დაბრუნდება, შესაძლოა, აღარ წავიდე სხვაგან. სხვათა შორის, დღეს „ფრაიბურგთან" კონტრაქტის გაგრძელებაზეც ჩამომიგდეს სიტყვა...

დავით თავართქილაძე

# მალხაზ ასათიანის პირველი სპარინგი

გუშინ მოსკოვის „ლოკომოტივმა" წლის პირველი მატჩი ჩაატარა. რკინიგზელები ამხანაგურად მინსკის „დინამოს" გაეჯიბრნენ და 1:2 დამარცხდნენ. **მალხაზ ასათიანმა** მთელი შეხვედრა ცენტრალური მცველის პოზიციაზე გაატარა. აქვე გეტყვით, რომ გუშინვე „ლოკომოტივმა" სხვა შემადგენლობით ბაქოს „ინტერთან" 0:2 წააგო. ცუდი შედეგების მიუხედავად, რკინიგზელთა ახალი მთავარი მწვრთნელი **რაშიდ რახიმოვი** შეგირდთა მომზადების დონით უკმაყოფილო არაა.


მალხაზ ასათიანი

# ბათუმელები გაძლიერებას გეგმავენ


ავთანდილ კუნჭულია

ეროვნული ჩემპიონატისთვის მზადება „ბათუმმა" 6 იანვარს დაიწყო. **ავთანდილ კუნჭულია** ფეხბურთელებს ამ ეტაპზე ფიზიკურად ამზადებს, თუმცა გუნდმა უკვე ჩაატარა ერთი საკონტროლო მატჩი - აჭარლებმა თბილისის „დინამოს" დუბლებს 4:1 სძლიეს. მომდევნო შეხვედრას კუნჭულიას გუნდი ორ-სამ დღეში გამართავს.

პირველი წრის შემდეგ გუნდი დატოვეს მეკარე **შოთა მამინაშვილმა** (რუსეთში წავიდა) და ნახევარმცველმა **ვიტალი დარჩიძემ** (სავარაუდოდ, თურქეთში გააგრძელებს კარიერას). წასულია **კახა მახარაძეც**, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის რომელიმე წამყვან გუნდში შეეცდება დამკვიდრებას. გამორიცხული არც ისაა, მახარაძე „ბათუმს" უახლოეს პერიოდში დაუბრუნდეს.

„ბათუმი" ჯერჯერობით, ადგილზე ვარჯიშობს, მაგრამ არც შეკრების მოწყობაა გამორიცხული. საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ კლუბის დაფინანსების საკითხი დადებითად გადაწყდა, რამაც წესით, უმაღლესი ლიგის აუტსაიდერს ლიგაში დარჩენის შანსი უნდა გაუჩინოს.

ალბათ, საიმისო სახსრებიც გამოჩნდება, რომ „ბათუმმა" რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი დაიმატოს. მათგან კონკრეტულად ჯერ მხოლოდ ერთია ცნობილი - თავდამსხმელი **ბორის გონჩაროვი**, რომელმაც სეზონის პირველი ნახევარი თბილისის „დინამოში" გაატარა და დედაქალაქელთა ძირითადში ფეხის მოკიდება ვერ შეძლო.

სავარაუდოდ, „ბათუმი" წამყვან მოთამაშეებს შეინარჩუნებს. **ირაკლი თოთლაძემ, ბეგლარ თედორაძემ** და **მიხეილ კაკალაძემ** უკვე გამოთქვეს გუნდში დარჩენის სურვილი.

ლევან ჯანეზაშვილი

## კარლსრუემ ქვედალიგელი გაანადგურა

თურქული შეკრებიდან დაბრუნებული „კარლსრუე" ამხანაგურად „როიტლინგენს" გაეჯიბრა. თამაში თავიდან თანაბარ ბრძოლაში მიმდინარეობდა, მაგრამ მეორე ტაიმში „კარლსრუემ" იძალა და 5:2 გაიმარჯვა. **ალექსანდრე იაშვილს** მეტოქის კარი არ დაულაშქრავს, მან მოედანზე ერთი ტაიმი გაატარა.

ლევან ჯანეზაშვილი

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ლაშა ბალიაშვილთან

# გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევას მივეჩვიე


მარცხნივ ლაშა ბალიაშვილი

ბოლო წლებში ფინანსურად შეჭირვებული გორის „დილა“ არაერთხელ თითქმის სრულად დაიცალა ფეხბურთელებისაგან. ასეთ დროს კი დუხჭირი ყოფიდან გამომდინარე, როცა არ ხერხდებოდა გამოცდილი ფეხბურთელების სხვა ქალქებიდან დამატება, მთელი დატვირთვა ხუთიოდე ძველ გვარდიელთან ერთად ადგილობრივი საფეხბურთო სკოლის აღზრდილ ჭაბუკებზე გადადიოდა. მათგან რამდენიმემ უკვე მკვიდრად მოიკიდა ფეხი „დილაში“ და მიუხედავად ასაკისა, გუნდისთვის თითქმის შეუცვლელ მოთამაშეებად იქცნენ. მათ შორისაა 19 წლის ლაშა ბალიაშვილი, რომელსაც გორში საიმედო მცველად თვლიან. დაცვის ხაზის მარცხენა ფლანგზეც კარგად მოთამაშე, საჭიროებისამებრ ნახევარმცველადაც მოგვევლინა, ხოლო ზუგდიდის „მგლებთან“ გაძევებული თამაზ ილურიძის ნაცვლად კარის დაცვაც მოუწია. ერთი ეგაა, არაერთი მცდელობის მიუხედავად ჯერ გოლი არ გაუტანია.

— ბუნებრივია ეს ჩემი პირდაპირი მოვალეობა არაა, მაგრამ ყველაზე მეტად პირველ წრეში იმაზე დამწყდა გული, რომ რამდენჯერმე საკმაოდ ახლოს ვიყავი მიზანთან. არაფერია, მაინც გავიტან.

**— მაგრამ შენი პირდაპირი მოვალეობა რაცაა, იმ საქმის შესრულებით თუ ხარ კმაყოფილი?**

— როგორ გითხრათ, მე ყველაფერი ჩავდე საერთო საქმეში, თუმცა გუნდი რომ ბოლოსწინა ადგილზეა, რა თქმა უნდა ყველა ჩვენგანის თამაშის შედეგია. ამჟამად სასტარტო სისწრაფის გასაუმჯობესებლად ვვარჯიშობ, დასახვეწი მაქვს ტექნიკური არსენალი...

**— პირველ წრეში „დილის“ ყველაზე სუსტი რგოლი ალბათ, თავდამსხმის ხაზი იყო.**

— კი უჭირდა გატანა გუნდს, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ საქმე მთლად შემტევებმა გააფუჭეს. საკუთარი თამაშის გამოსასწორებლად მუშაობა ყველას გვმართებს.

**— რაც „დილაში“ თამაშობ, გუნდი მუდამ ლიგაში დარჩენაზე ზრუნავს. როგორ მოქმედებს ეს ახალგაზრდა ფეხბურთელზე?**

— ძალიან ცუდია, როცა გუნდი ერთათავად უმაღლესი ლიგის დატოვების კანდიდატია, მაგრამ მეორეს მხრივ, ახალგაზრდები შეიძლება ითქვას ჭაბუკობიდან მივეჩვიეთ გამოუვალი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზების ძიებას.

**— მიმდინარე სეზონის პირველი წრეშიც უარყოფითი შედეგი აჩვენეთ...**

— რამდენიმე შეხვედრაში ისეთი დასანანი ქულები დავკარგეთ, ნეიტრალური მაყურებელიც ჩვენს უპირატესობას რომ დააფიქსირებდა. უცნაურია, მაგრამ ჩემპიონატის ლიდერებთან უფრო კარგად ვთამაშობთ, ვიდრე ჩვენს უშუალო კონკურენტებთან.

**— თასის მეოთხედფინალის საგზურის ერთი ტურით ადრე დაბევებას, ხომ არ ჯობდა ჩემპიონატზე გადაგეტანათ მეტი ყურადღება?**

— აქედან ერთ-ერთი ჩვენთვის პრიორიტეტი ნამდვილად არ ყოფილა. უბრალოდ თასზე უკეთესად ნაგვივიდა თამაში, თორემ განა ჩემპიონატში გამოსვლისას დავზოგეთ თავი? ასე, თუ ისე, იმედი მაქვს მეორე წრიდან გამოვასწორებთ მდგომარეობას.

**— შარშან მეორე წრის წინ ანალოგიური ვითარება გქონდათ სატურნირო ცხრილში...**

— ვფიქრობ ახლა უკეთესი მოტივაცია, მონდომება და საშუალება უნდა გვქონდეს მდგომარეობის გამოსწორებისა, ვიდრე გასულ წელს და შესაბამისად ეს სათანადოდ უნდა ავსახოთ სატურნირო ცხრილზე.

**— რაც „დილაში“ ხარ არაერთი მწვრთნელის ხელმძღვანელობით მოგიწია თამაში. ალბათ, ძნელია ასე მალ-მალე მათი თვალთახედვის მიხედვით გადაწყობა?**

— ყოველ შემთხვევაში იდეალური არ არის, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე მათგანს ვერ შევეწყე და ა. შ. დღევანდელ სიტუაციაშიც არ მიჭირს. ვანო ხორგუაშვილთან ჩემი ხანმოკლე კარიერის მიუხედაჴვად უკვე ნამუშევარი მაქვს. სამი წლის წინათ იგი ჩემს გუნდს გორის „გორს“ წვრთნიდა და მეც იქიდან ჩავირიცხე „დილაში“.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

# გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

## დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ



ედუარდო დელგადო და მისი სამწვრთნელო შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველები უნდა გამოცხადდნენ მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 8 იანვრიდან 25 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა.

ფეხბურთელები არგენტინის ვიზას მიიღებენ 28 იანვრიდან და მათ ვარჯიშები არგენტინაში დაეწყებათ 1თებერვლიდან.

საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20

ლეგიონერი

# ჯაკობია კალაძის მაგალითზე გააქციეს

პოლტავის „ვორსკლამ“ თურქეთში პირველი შეკრება დაასრულა, მთავარმა მწვრთნელმა **ნიკოლაი პავლოვმა** კი შედეგები შეაჯამა და ქართველ ახალწვეულზე, **ლაშა ჯაკობიაზეც** ისაუბრა.

„სამწუხაროდ, ლაშა ჯაკობია შეკრებაზე მეორედ გაცივდა. მთელი მოსამზადებელი პერიოდის განმავლობაში მაღალი სიცხეების გარეშე, მხოლოდ ბოლო ორი დღე იყო. სამაგიეროდ, მონაწილეობდა „5X300“ (ხუთჯერ სამასმეტრიანი გარბენი) ტესტირებაში, რომელშიც საკმაოდ გაუჭირდა. ამის შემდეგ ლაშას კახა კალაძის მაგალითი შევახსენე. კალაძემ, ვალერი ლობანოსვკისთან კიევში მოხვედრის შემდეგ, პირველივე ტესტირება ჩააგდო. სამაგიეროდ, დღეს „მილანში“ თამაშობს. ჯაკობია ამიტომაც გაიქცა, ეტყობა, იტალიაში თამაში მასაც სურს“, -ხუმრობის ხასიათზე იყო პავლოვი.

**მერაბ მამულაშვილი**


ლაშა ჯაკობია

## თარიღი

ზაურ სვანაძე. დაიბადა 23.01.1958, ქუთაისი. ფეხბურთი, ნახევარმცველი. თამაშობდა ქუთაისის „ტორპედოში“ (1976-80), თბილისის „დინამოში“ (1981-89), „ჰოლმსუნდში“ (შვედეთი, 1990-91), „მაიფსა“(შვედეთი, 1992-93) და ელივარეს „გეესკოში“ (შვედეთი, 1994-95). ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი (1981). იყო თბილისის „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი (2002). ღირსების ორდენის კავალერი.

www.kazbegi.com

გახსენი...
# ყაზბეგი

ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.pfl.ge





დავით სირაძე

## ექსპერიმენტი: სირაძე მარცხენა ნახევარმცველი

ტრავმამოშუშებული დავით სირაძე „პადერბორნში" ახლა სრულფასოვნად ვარჯიშობს, გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ფოლკერ ფახმა** კი ჩვენებურისთვის ექსპერიმენტს მიმართა.

ბოლო ორი ამხანაგური მატჩი „პადერბორნს" „აინტრახტთან" (1:1) და „ჰანოვერთან" (1:4) ჰქონდა. ფრანკფურტელებთან სირაძე მეორე ტაიმიდან ჩაერთო თამაშში, ჰანოვერში კი შეხვედრის ბოლო წუთებში ითამაშა - ორივეჯერ ფახმა სირაძე მარცხენა ნახევარმცველად ათამაშა.

თბილისის „ლოკომოტივი", ბერლინის „უნიონი", ტრირის „აინტრახტი", ერცგებერგეს აუე, საქართველოს ახალგაზრდული და ეროვნული ნაკრებები - სადაც კი სირაძეს უთამაშია, მარცხენა ნახევარმცველი არასდროს ყოფილა, მაგრამ ფახმა სულ სხვა ამპლუა შეურჩია მას.

სირაძეს უკვე მოუვიდა მოწვევა ეროვნულ ნაკრებში 6 თებერვალს თბილისში ლიტვასთან გასამართი ამხანაგური მატჩისთვის.

დავით თავართქილაძე

## ბორჯომიდან ალბაირაქში, იქიდან?

ეროვნულ ჩემპიონატში წლების განმავლობაში მოასპარეზე მეკარე ავთო ლაბაძე ამჟამად თურქეთში ბურთაობს. თავის დროზე მას ზუგდიდის, სამტრედიის, ზესტაფონის გუნდებში, ფოთის "კოლხეთში", "სიონსა" და ბორჯომში" უთამაშია. "ოქროს მატჩში" "ვიტ ჯორჯიასა" და "სიონს" შორის, ბოლნისელთა გუნდის კარს იცავდა. ამის მერე ლაბაძე უცხოელთა თვალთახედვის არეში მოხვდა და უკვე წელიწადია რაც თურქული "ალბაირაქის" კარს იცავს.

ლაბაძეს გუშინ თურქეთში დავუკავშირდით და რამდენიმე კითხვით მივმართეთ.



მარჯვნივ ავთო ლაბაძე

- "სიონსა" და "ვირ ჯორჯიას" შორის "ოქროს მატჩს სკანდალის გარეშე არ ჩაუვლია. მაშინ "სიონი" დაიშალა და "ბორჯომში" გადავბარგდი. მართალია ამ გუნდის უმაღლეს ლიგაში აღზევებაში საკმაოდ დიდი წვლილი შევიტანე, მაგრამ მერე მწვრთნელმა ახალი მეკარე მოიყვანა, მისი წარმოჩენა გადაწყვიტა და როგორც იტყვიან, თამაშგარე მდგომარეობაში დავრჩი. თამაში აღარ მიწევდა. უთამაშებლობა კი პროფესიონალისთვის დამეთანხმებით, დიდი დარტყმაა. მით უმეტეს მაშინ, როცა კარგ ფორმაში ხარ და აშკარად ჯობიხარ კონკურენტს. ერთი სიტყვით, ასეთ ვითარებაში ვიყავი, მაგრამ ჩემი მენეჯერის დახმარებით თურქეთის ქვედალიგოსან "ალბაირაქში" ამოვჩნდი. თებერვალში წელიწადი გახდება რაც აქ ვარ.

**- რამდენად სტაბილირად გიწევს თამაში?**

- ტრავმის გამო თითო-ოროლა თამაში გამოვტოვე. გუნდის მთავარი მეკარე ვარ და აქამდე 14 მატჩში მივიღე მონაწილეობა.

**- "მშრალად" რამდენ შეხვედრაში იდექი?**

- 7 თამაშში კარი მშრალად შევინახე. კლუბის ხელმძღვანელობისა და გუნდის

მთავარ მწვრთნელ სიმპათია და კომპლიმენტები არ მაკლია.

**- ამჟამად რომელ ადგილზე ხართ?**

- 4 თამაშილა დაგვრჩა და მეოთხე ადგილზე ვიმყოფებით. გადასვლის შანსი აღარ გვაქვს, რადგან პირველ-მეორე ადგილებზე მყოფ გუნდებს საკმაოდ ჩამოვრჩებით.

**- რამდენი ხანი აპირებ მანდ დარჩენას. გავიგეთ, თითქოს შენით უმაღლესი ლიგის გუნდები არიან დაინტერესებულნი. რომელ კლუბებზეა საუბარი?**

- კლუბებს ვერ დაგისახელებთ, მაგრამ ტრაბზონისა და სტამბოლის გუნდებზეა საუბარი. ამჟამად ორი ვარიანტი მაქვს და ვნახოთ.

**- შენი ტრანსფერი შესაძლოა ამ ზამთარშივე განხორციელდეს?**

- გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. "ალბაირაქის" თავკაც ვეფბი ჯევნერისგან დიდ ნდობას ვგრძნობ. ის ჩემზე დიდ იმედებს ამყარებს. თუმცა რეალური წინადადების მიღების შემთხვევაში გუნდი არ დამაბრკოლებს. შესაძლოა ჩემი ტრანსფერი მეორე წრის განახლებამდე შედგეს. თუ არა და სეზონის ბოლოს. ძალიან მინდა უკეთეს გუნდში ვითამაშო. აშკარად ვგრძნობ, რომ შემიძლია. იქნებ ჩემით ეროვნული ნაკრების ხელმძღვანელობაც დაინტერესდეს და ერთ ამხანაგურ მატჩში გამომიძახოს. თუ მენდობიან, გავამართლებ კიდეც.

**- "ალბაირაქთან" კონტრაქტი როდის გიმთავრდება?**

- თებერვალში და მომდევნო თვეში უნდა გადაწყდეს ჩემი საკითხი. თუ დაინტერესებული კლუბები მიმიწვევენ ხომ კარგი, თუ არა და სეზონს "ალბაირაქში" ჩავამთავრებ.

დავით ცაბაძე



## მწვრთნელისთვის საჭირო კაცი

სამარის "კრილიამ" არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში მოსამზადებელი შეკრებისას ამხანაგური მატჩები გამართა, მაგრამ გუნდის ქართველ კაპიტან **დავით მუჯირს** ტესტმატჩებში მონაწილეობა არ მიუღია - ინდივიდუალური პროგრამით ემზადებოდა. რუსულ პრესასთან საუბარში "კრილიას" თავკაც **ლეონიდ სლუცკის** მუჯირზეც დაეკითხნენ. პრესა დაინტერესდა თუ რატომ არ მიიღო მონაწილეობა ამხანაგურ მატჩებში გუნდის კაპიტანმა?

"ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ამ ეტაპზე მუჯირისთვის უმჯობესი იქნებოდა ინდივიდუალური პროგრამით მომზადებულიყო, მომაგრებულიყო. მეორე შეკრებაზე მუჯირი უკვე გუნდთან ერთად მოემზადება და ამხანაგურ მატჩებშიც მიიღებს მონაწილეობას. ის მაღალი კლასის ფეხბურთელია და მისი შესაძლებლობები და პოტენციალი ეჭვქვეშ არადსროს დაგვიყენებია", - ამგვარი იყო მწვრთნელის პასუხი.

დავით ცაბაძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და ვეტერან ფეხბურთელთა კავშირი ღრმა სამძიმარს უცხადებს ვეტერან ფეხბურთელს გიორგი სიჭინავას შვილის

**გიორგი (გოგა) სიჭინავას**

გარდაცვალების გამო.

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადაიხადე სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ი. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

იტალია

# ყველაფერს საზღვარი აქვს

## სამსაჯო ვნებათაღელვა. რამდენიმე შეცდომა, რომელმაც შედეგზე იმოქმედა. მანჩინიმ პრესკონფერენცია გააუქმა

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ჯანკარლო აბეტემ** სერია A-ს მწვრთნელებს ნერვების მოთოკვა ურჩია. საქმე ეხება სამსაჯო პრობლემებსა და იმ კრიტიკას (რბილად რომ ვთქვათ), რაც თემიდის მსახურთა მიმართ ბოლო უიქენდის შემდეგ გაისმა. ერთი მხრივ, აბეტე აღიარებს, რომ შაბათ-კვირის მატჩებში არბიტრებმა ნამეტანი ბევრი შეცდომა დაუშვეს, მათ შორის, ისეთი შეცდომებიც, რომლებმაც შედეგებზე უშუალო გავლენა იქონიეს. საუბარია ძირითადად სამ მატჩზე: "იუვენტუსი"-"სამპდორია", "ფიორენტინა"-"ტორინო" და, რა თქმა უნდა, "ინტერი"-"პარმა".

ამ უკანასკნელს განსაკუთრებული ვნებათაღელვა მოჰყვა. შეგახსენებთ, რომ მატჩის 88-ე წუთისთვის "ინტერი" 1:2-ს აგებდა. ამ დროს, არბიტრმა პარმელთა კარში პენალტი დანიშნა და **იბრაჰიმოვიჩის** დარტყმის შემდეგ ანგარიში გათანაბრდა. მერე, ამას ზლატანის მესამე გოლიც მოჰყვა და სულ რალაც ხუთწუთიან მონაკვეთში "პარმამ" გამარჯვება ხელიდან "გაუშვა". რაც შეეხება საკამათო ეპიზოდს. მიმოხილვაშიც დავწერეთ, რომ **ფერნანდო კოუტუს**, რომელიც დაუცველ კარს მკერდით აეფარა, ბურთი თავში მოხვდა და არა ხელში. ცხადია, რეფერიმ პორტუგალიელს არც ეს აკმარა და პენალტთან ერთად, წითელი ბარათითაც დასაჯა. და რა გამოვიდა? ერთი, რომ "პარმამ" წააგო კონკრეტული მატჩი, და მეორე: მომდევნო შეხვედრისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაც დაკარგა. ანუ, რეფერის ერთი არასწორი ჩასტვენა ლამის ორ ტურს უდრის. ნამატჩევს, სტუმართა მწვრთნელმა **დომენიკო დი კარლომ**, რასაკვირველია, მარცხში პირადად არბიტრი დაადანაშაულა.

ანალოგიურ სიტუაციაში იყო "ტორინოს" მწვრთნელი **ვალტერ ნოველინოც**, რომელმაც "ფიორენტინასთან" მატჩის შემდეგ არბიტრის ნამოქმედარს "სკანდალური" უწოდა. ეს შეხვედრა შაბათს გაიმართა. "ვიოლამ" მეტოქე ორი პენალტის წყალობით დაამარცხა. როგორც ნოველინო ამტკიცებს, ორივე 11-მეტრიანი მსაჯის ფანტაზიის ნაყოფი იყო.

"იუვენტუსის" ბოსები "სამპდორიასთან" ნულოვანი ფრის შემდეგ, არდანიშნულ პენალტებზე ჩიოდნენ. ეს ეხება მომენტებს, როცა გენუელთა საჯარიმოში უხეშად მოექცნენ ჯერ **მარესკას**, მერე **ტრეზეგეს**. სერია A-ს ბოლო მიმოხილვაში ამაზეც გვეწერა. "გაძეტა დელო სპორტის" აზრით, მარესკასა და ტრეზეგეს ეპიზოდებში აშკარა პენალტებზე საუბარი გაზვიადებული იყო.

აბეტემ ყველა კრიტიკულ გამოსვლას მოუსმინა და მწვრთნელებს თავშეკავება სთხოვა. *"კრიტიკა ყოველთვის დასაშვებია. მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს. მოვუწოდებ მწვრთნელებს, ფეხბურთელებსა და პრეზიდენტებს, იყონ მშვიდად, რადგან შეცდომები ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. ამ სეზონში ბევრი ახალგაზრდა მსაჯი გვყავს. მათ სჭირდებათ დრო, რათა დალვინდნენ. ამიტომ, კიდევ ერთხელ მოგიწოდებთ, მათ შრომას პატივი სცეთ".*

გამოუცდელობა გასაგებია, მაგრამ ყველას თავისი გასჭირვებია. ერთნი გავარდნის თავიდან ასაცილებლად იბრძვიან, მეორენი კი მაღალი ადგილებისთვის, შესაბამისად, თითოეულ ქულას ოქროს ფასი აქვს. ამიტომ, სრულიად ბუნებრივია კრიტიკა მაშინ, როცა ამ ქულებს ვილაც შეგნებით თუ შეუგნებლად გაკარგვინებს.

გუშინ პოლემიკაში "ლეგა კალჩოს" პრეზიდენტი **ანტონიო მატარეზეც** ჩაება. ზემოხსენებული მატჩების გარდა, ფედერაციის ყოფილმა ბოსმა "ნაპოლი"-"ლაციოს" შეხვედრაც ახსენა. ამ თამაშსაც სკანდალური ფინალი ჰქონდა: გოლი ბოლო წუთზე, ხოლო მერე სამი გაძევება. ამათ შორის იყო ნეაპოლელთა მწვრთნელი **ედოარდო რეიაც**.



იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჯანკარლო აბეტე

ცხადია, მატარეზე მუნდირის ღირსებას გაუფრთხილდა და აბეტეს კუდი გაუსწორა. მეტიც, მის სიტყვებში მუქარის ტონიც გაისმა:

*"პრეზიდენტებსა და მწვრთნელებს შეუძლიათ, ილაპარაკონ და აკრიტიკონ მსაჯები, მაგრამ ძალიან ღრმადაც არ უნდა შევტოპოთ. იტალიური ფეხბურთის იმიჯი ისედაც შელახულია და ის, ვინც მას უფრო მეტ ჩირქს მოცხებს, აუცილებლად დაისჯება".*

იქვე, მატარეზემ გაამხილა, რომ მას "პარმის" პრეზიდენტმა **ტომაზო გირარდიმ** დაურეკა: *"ის ტელეფონით დამიკავშირდა და მომხდარის გამო შემომჩივლა. მაგრამ მე განვუმარტე, რომ მსაჯთან არ მისაუბრია და ამას არც ვაპირებ, რადგან ეს ჩემი საქმე არ არის. "ნაპოლის" პრეზიდენტ დე ლაურენტისს არ დაურეკავს, მაგრამ ვიცი, როგორ ღელავდა, მერე დაწყნარდა... თუკი ის დამარცხების აღიარებას მიეჩვევა, მისთვის უკეთესი იქნება".*

"ინტერი"-"პარმის" გარშემო დატრიალებულმა ამბებმა გამოძახილი ჰპოვა ჩემპიონთა პრეზიდენტის **მასიმო მორატის** გადაწყვეტილებაშიც. გუშინ, მისი განკარგულებით, "ინტერმა" პრესასთან ურთიერთობაზე უარი თქვა. შედეგად, **რობერტო მანჩინიმ** სამშაბათს, "იუვესთან" სათასო მატჩისთვის დანიშნული პრესკონფერენცია გააუქმა. "ნერაძურის" ხელმძღვანელობა თვლის, რომ ეგრეთწოდებული "სამსაჯო სკანდალი" მათ წინააღმდეგაცაა მიმართული. "ინტერი" ამ მოვლენების მსხვერპლიაო, ვკითხულობთ ოფიციალურ პრესრელიზში.



რონალდინიო მილანურ გრანდებს შორის კინკლაობის მიზეზი გახდა

საავარაუდო ტრანსფერი

# რონალდინიოს ინტერისკენ უბიძგებენ

## რას აპირებს მილანი? ბერლუსკონიმ და გალიანიმ ინტერზე გაცილებით მეტი იციან, ვიდრე მორატიმ...

იტალიურ პრესაში დაიბეჭდა "მილანის" პრეზიდენტ **სილვიო ბერლუსკონის** მცირე კომენტარი, საიდანაც ვიგებთ, რომ "ინტერის" ბოსი **მასიმო მორატი**, თურმე, უშუალოდაა ჩართული **რონალდინიოს** შეძენისთვის გაჩაღებულ მუშაობაში. ინფორმაციას "კორიერე დელო სპორტი" ავრცელებს. საინტერესოა, რომ ცოტა ხნის წინ, ბერლუსკონიმ რონალდინიოს ყიდვა გამორიცხა, ამ ფრონტზე დამარცხება აღიარა და ბრაზილიელი ფლეიმეიქერი... "ჩელსის" "გადაულოცა". იტალიის ექსპრემიერი უცნაურ თამაშს თამაშობს. რაში დასჭირდა მას მორატის ხსენება, ან რატომ მაინცდამაინც "ჩელსი"? როგორც ჩანს, მას პრესისა და ინტერელი კოლეგის რეაქცია აინტერესებდა. არადა, "კორიერე" დაჟინებით ამტკიცებს, რომ "მილანსა" და "ბარსელონას" შორის ყველაფერი მოგვარებულია, რომ "როსონერიში" გაუჩოს სატრანსფერო შანსები საკმაოდ მაღალია და ასე შემდეგ. ჰო, მართლა: ისიც დაიწერა, თითქოს "როსონერიმ" რონალდინიოს საიმიჯო უფლებებიც იყიდა. მაგრამ "ინტერი"? აი, რას ამბობს მორატი:

*"შესაძლოა, ბერლუსკონიმ ან გალიანიმ "ინტერზე" გაცილებით მეტი იციან, ვიდრე მე. მაგრამ უნდა დავარწმუნოთ, რომ მათ არაფერიც არ იციან. ტყუილია, რონალდინიოს თაობაზე მოლაპარაკებებს არ ვაწარმოებთ და ეს არც არასოდეს გვიცდია. შესაძლოა, "ბარსელონასთან" თავად არიან მოლაპარაკებებში ჩართული, მაგრამ ჩვენ არაფერ შუაში ვართ. ისე კი, "ინტერს" კარგი ფეხბურთელები ყოველთვის აინტერესებდა, თუმცა დღევანდელ სიტუაციაში ამის საჭიროებას ვერ ვხედავთ, რადგან გუნდი საკმარისად ძლიერია".*

ერთი საინტერესო ვერსიაც, რომელსაც ასევე იტალიური პრესა ავრცელებს. "გაძეტა დელო სპორტში" ვკითხულობთ, რომ რონალდინიოს "ინტერში" ტრანსფერის გასაღები "ნაიკის" ხელთაა. სპორტული ეკიპირების მწარმოებელი გიგანტი, რომელიც ამავდროულად რონალდინიოს სპონსორიცაა, თურმე, აიძულებს ბრაზილიელს, რომ "ინტერში" გადასვლისთვის ძალისხმევა არ დაიშუროს. მოგეხსენებათ, "ნაიკი", ასევე, "ნერაძურის" ტექნიკური სპონსორიც გახლავთ.

**რობერტო მანჩინი** რონალდინიოს დიდი თაყვანისმცემელია და ეს არც არასოდეს დაუმალავს. ერთი კვირის წინ მან ეს კიდევ ერთხელ აღიარა და ისიც დაამატა, რომ დიდი სიამოვნებით აიყვანდა მას თავის ამქარში: *"მე ვფიქრობ, რონალდინიო გუნდს და საერთოდ, ჩვენს სქემას, უპრობლემოდ მოერგება. ის უდიდესი ფეხბურთელია. აქ მთავარი ისაა, რომ დიდი ფეხბურთელი გადის მოედანზე და ქმნის აბსოლუტურად განსხვავებულ სამყაროს. ის ამას თითქმის ყოველთვის აღწევს".*

გუშინ ტელეკომპანია "სქაი იტალიამ" ბერლუსკონის ახალი კომენტარი გადასცა. ამის მიხედვით, "მილანის" პრეზიდენტს მთლად დამარცხებულადაც ვერ ვაღიარებთ: *"არა მგონია, რონალდინიო ჩვენთვის განსაკუთრებული სამიზნე იყოს. მაგრამ ყველა შემთხვევაში, "მილანმა" სიტუაციაზე მონიტორინგი უნდა გააგრძელოს. ჩვენ ჩვენი ჩემპიონებიც გვყავს და გვყოფნის. ესეც არ იყოს, გაუჩო ახლა ნამდვილად არ არის საუკეთესო ფორმაში. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რონალდინიოს ყიდვა პრიორიტეტს არ წარმოადგენს".*

იუვენტუსი

# მელბერგი ივლისში, სისოკო ახლა

## იუვეს სპორტულმა დირექტორმა ბრემენში დიეგოს ჩააკითხა

"იუვენტუსის" სპორტულმა დირექტორმა **ალესიო სეკომ** პრესასთან საუბარში დაადასტურა, რომ **ოლოფ მელბერგი** უახლოეს დღეებში წინასწარ კონტრაქტს გააფორმებს და ივლისიდან ტურინში გადაბარგდება. შვედ ცენტრალურ მცველს "ასტონ ვილასთან" ხელშეკრულება ივნისის ბოლოს უმთავრდება. ბირმინგემულმა კლუბმა უკვე დაკარგა იმის იმედი, რომ ფეხბურთელთან ახალ კონტრაქტს გააფორმებდა. 30 წლის მცველით "იუვენტუსის" დაინტერესება რამდენიმე კვირის წინ გახმოვანდა. გაჩნდა ვარაუდიც, რომ მელბერგი "ბებერ ქალბატონს" იანვარშივე შეუერთდებოდა. ამ შემთხვევაში, ტურინელებს გარკვეული საფასურის გაღება მოუწევდათ. **კლაუდიო რანიერის** დაცვაში პრობლემები აქვს. ამიტომაც ჩქარობდნენ "იუვეს" ბოსები, მაგრამ ფულის დაზოგვის მიზნით, ბოლოს მაინც მოცდა ამჯობინეს. ასე რომ, ზაფხულში ფეხბურთელი ტურინს ყოველგვარი კომპენსაციის გარეშე მიაშურებს. სეკოს კომენტარი:

*"მელბერგთან წინასწარი კონტრაქტის გაფორმება ახლო მომავლის პერსპექტივაა. თუ ყველაფერი კარგად იქნა, ის ივლისში "იუვენტუსის" ფეხბურთელი გახდება. მხოლოდ ცალკეული დეტალები დარჩა მოსაგვარებელი. რაც შეეხება სისოკოს, ჩვენ ამ ფეხბურთელითაც ვართ დაინტერესებულნი. ყველა ღონეს ვხმარობთ იმისთვის, რომ სისოკო ახლავე გადმოვიყვანოთ. ეს სავსებით შესაძლებელია, მაგრამ ვნახოთ"*...

მოსალოდნელ ტრანსფერებს რანიერიც გამოეხმაურა: *"დიახ, სისოკო შეიძლება მალე შემოგვიერთდეს. ის კარგი ფეხბურთელია. მთელი ამ მოზაიკის ერთი მცირე ნაწილი ისაა, რომ ლიდერებთან ჩამორჩენა მაქსიმალურად შევამციროთ. ველოდები, რომ გაზაფხულზე "ინტერსა" და "რომას" გაუჭირდებათ. ამიტომ, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისთვის, რომ გადამწყვეტ იერიშზე გადავიდეთ. სწორედ ამიტომ გვჭირდება კარგი ფეხბურთელები".*

ამასობაში, "გაძეტა დელო სპორტის" მიერ ვრცელდება ინფორმაცია, თითქოს სეკო უკვე ჩაფრინდა ბრემენში, სადაც "ვერდერის" ხელმძღვანელობასთან **დიეგოს** ტრანსფერზე მოლაპარაკებას შეეცდება. რანიერის შემოქმედებითი ტიპის ნახევარმცველიც სჭირდება. მას არც **ტიაგო მენდეშმა** გაუმართლა და არც **სერხიო ალმირონმა**.



ოლოფ მელბერგი

მოგეხსენებათ, "იუვენტუსს" **რაფაელ ვან დერ ვაარტის** შეძენაც სწადია. რაც შეეხება დიეგოს, ის 25 მილიონი ევრო ღირს. სეკომ როგორმე უნდა დაითანხმოს "ვერდერი", რომ 20 მილიონი იკმაროს. ექსპერტები თვლიან, რომ შესაძლოა, ჩრდილოგერმანული კლუბი დათმობაზე წავიდეს.

ლივერპული. კრიზისი

# ზედიზედ მეოთხე ფრე

## რა უშლის ხელს მერსისაიდულ გრანდს?



ასტონ ვილასთან მატჩში მერსისაიდელები პიტერ კრაუჩმა გადაარჩინა

"ლივერპულში" კრიზისი მწიფდება. ინგლისური გრანდის გარშემო სრული გაურკვევლობა სუფევს. არავინ იცის, რას აპირებენ ამერიკელი ინვესტორები - **ჯორჯ ჯილეტი** და **ტომ ჰიკსი**. სპეკულაციებს თუ დავუჯერებთ, მათ ფინანსური პრობლემები აქვთ. ამ პრობლემების გამო, "ლივერპულს" სახარბიელო მომავალი არ ელოდება. კლუბის გაყიდვა ჩიხიდან გამოსვლის უმარტივესი გზაა. სხვა და სხვა წყაროების თანახმად, არაბული საინვესტიციო კომპანია "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალი" 350-500 მილიონ გირვანქას იხდის. ტომ ჰიკსი ამბობს, რომ ის საკუთარი 50-პროცენტიანი წილის დათმობას არ აპირებს. გულშემატკივრებში კი აგრესია მატულობს. "სანს" ამის სადემონსტრაციოდ "ასტონ ვილასთან" ორშაბათის მატჩი მოჰყავს. ფანები მთელი თამაშის განმავლობაში ჯილეტისა და ჰიკსის საწინააღმდეგო ლოზუნგებს სკანდირებდნენ. "სანი" შიშობს, ამერიკელების ლივერპულში დაბრუნება სახიფათოა. რადიკალურად განწყობილმა ქომაგებმა მათთან ფიზიკური ანგარიშსწორება შეიძლება სცადონ. პოპულარული ტაბლოიდი საინტერესო პარალელს ავლებს: ლივერპულის ახალი მფლობელის ვინაობა ზუსტად ერთი წლის წინ, იანვრის მიწურულს ირკვეოდა. 30 იანვარს მერსისაიდელები "ვესტ ჰემს" შეხვდნენ. კლუბის ყოფილ თავმჯდომარემ **დევიდ მურსმა** სწორედ "აპტონ პარკზე" გადაწყვიტა, უარი ეთქვა "დუბაი ინტერნეშენალ კაპიტალისათვის" და კლუბი ჯილეტისა და ჰიკსის კორსორციუმისათვის დაეთმო. უჩვეულო დამთხვევაა: წელს, 30 იანვარს "ლივერპული" ისევ "აპტონ პარკზე" ითამაშებს. იმ დროისათვის კლუბის ახალი მფლობელის ვინაობა შეიძლება უკვე გარკვეული იყოს. მიმომხილველთა ვარაუდით, არაბები ამჯერად ნამდვილად მიაღწევენ მიზანს.

ორიოდე სიტყვას "ასტონ ვილასთან" ბოლო ტურის მატჩზეც ვიტყვით. მოგეხსენებათ, ეს შეხვედრა ორშაბათს გაიმართა. ის 23-ე ტურის უკანასკნელი დაპირისპირება იყო. თამაში ფრედ, 2:2 დასრულდა. შეცვლაზე შესულმა **პიტერ კრაუჩმა** ანგარიში 88-ე წუთზე გაათანაბრა. ეს აყლაყუდა თავდამსხმელის პირველი გოლი იყო პრემიერლიგის მიმდინარე გათამაშებაში. ლივერპულელმა **იოსი ბენაიუნმა** ანგარიში მე-19 წუთზე გახსნა. **მარლონ ჰერვუდმა** 69-ეზე გაათანაბრა. სამ წუთში ფაბიო აურელიო ავტოგოლი გაიტანა. მერსისაიდელებმა გვარიანად ინერვიულეს, სანამ კრაუჩი წონასწორობას აღადგენდა. "ლივერპულმა" ზედიზედ მეოთხე მატჩი დაასრულა ფრედ (წინა სამი შეხვედრაში ასეთი შედეგები დაფიქსირდა: "მანჩესტერ სიტისთან" 0:0, "ვიგანთან" 1:1 და "მიდლსბროსთან" 1:1) და ჩემპიონთა ლიგის ზონიდან ჩამოქვეითდა. მას 23 მატჩში 40 ქულა აქვს და ლიდერებს - "მანჩესტერ იუნაიტედსა" და "არსენალს" 14 ქულით ჩამორჩება. *"არ ვიცი, რა გვემართება, ამის ახსნას ვერ ვახერხებ,* - თქვა ნამატჩევს **რაფა ბენიტესმა**. - *ვუტევდით და თამაშსაც ვაკონტროლებდით. მეტოქე კი, როგორც ნახეთ, არაფერს ქმნიდა. ამის მიუხედავად, ორი ქულა ქარს გავატანეთ."*

"ლივერპულის" კაპიტანი **სტივ ჯერარდი** მიიჩნევს, რომ კლუბის განშემო შექმნილი არაჯანსაღი ატმოსფერო ფეხბურთელთა თამაშზე ავტომატურად აისახება: *"სპეკულაციები "ლივერპულის" გაყიდვის თაობაზე უკვე არა ერთი თვეა, მიმდინარეობს. ვერ ვიტყვი, რომ ეს იდეალური სამუშაო ატმოსფეროს შექმნას უწყობს ხელს. ვიცი, რომ ფეხბურთელი ვარ და ჩემი მოვალეობაა, მინდორზე ბოლომდე დავიხარჯო. სხვა საკითხები ჩემი კომპეტენციის ფარგლებს სცდება, მაგრამ ხანდახან გონების ჩარაზვა და მარტო ფეხბურთზე ფიქრი არ ხერხდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ამ ამბებს დასასრული არ უჩანს."*

ლივერპულელთა სუსტი თამაში ჩემპიონატს ინტრიგას მატებს. ნათელია, რომ ეს კლუბი სულაც არაა ფავორიტი ჩემპიონთა ლიგის მეოთხე საგზურისათვის ბრძოლაში. ამ ადგილზე ერთბაშად რამდენიმე კლუბი აცხადებს პრეტენზიას. მათ შორის, ერთი, მერსისაიდელების გუშინწინდელი მეტოქე "ასტონ ვილაა". ბირმინგემელთა თავკაცი **მარტინ ონილი** ამ საკითხს სიფრთხილით ეკიდება. ის ამბობს, რომ მისი გუნდის შემადგენლობა არ არის ისეთი ძლიერი, რომ ჩემპიონთა ლიგაზე იფიქროს. ონილი მეოთხე ადგილის დაკავებას მაინც "ლივერპულს" უწინასწარმეტყველებს.

ტოტენჰემი

# რამოსს დეფო სჭირდება

## ჟილბერტო ბერლინიდან ლონდონში მიდისო...

"ტოტენჰემის" თავკაცი **ხუანდე რამოსი ჯერმეინ დეფოს** დახურულ კარს მიღმა ესაუბრა. შეხვედრიდან გამოსულმა თავდამსხმელმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მწვრთნელს მასთან თანამშრომლობის გაგრძელება სურს. შესაბამისად, სპეკულაციებს დეფოს მოსალოდნელი აბარგების თაობაზე, წერტილი უნდა დაესვას. პრემიერლიგის ბოლო ტურში, "ტოტენჰემი" "სანდერლენდს" შეხვდა (2:0). დეფომ ძირითად შემადგენლობაში ითამაშა. ის 74-ე წუთზე შეცვალეს. *"მისტერ რამოსმა მითხრა, რომ ჩემი იმედი აქვს, რომ მე გუნდი უნდა დავრჩე და გოლები გავიტანო. ყველაფერი ნათელია. როგორც კი შანსი მომეცემა, მე ის მაშინვე უნდა გამოვიყენო. "ტოტენჰემში" ოთხი უმაღლესი კლასის თავდამსხმელია. ძირითადში მოსახვედრად დიდი კონკურენციის გადალახვაა საჭირო."*

იანვრის ფანჯრის დახურვამდე რამოსი რამდენიმე ფეხბურთელის შეძენას გეგმავს. "დეილი მეილის" ცნობით, დასასრულს უახლოვდება მოლაპარაკებები ბერლინის "ჰერტასთან". ლონდონელები ბრაზილიელ მცველ **ჟილბერტოს** ეპატიჟებიან. ამ ფეხბურთელით "მანჩესტერ იუნაიტედიც" იყო დაინტერესებული. "ტოტენჰემმა" გერმანელებს 2.5 მილიონი გირვანქა შესთავაზეს. ჟილბერტო ამბობს, რომ არა ერთი სარფიანი წინადადება აქვს. ამიტომ გადაწყვეტილებას ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიიღებს.

### კიგანს ბექჰემი მოუნდა

გუშინდელი "მირორმა" სენსაციური ინფორმაცია გაავრცელა: "ნიუკასლმა" **დევიდ ბექჰემის** შეძენა გადაწყვიტა და მოლაპარაკებების დასაწყებად ემზადებაო. ტაბლოიდის მტკიცებით, იდეა **კევინ კიგანს** ეკუთვნის. გუნდის მფლობელმა **მაიკ ეშლიმ** მას უმალ მხარი დაუჭირა. მაგრამ ერთია სურვილი და მეორე ამბიციური პროექტის რეალურად განხორციელება. ბექჰემი "ლოს ანჯელეს გალაქსის" ეკუთვნის. მას ამ კლუბთან ზესარფიანი კონტრაქტი აქვს გაფორმებული. ინგლისელი გალაქტიკო მსოფლიოს ყველაზე მაღალანაზღაურებადი ფეხბურთელია და საეჭვოა, მისი ინგლისში გადაბირება ადვილი იყოს. "მირორის" აზრით, "ნიუკასლს" მცირე შანსი აქვს. ამჟამად ბექჰემი ინგლისში იმყოფება და "არსენალთან" ერთად ვარჯიშობს. ფოტოებმა, რომელზეც "მეთოფეების" ფორმაში გამოწყობილი ვარსკვლავი იყო აღბეჭდილი, მთელი მსოფლიო მოიარა. დევიდი ამერიკაში სეზონის განახლებისათვის ემზადება და კლუბის გამოცვლაზე არ ფიქრობს. სპეკულაციებთან დაკავშირებით, არცერთ მხარეს ოფიციალური კომენტარი არ გაუკეთებია.

### ბალაკი: გერმანია ფავორიტი არ არის

**მიხაელ ბალაკი** გერმანიის ნაკრებს ევროპის ჩემპიონატის ფავორიტად არ მიიჩნევს. მისი აზრით, ბუნდესგუნდს ჯერ არ მიუღწევია იმ სიმაღლისათვის, რომ ამხელა ამბიციები გააჩნდეს. "ჩელსის" ნახევარმცველის აზრით, ფავორიტები კონტინენტისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონები, ფრანგები და იტალიელები არიან. ბალა ესპანეთის, პორტუგალიისა და ხორვატიის ნაკრებებსაც გამოყოფს. მიხაელი იმედოვნებს, რომ გერმანელები ჩემპიონატამდე დარჩენილ ექვს თვეს მაქსიმალურად გამოიყენებენ და ტურნირს საუკეთესო კონდიციებში შეხვდებიან. ფეხბურთელმა, რომელმაც ტრავმა ახლახანს მოიშუშა, თითქმის აღიდგინა ოპტიმალური ფორმა. "არისტოკრატების" ძირითადში სტაბილურად ასპარეზობს.

### კვარეშმას უსტვენენ

**რიკარდო კვარეშმას** "პორტუს" ფანებთან პრობლემები აქვს. პორტუგალიურმა კლუბმა მას თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზა. კვარეშმამ თქვა, რომ კარიერის გაგრძელება უცხოეთში სურს. გულშემატკივრებმა მისი კომენტარი შეურაცხყოფად მიიღეს. უკვე რამდენიმე მატჩია, რიკარდოს ობსტრუქციებს უწყობენ. როგორც კი ის ბურთს იღებს, ტრიბუნებზე სტვენა ატყდება ხოლმე. სპეკულაცების თანახმად, კვარეშმას "ჩელსი", "ლივერპული" და "ატლეტიკო" ეპატიჟებიან. მოსაორდნელ ტრანსფერთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა. უცნობია ისიც, დაუყოვნებლივ შეიცვლის კვარეშმა სამსახურს, თუ სეზონის დასრულებას დაელოდება.

### ფერგი არ დაისჯება

**ინგლისის** საფეხბურთო ასოციაცია **სერ ალექს ფერგიუსონს** არ დააჯარიმებს. "მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული მწვრთნელი რედინგთან მატჩისას მომხდარ ინციდენტს უვნებლად გადაურჩა. შეგახსენებთ, თამაშის შემდეგ ფერგიმ მეტოქე გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელს უხამსი ჟესტი უჩვენა. მისი საქციელი ვიდეოკამერებმა დააფიქსირა. ასოციაციის სადისციპლინო კომისიამ გამოძიება დაიწყო. მან მოისმინა ფერგიუსონის არგუმენტები, ინტერვიუ ჩამოართვა "დაზარალებულ" რედინგელ მწვრთნელს და მსაჯის მოხსენებაც მოისმინა. გაირკვა, რომ ფერგის ის საქციელი ბოროტი განზრახვით არ ჩაუდენია. ის კოლეგას გაეხუმრა. კოლეგამ ხუმრობა ხუმრობად მიიღო და პრეტენზია არ გამოუთქვამს. თუმცა სერ ალექს მიეცა რეკომენდაცია, სხვა დროს საჯარო ადგილებში მსგავსი ქმედებებისაგან თავი შეიკავოს.

### ლემპარდის კიდევ ორი კვირა

**ფრენკ ლემპარდის** მინდორზე დაბრუნება კიდევ ორი კვირით გადაიდო. "ჩელსის" ერთ-ერთ უკანასკნელ ვარჯიშზე ნახევარმცველმა ბარძაყის კუნთი დაიზიანა და მკურნალობა სჭირდება. ფრენკს იმედი ჰქონდა, რომ დღეს "ევერტონთან" ლიგის თასის ნახევარფინალურ მატჩში ითამაშებდა. სავარაუდოდ, ლემპარდს 6 თებერვალს, ინგლისისა და შვეცარიის ამხანაგური მატჩიც გაუცდება. ეს **ფაბიო კაპელოს** სადებიუტო შეხვედრაა. ინგლისელთა ახალი თავკაცი შემადგენლობას კვირის ბოლოს დაასახელებს. ლემპარდი რომ ჯანმრთელი ყოფილიყო, ის განაცხადში აუცილებლად მოხვდებოდა. ლონდონელ ვარსკვლავს 26 დეკემბრის შემდეგ არ უთამაშია.

რომა. ტრანსფერები

# კოლოჩინი სპალეტის სამიზნეში

## ჯალოროსი ახალი კონტრაქტების გაფორმებას ცდილობს...



ფაბრისიო კოლოჩინი შეიძლება იტალიაში გაემგზავროს

**რომაელთა** თავკაცი **ლუჩანო სპალეტი** "დეპორტივოს" ცენტრალური მცველით, **ფაბრისიო კოლოჩინით** დაინტერესდა. "ჯალოროსის" ხელმძღვანელობა არგენტინელს **მატეო ფერარის** შემცვლელად მიიჩნევს. ამ უკანასკნელს კონტრაქტი ეწურება. კლუბმა მას უკვე შესთავაზა თანამშრომლობის გაგრძელება, მაგრამ მხარეები ფინანსურ საკითხებში ვერ თანხმდებიან. თუ ფერარი "ოლიმპიკოდან" წავა, რომაელები გალისიელებს დაუკავშირდებიან. "დეპორს" პრიმერა დივიზიონიდან გავარდნა ემუქრება. ფიასკოს შემთხვევაში, კლუბი ლიდერებს ტრანსფერზე დააყენებს.

დედაქალაქურ კლუბს ბრაზილიელ **დონისთანაც** სურს ახალი კონტრაქტის გაფორმება. დონის სხვა სარფიანი წინადადებებიც აქვს და გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობს. "ჯალოროსი" თავს იზღვევს და მის შემცვლელს ეძებს. იტალიური სააგენტოების ცნობით, კლუბმა სასურველი კანდიდატი უკვე შეარჩია. ესაა სიენელი **არტური**. ისიც ბრაზილიელია და სხვათა შორის, "კრუზეიროში" დონისთან ერთად თამაშობდა. ბრაზილიაში დონი არტურის დუბლიორი იყო. მოსალოდნელი ტრანსფერის ფინანსური დეტალები არ გახმაურებულა. რომაელთა ვეტერანი მეკარე **ჯანლუკა კურჩის** სერია B-ში ეპატიჟებიან. მისი აყვანა "ტრევიზოს", "ვიჩენცასა" და "კიევოს" სურთ. კურჩია სკამზე ჯდომა ყელში ამოუვიდა და თანახმაა, მუდმივი პრაქტიკის სანაცვლოდ რანგით დაბალ ლიგასაც კი მიაშუროს.

"ჯალოროსი" **როდრიგო ტადეის** საკითხის გადაწყვეტას ცდილობს. ბრაზილიელი ნახევარმცველი კონტრაქტის გაგრძელებას არ ჩქარობს. მიმომხილველები ეჭვობენ, რომ მას ახალ სამსახურში გადასვლა უნდა. ფეხბურთელი ამბობს, რომ რომზე უზომოდაა შეყვარებული. ამიტომ ამ ქალაქსა და კლუბს ადვილად ვერ შეელევა: *"ძნელი სათქმელია, აქ დავასრულებ თუ არა კარიერას. "რომა" საყვარელზე მეტად, ცოლს უფრო ჰგავს. ცოლთან ურთიერთობას კი ყოველთვის უფრთხილდები".*

ახალ კონტრაქტზე მოლაპარაკებები უკვე წამოიწყო **ალბერტო აკვილანიმ**. მასაც რამდენიმე სარფიანი შეთავაზება აქვს, მაგრამ "ჯალოროსიდან" აბარგება აზრადაც არ მოსდის: *"მე ყოველთვის "რომაში" თამაშზე ვოცნებობდი და ახლა, როცა ნატვრა ამისრულდა, როგორ შემიძლია, სხვა კლუბზე ვიფიქრო, თუმცა ფეხბურთში არაფერია გამორიცხული."*

სარაგოსა. ახალი მწვრთნელი

# ესტაფეტა ირურეტამ ჩაიბარა

## გარიტანომ ვიქტორ ფერნანდესის შეცვლიდან რვა დღეში თანამდებობა დატოვა


ეროვნული ბიბლიოთეკა
არაგონელებს ხავიერ ირურეტა გაუძღვება

**ანდერ გარიტანომ** საზოგადოებაში გავრცელებული ხმა დაადასტურა. "სარაგოსის" მთავარმა მწვრთნელმა თანამდებობა დატოვა. ეს გადაწყვეტილება მან პირად ცხოვრებაში არსებული პრობლემების გამო მიიღო. სენიორ გარიტანომ გუშინ სალამოს "ლა რომარედას" საკონფერენციო დარბაზში ჟურნალისტები დაპატიჟა და გადადგომის შესახებ პირადად მოახსენა. პრესკონფერენციის შესახებ ოდნავ მოგვიანებით მოგახსენებთ. მანამდე კი შეგახსენებთ, რომ ამ ადამიანმა ვიქტორ ფერნანდესი 2008 წლის 14 იანვარს შეცვალა. მას შემდეგ სულ რალაც 8 დღე გავიდა. ამის გათვალისწინებით, გუნდიდან მისი წასვლა ძალიან უცნაურად გამოიყურება.

მიუხედავად იმისა, რომ გარიტანომ პირად ცხოვრებაში წარმოქმნილ პრობლემებზე ჩამოაგდო სიტყვა, უმალ გავრცელდა ჭორები, რომ ბატონ ანდერს კლუბის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა დაეძაბა. დაიწერა, ახალმა მწვრთნელმა ხელმძღვანელობას ძვირადღირებული ტრანსფერების განხორციელება მოთხოვა, მათ კი ცივი უარი შეუთვალესო. თითქოს, რადიკალური გადაწყვეტილება სწორედ ამით გახლდათ განპირობებული. შესაძლოა, ტრანსფერებთან დაკავშირებით უთანხმოებას მართლაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ანდერ გარიტანო სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ სამუშაო პირადი პრობლემების გამო მიატოვა: *"რა თქმა უნდა, ვაცნობიერებ, რომ ჩემს მიერ გადადგმული ნაბიჯი ძალიან უცნაურად მოჩანს. ბევრი ალბათ, უპასუხისმგებლობასაც დამწამებს. მათი ნებაა, ვისაც როგორ უნდა ისე იფიქრებს, მაგრამ მე ჩემი მიზეზი მქონდა. ძალიან მინდოდა, კლუბს მაქსიმალურად დავხმარებოდი, თუმცა ცხოვრებამ ამის საშუალება არ მომცა. ოჯახში გარკვეული პრობლემები შემექმნა. იმედია, არ მიწყენთ, თუ დეტალებზე საჯაროდ არ ვისაუბრებ. უბრალოდ, არ შემიძლია, ოჯახი მეორე პლანზე გადავწიო და მისი ინტერესები არ დავიცვა. ყველას ძალიან ვთხოვ, ჭორების გავრცელებით ნუ დაკავდება. "სარაგოსის" ხელმძღვანელობასთან არანაირი უთანხმოება არ მქონდა. ან როგორ უნდა მქონოდა, როცა თანამდებობაზე რამდენიმე დღის წინ დავინიშნე. გულწრფელად გეტყვით, მენანება, რომ "სარაგოსის" ალორძინებაში მონაწილეობას ველარ მივიღებ. რა გაეწყობა, ეს ცხოვრებაა. ზოგჯერ ის მეტისმეტად მკაცრია. ახლა ერთადერთი ამოცანა მაქვს, ჩემი ოჯახის გვერდით უნდა ვიყო."*

რ უფლება გვაქვს, სენიორ გარიტანოს არ დავუჯეროთ, თუმცა არაგონული კლუბის პრეზიდენტის, **ედუარდო ბანდრესის** სიტყვები გარკვეულ ეჭვებს ბადებს: *"არ მესმის, რატომ გადადგა გარიტანო. მან უდიდესი შეცდომა დაუშვა. არ გამოვრიცხავ, ნაძირალა ადაიანებისგან რალაც ჭორები მოესმინა. შესაძლოა, ამით დაითრგუნა და წავიდა. არადა, "სარაგოსის" მთელი დირექტორატი მას უსიტყვოდ ენდობოდა და თანადგომას პირდებოდა. ჯობდა, არ გადამდგარიყო, თუმცა ეს მისი ნება იყო და ჩვენ ვერაფერს გავაწყობთ."*

როგორც ხედავთ, ედუარდო ბანდრესს გარიტანოს ოჯახსა და მის პრობლემებზე სიტყვაც არ დაუძრავს. ალბათ, პრეზიდენტს არ სჯერა ყოფილი მთავარი მწვრთნელის სიტყვების და მის საჯაროდ გაქარწყლებასაც არ მოერიდა.

გუშინ სალამოს ესპანურმა საინფორმაციო სააგენტოებმა ძალიან საინტერესო ინფორმაცია გაავრცელეს. მათი მტკიცებით, სენიორ ბანდრესმა ვაკანტური თანამდებობდა **ხავიერ ირურეტას** ჩააბარა. ბასკი სპეციალისტის კონტრაქტის შესახებ ერთი სიტყვაც არ დაწერილა, თუმცა სპორტული მედია სრული პასუხისმგებლობით აცხადებს, რომ ირურეტა "სარაგოსის" მთავარი მწვრთნელი გახდა და ახალ გუნდს მომავალ უქმეებზე "რასინგთან" გასვლით შეხვედრაში უხელმძღვანელებს. "დიარიო ასისა" და "დიარიო მარკას" კორესპონდენტებმა ირურეტასთან დაკავშირება ვერაფრით მოახერხეს. სენიორ ხაბოს მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა. ხელმძღვანელობამ კი მისი საზოგადოებისთვის გუშინვე წარდგენა არ ისურვა. მოგვიანებით, "სარაგოსის" პრესსამსახურმა ოფიციალური რელიზი გაავრცელა, სადაც მოკლედ ეწერა, რომ ანდერ გარიტანოს ნებაყოფლობით გადადგომის შემდეგ არაგონული კლუბი რთულ სიტუაციაში ალმოჩნდა და ხელმძღვანელობამ ხავიერ ირურეტასთან ინტენსიური მოლაპარაკება გამართა. ბასკი სპეციალისტი შეთავაზებას დათანხმდა. ოფიციალური პრესრელიზი ჭორი ნამდვილად არ არის, ასე რომ, ბატონი ირურეტა "სარაგოსის" სრულუფლებიან მთავარ მწვრთნელად შეგვიძლია მივიჩნიოთ.

**ილია ნიკოლაიშვილი**


კრისტიანო რონალდოს დედა დოლორესი შვილს მადრიდში გადასვლას ურჩევს

ვარსკვლავი

# კრისტიანო რონალდოს დედა შვილს რეალში აგზავნის

"დიარიო ასმა" ჯერ კიდევ 29 დეკემბერს დაწერა, რომ სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა **კრისტიანო რონალდოს** შესაძენად სერიოზული ბრძოლის დაწყებას აპირებდა. მეამიტობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ტრანსფერი იანვარშივე გაიჩარხებოდა. საქმე იმდენად დიდ ვარსკვლავს ეხება, მისი შეძენა ასე მალე რა თქმა უნდა, ვერ მოხერხდებოდა. მუშაობა გრძელდება, **რამონ კალდერონი** და **პრედრაგ მიატოვიჩი** საშუალებებს ეძებენ, რათა კრისტიანო რონალდოს "ბერნაბეუზე" ჩასაყვანად უმოკლესი გზა იპოვნონ.

ჩვენ ჩვენსას ვცდილობდით და გადავწყვიტეთ, კუნძულ მადეირას დედაქალაქ ფუნჩალში ჩავსულიყავით. ეს სწორედ ის ქალაქია, სადაც რონალდო დაიბადა და დლემდე მისი დედა ცხოვრობს. **დონია დოლორესმა** დიდი სიამოვნებით გვიმასპინძლა. ვერც კი ვიფიქრებდით, რომ ის სახლში წაგვიყვანდა. ჩვენ მხოლოდ რომელიმე კაფეში შეხვედრის იმედი გვქონდა.

დონია დოლორესმა არ დამალა, რომ მადრიდელი ჟურნალისტების დანახვამ უზომოდ გაახარა. მან ძალიან კარგად იცის, თუ რაოდენ დიდია "რეალის" ინტერესი. როგორც გაირკვა, ფეხბურთელის დედა ოცნებობს, მისმა შვილმა "მანჩესტერი" რაც შეიძლება მალე დატოვოს და სამეფო კლუბში გააგრძელოს კარიერა.

ფინჯანი ყავისა და უგემრიელესი ნამცხვრის შემდეგ დოლორეს ავეირო გულწრფელად გაგვესაუბრა: *"რეალი" ჩემი ფავორიტი გუნდია. ფეხბურთში ძალიან კარგად ვერკვევი. ვცდილობ, არც ერთი საინტერესო შეხვედრა არ გამოვტოვო. კრისტიანოს თამაშებს, რა თქმა უნდა, სისტემატურად ვუყურებ, მაგრამ მხოლოდ ამით არ ვკმაყოფილდები და სხვა ქვეყნების ჩემპიონატებსაც ვადევნებ თვალს. ჩემი აზრით, პრიმერა დივიზიონს ვერც ერთი ლიგა ვერ შეედრება. "რეალი" კი პრიმერა დივიზიონის უძლიერესი კლუბია. ვიცი, მის ხელმძღვანელობას ჩემ შვილთან თანამშრომლობის დიდი სურვილი აქვს. უბედნიერესი ადამიანი ვიქნები, თუ მადრიდელები "მანჩესტერის" მესვეურებს მოელაპარაკებიან და კრისტიანოს "სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩაიყვანენ. იმედია, ყველა კარგად გამიგებს. როგორც მზრუნველ და მოსიყვარულე დედას ძალიან მინდა, ჩემი შვილი მსოფლიოს უძლიერესი გუნდის ლირსებას იცავდეს. ბუნებრივია, მას ვერაფერს დავაძალებ. კრისტიანო დამოუკიდებელი ადამიანია. საკუთარ ცხოვრებას პირადად განაგებს, მაგრამ ამასწინათ თავს უფლება მივეცი და ვუთხარი: შვილო, არ მინდა, ისე წავიდე ამ ქვეყნიდან, "რეალის" მაისურში გამოწყობილი არ გნახო-მეთქი. შესაძლოა, მეტისმეტად კატეგორიული ვიყავი, მაგრამ ვუთხარი ის, რასაც გულწრფელად ვფიქრობდი. ახლაც შემიძლია იგივე გავიმეორო, თუ კრისტიანო "რეალთან" გააფორმებს კონტრაქტს მრავალი წლის შემდეგ მშვიდად მოვკვდები. ვოცნებობ, სამეფო კლუბის ლიდერი გახდეს. თუ ჩემს ნანატრ კონტრაქტს გააფორმებს, მეც მადრიდში გადავალ საცხოვრებლად. ამ ქალაქზე ჭკუა მეკეტება. მანჩესტერში წასვლა იმიტომ არ ვისურვე, რომ იქ სულ წვიმს და მზე წელიწადში მხოლოდ რამდენიმე დლე აცხუნებს. მადრიდი სულ სხვა ქალაქია."*

უდავოა, კრისტიანო რონალდომ დედის სურვილის შესახებ ჩვენზე ბევრად ადრე შეიტყო. რამონ კალდერონი აქტიურ მოქმედებაზე უნდა გადავიდეს. რატომ? იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ დონია დოლორესი ყოველთვის ახერხებდა საკუთარი სურვილები მისი შვილისთვის თავს მოეხვია. თავად განსაჯეთ, კრისტიანომ ფეხბურთზე სიარული 9 წლის ასაკში, "მადეირას" საბავშვო გუნდში დაიწყო. 14 წლისამ "მარიტიმოს" მაცდუნებელი წინადადება მიიღო. მამამისი **დინისი** ალფრთოვანებული დარჩა, თუმცა დონია დოლორესმა შვილი აიძულა მასთან გაშორებული მამის ჭკუაზე არ გაევლო და "ნასიონალთან" გაეფორმებინა კონტრაქტი. მოგვიანებით, კიდევ ერთი არჩევნის გაკეთება გახდა საჭირო. რონალდოს "ბენფიკამ" და "სპორტინგმა" შეთავაზეს თანამშრომლობა. ფეხბურთელის მამა "ბენფიკას" ლობირებდა, დედა და მამინაცვალი კი "სპორტინგს". კრისტიანომ დონია დოლორესის საყვარელ კლუბთან გააფორმა ხელშეკრულება. მართალია, "მანჩესტერის" ვარსკვლავი ახლა პატარა ბავშვი ალარ არის, მაგრამ დედამისის კატეგორიული პოზიცია კალდერონისთვის ძლიერი კოზირია. მთავარია, "რეალის" პრეზიდენტი ამ კოზირს რამდენად ეფექტურად გამოიყენებს.

დამშვიდობების წინ დონია დოლორესს "დიარიო ასის" პროგრამისტების მიერ დამონტაჟებული პლაკატი ვაჩუქეთ. ქალბატონს ცრემლები წამოუვიდა, როცა მისი ვაჟი სამეფო კლუბის მაისურში გამოწყობილი დაინახა. ბოლოს ისიც თქვა, დარწმუნებული ვარ, მალე ეს ფოტო მონტაჟი ალარ დაგვჭირდება და ჩემს შვილს "ბერნაბეუსა" თუ სხვა სტადიონებზე არაერთ ნამდვილ სურათს გადაუღებთო...

**მარტინ რაულ ესტევესი**
დიარიო ასი

დეპორტივო

# ვალერონი დაბრუნდა

## ტრავმით გამოწვეულ ორწლიან ჯოჯოხეთს წერტილი დაესვა


ხუან კარლოს ვალერონი

ზუსტად ორწლიანი ტრავმისა და ტანჯვა-წვალების შემდეგ "დეპორტივოს" ექიმებმა **ხუან კარსლოს ვალერონს** ვარჯიშის განახლების უფლება მისცეს. კურიოზულია, რომ ვალერონს მარცხენა მუხლის ჯვარედინი მყესები 2006 წლის 22 იანვარს გაუწყდა. ექიმებმა კი ტრავმა საბოლოოდ მოშუშებულად 2008 წლის 22 იანვარს გამოაცხადეს. ალსანიშნავია, რომ "დეპორტივოს" უნიჭიერეს ნახევარმცველს 2007 წლის იანვარში ფეხბურთში დაბრუნების მცდელობა ჰქონდა, თუმცა პირველივე ვარჯიშზე ტრავმა გაუმიზეზდა და დარწმუნდა, რომ მკურნალობა გაცილებით მეტ დროს მოითხოვდა.

და აი, ის ბედნიერი დლეც დადგა, როცა ვალერონი ჟურნალისტების წინაშე წარდგა და განაცხადა, რომ აბსოლუტურად ჯანმრთელია: *"ჯანმრთელი ვარ! არც კი მჯერა. ბოლოს ვფიქრობდი, რომ სამუდამოდ დავინვალიდდი. მადლობა ლმერთს, ჩემი შიში უსაფუძვლო ალმოჩნდა. არ ვიცი რა უნდა ვთქვა. წარმოიდგინეთ, ზუსტად ორი წელი გამიცდა. ეს მთელი ეპოქაა. ასაკიც მომემატა. შესაძლოა, ალარც ლირდეს მოედანზე დაბრუნება, მაგრამ გადაწყვეტილი მაქვს ერთხელაც ვცადო. იმედია, თავს არ შევირცხვენ. ახლა გულმოდგინედ უნდა ვივარჯიშო. შეიძლება ითქვას, რომ ფეხბურთელი თავიდან უნდა გავხდე. ორგანიზმი აბსოლუტურად მოდუნებულია. ყველა კუნთი მოდუნებული მაქვს. გულწრფელად რომ ვთქვა, უამრავი დაბრკოლების გადალახვაა საჭირო, მაგრამ მე ეს არ მაშინებს. ფეხბურთის თამაში იმდენად მიყვარს და მსიამოვნებს, უკან არაფერზე დავიხევ. მსურს, "დეპორტივოს" ხელმძღვანელობას უდიდესი მადლობა მოვახსენო. მიუხედავად იმისა, რომ გუნდს მთელი ორი წლის განმავლობაში ვერაფრით ვეხმარებოდი, ისინი მუდამ გვერდში მედგნენ და ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რათა თავი უბედურად არ მეგრძნო. ჩემგან განსაკუთრებულ მადლობას ექიმები იმსახურებენ. კაცმა რომ თქვას შესაძლოა, ბოდიში უფრო მქონდეს მოსახდელი. რაც მე ისინი დავტანჯე. სულ თავს მევლებოდნენ და დაუზარელად მუშაობდნენ. მოკლედ, ულრმესი მადლობა ყველას, ვინც მამხნევებდა და მეხმარებოდა. ლმერთო, მომეცი იმის ძალა, რომ დავბრუნდე და თავი არ შევირცხვინო. ჩემი ოჯახი ამას ვერ გადაიტანს. ცუდზე ფიქრი არ მინდა. მჯერა, შეუძლებელს გავაკეთებ."*

დორტმუნდი

# ვის ენდობა დოლი მეორე წრეში?

## ბორუსია საკადრო გადაწყვეტილებების მოლოდინში

დორტმუნდის „ბორუსიის" მთავარი მწვრთნელი **თომას დოლი**, რომელიც დღეს BVB-სთან ახალ კონტრაქტს გააფორმებს, მარბელიური შეკრებიდან კმაყოფილი კი დაბრუნდა, მაგრამ მისმა გუნდმა პირველივე ტურნირზე გაახსენა ყველას, რომ არასტაბილურობის საუკეთესო ნიმუშია. „ბორუსია" ბუნდესლიგის პირველ წრეში არაპროგნოზირებადი და ძალიან არასტაბილური გუნდი იყო. გაიხსენეთ, მეხუთე ტურში BVB-მ ბრემენის „ვერდერი" 3:0 გაანადგურა და ის ის იყო, ყველამ იფიქრა, რომ დოლმა წარმატების გასაღებს მიაგნო, რომ მეექვსე ტურში ვესტფალიელები „ჰერტასთან" 2:3 დამარცხდნენ, მეშვიდე ტურში საკუთარ მოედანზე „ჰამბურგთან" 0:3 განადგურდნენ, მერვეში კი, „კარლსრუესთან" წააგეს 1:3. შორს ნუღარ წავალთ, პირველი წრის ბოლო ორი ტური გავიხსენოთ: მე-16 ტურში „ბორუსიამ" ბილეფელდის „არმინია" მინასთან გაასწორა (6:1), მე-17 ტურში კი ვოლფსბურგში განადგურდა (0:4).

მარბელიური შეკრების შემდეგ დოლი ამბობდა, ყველაფერი კარგადააო, მაგრამ „დორტმუნდს" პირველივე ტურნირზე არასტაბილურობა დაეტყო. თავად განსაჯეთ, დიუსელდორფში გამართულ ოთხთა ტურნირზე „ბორუსიამ" ნახევარფინალში „ლევერკუზენი" 5:0 გაანადგურა, ფინალში კი, რეგიონალლიგის წარმომადგენელ „დიუსელდორფთან" 0:1 წააგო. 29 იანვარს BVB გერმანიის თასის მერვედფინალში „ვერდერს" უნდა შეხვდეს და როგორც დოლი ამბობს, უკვე ცნობილია ის კონტიგენტი, რომელსაც თომასი მეორე წრეში დაეყრდნობა.

მეკარის საკითხი გარკვეულია. მას მერე, რაც ძირითადმა გოლკიპერმა **რომან ვაიდენფელერმა** ტრავმა მიიღო, ხოლო **იენს ლემანმა** კი „დორტმუნდში" გადასვლაზე უარი თქვა, გადაწყდა, რომ მეორე წრეში „ბორუსიის" კარს სათადარიგო გოლკიპერი **მარკ ციგლერი** დაიცავს.

რაც შეეხება დაცვას. BVB-ს პირველ წრეში ყველაზე მეტად სწორედ ამ ხაზში უჭირდა და შესაბამისად, დოლმა დაცვაზე მაგრად იმუშავა. შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ, ყველაზე კარგად (რაც არ უნდა გასაკვირი იყოს) **რობერტ კოვაჩი** გამოიყურებოდა, მაგრამ კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ეს ფეხბურთელი ძალიან უიღბლოა. თქვა თუ არა დოლმა, უახლოეს მატჩებში კოვაჩს ძირითად შემადგენლობაში თამაში განაღდებული აქვსო, ხორვატმა მცველმა ტრავმა მიიღო და ჯერჯერობით უცნობია, რამდენ ხანს დაისვენებს. მასთან ერთად, შეკრება ნაყოფიერად გამოიყენა და დოლის თქმით იდეალურ ფორმაშია **მარტინ ამედიკი**, რომელიც აქამდე ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელად არ მოიაზრებოდა. მწვრთნელი ამედიკით ძალიან კმაყოფილია და არ მალავს, რომ მომავალ ოფიციალურ მატჩებში სწორედ აყლაყუდა მარტინს მიენდობა. და რაკი კოვაჩმა ტრავმა მიიღო, დაცვის ცენტრში დარჩენილი მეორე ადგილისთვის **მარკუს ბრჟენსკა**, „ბაიერნიდან" არენდით აყვანილი **მატს ჰუმელსი** და ვეტერანი **კრისტიან ვიორნსი** იბრძოლებენ. ანუ, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ბებერი ვიორნსისთვის ეს უკანასკნელი შანსია. ვიორნსმა, შეკრებაზე ძალიან მონდომა, ტესტ-მატჩებში კარგი შთაბეჭდილება დატოვა და ჩვენი გერმანელი კოლეგებიც წერენ, რომ ჯერ „ვერდერთან" (თასზე), მერე კი ბუნდესლიგის მე-18 ტურშიც (დუისბურგში), ამედიკის გვერდით სწორედ ვიორნსი დადგება. არადა, კატასტროფულად ჩატარებული პირველი წრის შემდეგ, „დორტმუნდის" ქომაგებს ვეტერან კაპიტანზე უკვე ხელი ჰქონდათ ჩაქნეული.

ფინალში, „დიუსელდორფთან" დაცვის მარჯვენა ფლანგი ჰუმელსმა გაამაგრა და საკმაოდ კარგად იასპარეზა, თუმცა ამ პოზიციაზე, სანამ **ფილიპ დეგენი** ტრავმირებულია, დოლი უპირატესობას ახალწვეულ **ანტონიო რუკავინას** ანიჭებს. ეს უკანასკნელი ძალიან სწრაფი და მებრძოლი ფეხბურთელია – ზუსტად ისეთი, როგორებიც თომასს მოსწონს. დაცვის მარცხენა ფლანგზე კი სალაპარაკო არაფერია – ამ პოზიციაზე **დედეს** ვერავინ აჯობებს.



მარტინ ამედიკი

რაც შეეხება ნახევარდაცვას. „დიუსელდორფთან" **სებასტიან კელმა** (საყრდენი) და **ტინგამ** (მარჯვენა ფლანგი) ტრავმების გამო ვერ იასპარეზეს. ისე კი, მათ ძირითად შემადგენლობაში თამაში ფაქტობრივად განაღდებული აქვთ. იგივე ითქმის **ჯოვანი ფედერიკოსა** (გამთამაშებელი) და **ფლორიან კრინგეზე** (მარცხენა ფლანგი). ჯერჯერობით ცუდად აქვს საქმე **იაკუბ ბლაშჩიკოვსკის**, იგივე კუბას, რომელიც არასტაბილურად გამოიყურება.

თავდასხმაში **ალექსანდერ ფრაი** ჯერ კიდევ ტრავმირებულია, თუმცა მისი დაბრუნება თებერვლის პირველ ნახევარში იგეგმება. მანამდე თავდასხმის დუეტი გარკვეულია: **მლადენ პეტრიჩს**, რომელიც პირველ წრეში კრინგესთან ერთად საუკეთესო დორტმუნდელი იყო, მხარში **ნელსონ ვალდესი** ამოუდგება, რომელიც ბოლო დროს ძალიან გამოსწორდა. „ლევერკუზენთან" ვალდესმა დუბლი შეასრულა და უნდა აღინიშნოს, რომ პირველ წრეში მან მხოლოდ ორი გოლი გაიტანა, აქედან ერთი პენალტით.

**გოტფრიდ ლენცი**

შალკე

# ვის ამოაგდებს სანჩესი?

## ლოვენკრანდსს, ჰალილს და ასამოას სკამზე ჯდომის საფრთხე ემუქრებათ...

დღეს 28 წლის **ვისენტე სანჩესი**, რომელიც „შალკემ" ახლახან შეიძინა, გელზენკირხენული კლუბის შემადგენლობაში პირველად ივარჯიშებს. მისი მოსვლით „შალკეს" წინა ხაზში კონკურენცია ძალიან გაიზარდა. *„ის ძალიან სწრაფი, დრიბლინგების მოყვარული და ძლიერი დარტყმის მქონე ფეხბურთელია,"* – ასე ახასიათებს სანჩესს „შალკეს" მენეჯერი **ანდრეას მიულერი** და ფაქტია, რომ ურუგვაელი ფორვარდი ძირითად შემადგენლობაში მოხვედრის კანდიდატია.

ფაქტია ისიც, რომ ამიერიდან **ჰალილ ალთინთოფს**, **ჯერალდ ასამოას** და **პეტერ ლოვენკრანდსს** სასტარტოში მოსახვედრად ბრძოლა მოუწევთ. სანჩესის პირველი მსხვერპლი ალბათ ლოვენკრანდსი იქნება, რომელმაც პირველ წრეში არადამაჯერებლად იასპარეზა და ველარ დაიკვეხნის ისეთი შედეგებით, როგორიც შარშანდელ სეზონში ჰქონდა. ლოვენკრანდსმა პირველ წრეში 14 თამაში ჩაატარა და არცერთი გოლი არ გაუტანია, რაც თავდამსხმელისთვის, დაგვეთანხმებით, ცუდი შედეგია. შანსი იმისა, რომ სანჩესმა ძირითადი შემადგენლობიდან სწორედ დანიელი ლოვენკრანდსი ამოაგდოს, 90 პროცენტს უტოლდება.

მეორე წრის დაწყებას შიშით ელოდება ასამოაც, რომელსაც სანჩესის გარდა კიდევ ორი კონკურენტი ჰყავს. თავდასხმაში სანჩესი, ფლანგზე კი, მისი ადგილისთვის პრეტენზიას ორი ახალწვეული აცხადებს: **ზე რობერტო II** და **ალბერტ შტრაიტი**. ყველაზე კარგად საქმე ჰალილ ალთინთოფს აქვს, რომელმაც სეზონის პირველ ნახევარში „შალკეს" მაისური სულ 25 შეხვედრაში მოირგო და 3 გოლი გაიტანა. 30 იანვარს, გერმანიის თასის მერვედფინალში „შალკე" „ვოლფსბურგს" ხვდება და ამ შეხვედრაში ჰალილი სავარაუდოდ **კევინ კურანის** შეცვლის, რომელსაც ამჟამად მცირე ტრავმა აწუხებს. სეზონის დაწყებამდე ჰალილმა თქვა, ამ სეზონში მინიმუმ 10 გოლი უნდა გავიტანოო და ახლა მის ანგარიშზე მხოლოდ 3 გოლია, რაც იმას ნიშნავს, რომ მეორე წრეში ძალიან უნდა მოუმატოს.



ვისენტე სანჩესს ასეთი დარტყმებიც ეხერხება

ბაიერნი

# პიტცფელდმა ხელები დაიბანა

## თუ პოდოლსკი ევრო 2008-ზე ვერ მოხვდება, ეს ჩემი პრობლემა არააო...

მარბელიური შეკრებიდან დაბრუნების შემდეგ, „ბაიერნის" მთავარი თემა **ლუკას პოდოლსკი** გახდა. ზამთრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ბევრი დრო აღარ დარჩა (31 დეკემბერი) და მოულოდნელად სულაც არაა გამორიცხული ის, რომ რეკორდმაისტერმა პოლდი გაასხვისოს. გუშინ, მიუნხენური გიგანტის გენერალურმა მენეჯერმა **ული ჰიონესმა** დაადასტურა, რომ პოდოლსკის გასხვისებაზე ფიქრობს.

„ბილდის" ინფორმაციით, „ბაიერნს" პოდოლსკის გადაბირების სურვილით უკვე მიმართა „მანჩესტერ სიტიმ". საუბარია ლუკასის იჯარით განათხოვრებაზე და ცხადია, „ბაიერნს" არ უნდა, რომ თავისი ფეხბურთელი უშუალო კონკურენტს („ვერდერს", „შტუტგარტს" ან „ჰამბურგს") დაუთმოს. აი, „მანჩესტერ სიტიში" განათხოვრება კი ნამდვილად რეალურია.

*„გაურკვევლობაში ვარ. ასეთი გადაწყვეტილების მიღება ჩემთვის ძალიან ძნელია. მინდა, პოდოლსკის დავეხმარო, რომ ევროპის ჩემპიონატზე მოხვდეს და იასპარეზოს და თუ გავანათხოვრებთ, ასეც იქნება,"* – აცხადებს რეკორდმაისტერის მენეჯერი. მაგრამ თუ პოლდი „ბაიერნს" დატოვებს, მიუნხენურ გრანდს მხოლოდ სამი თავდამსხმელი დარჩება და ვინიცობაა, **ლუკა ტონიმ** ან **მიროსლავ კლოზემ** ტრავმა მიიღოს, რომ ბავარიელებს წინა ხაზში მდგომარეობა კატასტროფულად დაუმძიმდებათ.

„ბაიერნის" მთავარ მწვრთნელ **ოტმარ ჰიტცფელდისთვის** პოდოლსკის გასხვისება დიდ რისკთანაა დაკავშირებული და შესაბამისად, მას ლუკასის გაშვება არ უნდა. ბავარიული გიგანტის დამრიგებლის რანგში ეს ჰიტცფელდისთვის ბოლო სეზონია და მას სამივე ტიტულის მოგება სურს. სწორედ ამიტომ, „გენერალი" გარისკვის მომხრე არაა და პოდოლსკის შენარჩუნება სურს.

*„დიახ, მეც ვიცი, რომ დიდი შანსია, პოდოლსკიმ ევროპის ჩემპიონატზე არ ითამაშოს. მაგრამ მისი გასხვისების შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ სამი თავდამსხმელი დაგვრჩება. თუკი პოლდი ავსტრია-შვეიცარიაში ვერ გაემგზავრება, ეს სულაც არ იქნება ჩემი პრობლემა,"* – გამკაცრებული ტონით საუბრობს ჰიტცფელდი. თვითონ ფეხბურთელი ყოველგვარი კომენტარის გაკეთებაზე უარს აცხადებს...



ლუკას პოდოლსკი ფიქრობს, ღირს თუ არა ბაიერნში დარჩენა

ფეხბურთელი დილემის წინაშე

# გერმანია და თურქეთი იოზბექს ვერ იყოფენ

## ფათიჰ თერიმი ტალანტს ევროპის ჩემპიონატზე წაყვანას ჰპირდება. არადა, ის გერმანიის საფეხბურთო სკოლის აღზრდილია...



ბარის იოზბექმა უნდა გადაწყვიტოს: გერმანია ან თურქეთი

გერმანიაში დაახლოებით 5 მილიონი თურქი ცხოვრობს. და როგორ გგონიათ, რამდენი მათგანია ფეხბურთელი? ამის გამოთვლა არ არის იოლი, ჩვენ კი იმის თქმა გვინდა, რომ „გალათასარაის" ნახევარმცველ **ბარის იოზბექს** ვერ გადაუწყვეტია, გერმანელობა აირჩიოს, თუ თურქობა. ეს უკანასკნელი გერმანიაში დაბადებული და გაზრდილია, ზაფხულში ესსენის „როტ-ვაისიდან" „გალათასარაიში" გადავიდა და მას მერე თურქები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი სამშობლოში დატოვონ.

იოზბექი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ლიდერია. ახალგაზრდულ ბუნდესგუნდში მას 11 თამაში აქვს ჩატარებული (2 გოლი). თუმცა მისი ფესვები თურქეთშია და ფეხბურთელიც სერიოზული დილემის წინაშე დგას – გერმანია თუ თურქეთი?

*„ბარის იოზბექი გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების შეუცვლელი ფიგურაა. მე მას ორშაბათს ვესაუბრე და პირობა მომცა, რომ მომავალ მატჩებში ჩვენს გუნდს აუცილებლად დაეხმარება. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება კი ძალიან უჭირს და მოსაფიქრებლად დრო ითხოვა. მინდა კიდევ ერთხელ გავიმეორო, რომ იოზბექი ჩვენს გეგმებში მთავარ როლს თამაშობს,"* – ეს სიტყვები გერმანიის 21-წლამდელთა ნაკრების დამრიგებელ **დიტერ აილტსს** ეკუთვნის, რომელსაც იოზბექის დათმობა არ სურს.

თუმცა პირობას, რომელიც ფეხბურთელმა აილტსს მისცა, ვადა მხოლოდ და მხოლოდ მაისის ბოლომდე აქვს. მაისის ბოლოს თურქეთის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ფათიჰ თერიმმა** ევროპის ჩემპიონატზე გასამგზავრებელი შემადგენლობა უნდა დაასახელოს. საქმე იმაშია, რომ თერიმი ამბობს, თუ იოზბექი გადაწყვეტილებას თურქეთის სასარგებლოდ მიიღებს, ავსტრია/შვეიცარიაში წავიყვანო. იოზბექს ჯერჯერობით არც თურქეთისთვის უთქვამს უარი და არც გერმანიისთვის. მაისის ბოლომდე ის ახალგაზრდულ ბუნდესგუნდში ორ მატჩს ჩაატარებს – 5 თებერვალს ბელგიასთან, 25 მარტს კი ლუქსემბურგთან.

*„გადაწყვეტილების მიღება ძალიან მიჭირს. ფაქტია, რომ ამ ორი ვარიანტიდან ის უნდა ვამჯობინო, სადაც უფრო უკეთესი პერსპექტივა მექნება. თერიმმა ერთ-ერთ საგაზეთო ინტერვიუში განაცხადა, რომ ევროპის ჩემპიონატზე წამიყვანს. ეს სერიოზული პერსპექტივაა და მეც არ გამოვრიცხავ, რომ გადაწყვეტილება თურქეთის სასარგებლოდ მივიღო,"* – ამბობს ფეხბურთელი. იმ შემთხვევაში, თუ ახალგაზრდა ფეხბურთელი ევროპის ჩემპიონატზე იასპარეზებს, ფაქტია, რომ მისი ფასი მინიმუმ გასამმაგდება.

ბოლოს კი გეტყვით, რომ ცოტა ხნის წინათ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელი **სერქან ჩალიქიც** ასეთივე დილემის წინაშე იდგა. მას გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებში 5 თამაში ჰქონდა ჩატარებული. „გალათასარაიში" გატარებული ექვსი თვის შემდეგ კი, თურქეთის ნაკრებში თამაში ამჯობინა და გერმანიას უგანა. მან თქვა, თურქეთის ეროვნულ ნაკრებში მოხვედრის გაცილებით მეტი შანსი მაქვს, ვიდრე გერმანიის ნაკრებშიო და სამშობლოში დაბრუნდა.

**გოტფრიდ ლენცი**

ვერდერი

# რა უბედურებაა, ფრინგსი ისევ დაშავდა

## იენსენმა კი კონტრაქტი გააგრძელა

ბრემენის „ვერდერი“ შოკშია! დიდი ხანი არ გასულა მას მერე, რაც „მუსიკოსებს“ **ტორსტენ ფრინგსი** გამოუჯანმრთელდათ. გერმანიის ნაკრების საყრდენმა ნახევარმცველმა ვარჯიში ცოტა ხნის წინათ-განაახლა, მაგრამ... ტორსტენის უიღბლობას ბოლო არ უჩანს – ფრინგსი ისევ დაშავდა! ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, მას იძულებითი პაუზა 6-დან 8 კვირამდე გაუგრძელდება, რაც „ვერდერისთვის“ სერიოზული დარტყმაა.

*„არ ვიცი, ეს როგორ მოხდა. მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ეს ნამდვილად არაა ჩემი წელი. უიღბლობა დამჩემდა. ისე გამოდის, რომ ფაქტობრივად მთელი სეზონი მიცდება და არც კი მინდა იმაზე ფიქრი, რომ თუ ასე გაგრძელდა, ევროპის ჩემპიონატზე ვერ ვითამაშებ,“* – აცხადებს ფრინგსი.

*„ტორსტენის ტრავმა ჩვენთვის ნამდვილი კატასტროფაა. იმედი მქონდა, რომ მეორე წრეს მასთან ერთად დავიწყებდით, მაგრამ მოულოდნელად ისევ ტრავმა მიიღო. ვერ ამიხსნია, როგორ მოხდა ასეთი რამ,“* – წუხს ბრემენელთა დამრიგებელი თომას შააფი.

ამ მეტად არასასიამოვნო ინფორმაციასთან ერთად ბრემენული კლუბის ქომაგებმა კარგი ამბავიც შეიტყვეს: ნახევარმცველმა **დანიელ იენსენმა** „ვერდერთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე გააგრძელა. დანიელ ფეხბურთელს ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უმთავრდებოდა და „მუსიკოსთა“ ფანებს უკვე აღარ სჯეროდათ, რომ ბოსები იენსენს ახალ კონტრაქტზე დაითანხმებდნენ. ბუნდესლიგის პირველ წრეში იენსენმა 16 მატჩი ჩაატარა, ერთი გოლი გაიტანა და 5 საგოლე პასი მიითვალა. იენსენი „ვერდერში“ 2004 წლიდან თამაშობს. მაშინ მან „ვერდერს“ ესპანური „მურსიიდან“ მიაშურა.



ტორსტენ ფრინგსს მუხლმა ისევ უმტყუნა

ვეტერანი

# ედმუნდო ვასკოში დაბრუნდა

## რომარიომ მხეცის გაწვრთნა მოინდომა...



ძველი ამფსონები, ედმუნდო და რომარიო

ბრაზილიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ედმუნდო** “ვასკო და გამაში” ჩაირიცხა. 36 წლის ვეტერანს მისი ყოფილი თანაგუნდელი **რომარიო** გაწვრთნის. ედმუნდომ პროფესიული კარიერა 1990 წელს, ამავე კლუბში დაიწყო. ის “ვასკოში” მეოთხედ ბრუნდება. ედმუნდო სკანდალებით სახელმოხვეჭილი ფეხბურთელია, მაგრამ მას “სან ჟანუარიოზე” მაინც დიდ პატივს სცემენ. ედმუნდოს შესახვედრად სტადიონზე ასობით გულშემატკივარი მივიდა.

ფეხბურთელს კარიერის საუკეთესო პერიოდი 1990-იანი წლების მეორე ნახევარში ჰქონდა. მან “პალმეირასსა” და “ვასკოსთან” ერთად ბრაზილიის ჩემპიონატები მოიგო. შემდეგ იტალიას მიაშურა და ორი სეზონი (1997-99) “ფიორენტინის” ღირსებას იცავდა. 2001 წელს, რამდენიმე თვის განმავლობაში, ის “ნაპოლიშიც” ასპარეზობდა, მაგრამ კარიერის უმეტესი ნაწილი სამშობლოში გაატარა. 2002-03 წლებში ის იაპონიაში, “ტოკიო ვერდისა” და “ურავა რედ დაიმონდსის” შემადგენლობაში თამაშობდა.

2003 წელს, როდესაც ედმუნდო “ვასკოში” მესამედ დაბრუნდა, გუნდში რომარიო დახვდა. ფეხბურთელებს დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. საბოლოოდ ედმუნდო “ვასკოს” 20 მატჩის შემდეგ გამოეთხოვა. მას სამი წლით ადრეც ვადაზე ადრე მოუხდა გუნდიდან აბარგება. მიზეზი მაშინაც მწვრთნელებთან და თანაგუნდელებთან გართულებული ურთიერთობა იყო. ორი წლის წინ ედმუნდო კარიერის დასრულებას აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად “პალმეირასთან” ხანმოკლე კონტრაქტი გააფორმა. ის “ვასკოში” ერთი წლის განმავლობაში ითამაშებს. შემდეგ კი მის ბედს მთავარი მწვრთნელი რომარიო გადაწყვეტს. მოგეხსენებათ, არც რომარიო დაუსრულებია კარიერა, მაგრამ ცოტა ხნის წინ აკრძალული ნივთიერების მოხმარებაში გამოიჭირეს და რამდენიმეთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ედმუნდოს მიწვევა რომარიოს იდეა გახლდათ. ამის შესახებ ჟურნალისტებს პირადად ედმუნდომ განუცხადა და იქვე დაამატა, პრობლემების მიუხედავად, ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის პატივს ვცემდით და მომავალშიც ასე გაგრძელდებაო.

ვალენსია

# ალბელდა ფეხბურთიდან მიდის?

## კუმანი კი შემადგენლობის გაძლიერებას ცდილობს...

**დავიდ ალბელდა** პენსიაში გასვლას აპირებს. ფეხბურთელმა ამის შესახებ პირადად განაცხადა. 30 წლის ნახევარმცველს ესპანეთის ნაკრებში 50 მატჩი აქვს ჩატარებული. ის “ვალენსიაში” 1999 წლიდან თამაშობს და ამ ხნის განმავლობაში 213 შეხვედრა დაუგროვდა. გასული წლის მიწურულს ვალენსიელთა თავკაცმა **რონალდ კუმანმა** ალბელდას, **მიგელ ანხელ ანგულოსა** და **სანტიაგო კანისარესს** კარისაკენ მიუთითა. მწვრთნელის გადაწყვეტილებამ საყოველთაო გაკვირვება და განრისხება გამოიწვია. საქმეში “ღამურების” პრეზიდენტი **სოლერი** ჩაერია. კუმანთან მოთათბირების შემდეგ, მან ვეტერანებს სეზონის ბოლომდე კლუბში დარჩენა შესთავაზა. ალბელდა ამბობს, რომ ძირითადი გუნდიდან მოკვეთილს ნესიერად ვარჯიშის საშუალებაც კი არ ეძლევა. უცნობია, დაინტერესდა თუ არა მისი შეძენით რომელიმე კლუბი. დავიდს სხვაგან გადასვლა არ სურს.

ამასობაში, კუმანს ახალი პრობლემები შეექმნა. მან უკვე ორი ფეხბურთელი შეიძინა: ბოკახუნიორსელი **ევერ ბანეგა** და აიაქსელი **ჰედვიგეს მადურო**. მწვრთნელს კიდევ რამდენიმე ტრანსფერის გაჩარხვა სურს, მაგრამ თანხის უქონლობის გამო ამის გაკეთება შეუძლებელია. დირექტორატი დამატებით სახსრებს ველარ გამოყოფს. კუმანი ახალ ფეხბურთელებში მხოლოდ იმ ფულს დახარჯავს, რომელსაც ზედმეტი მოთამაშეების გაყიდვით მოიხვეჭს. ალბელდას, ანგულოსა და კანისარესის საკითხი სწოროედ ახლა იძენს განსაკუთრებულ აქტუალობას. ვეტერანებმა დროულად უნდა მონახონ ახალი კლუბები, თუმცა ისინი “მესტალიიდან” აბარგებას არ ჩქარობენ. ფულის არქონის შედეგია თითქმის ჩაშლილი მოლაპარაკებები მოსკოვის ცსკასთან. კუმანს ბრაზილიელი თავდამსხმელის, **ჟოს** შეძენა სურდა. მოსკოველებმა 20 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ 12 მილიონი ევრო მოითხოვეს. ესპანურ გრანდს კი ამის საშუალება არ აღმოაჩნდა.




დავიდ ალბელდა




დანიელ ლიუბოჟა მეორე წრეში ვოლფსბურგს დაეხმარება

ვოლფსბურგი. ტრანსფერები

# ლიუბოჟაც გამგელდა

## ვოლფსბურგი სერბი ფორვარდის ბოლო შანსია. მაგათი ბენალიოსაც ყიდულობს...

„ვოლფსბურგმა“ ბუნდესლიგის მეორე წრისთვის „ჰამბურგსა“ და „შტუტგარტში“ ათვალწუნებული თავდამსხმელი **დანიელ ლიუბოჟა** გადაიბირა. ტრანსფერი „მგლების“ ხელმძღვანელებმა გუშინ დაადასტურეს. სერბი ფორვარდი **ფელიქს მაგათის** გუნდში განათხოვრების წესით სეზონის ბოლომდე ითამაშებს და იმ შემთხვევაში, თუ „დესპოტ ფელიქსს“ თავს მოაწონებს, „ვოლფსბურგი“ ზაფხულში მას ორწლიან კონტრაქტს გაუფორმებს, რადგან „მგლებმა“ მისი უპირატესი შესყიდვის უფლება მიიღეს.

ლიუბოჟა „ვოლფებს“ პორტუგალიურ შეკრებაზე გაჰყვა და როგორც ჩანს, მაგათი თავის შესაძლებლობებში დაარწმუნა. თავდამსხმელს, რომელსაც სერბეთის ნაკრებში 18 თამაში აქვს ჩატარებული, ბუნდესლიგაში „შტუტგარტისა“ და „ჰამბურგის“ რიგებში 42 მატჩში მიუღია მონაწილეობა და 13 გოლი აქვს გატანილი. მიმდინარე სეზონის პირველ წრეში მას შვაბურ კლუბში ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია – მეორე გუნდთან ერთად ვარჯიშობა და პირველი გუნდის განაცხადშიც კი ვერ ხვდებოდა. „ვოლფსბურგი“ მისთვის შესაძლებლობების გამოვლენის უკანასკნელი შანსია.

*„მძიმე დროება წარსულს ჩაბარდა. ამიერიდან დამჯერი ბიჭი ვიქნები და აღარაფერს დავაშავებ,“* – აცხადებს ლიუბოჟა, რომელიც აქამდე მუდმივად სკანდალებში იყო გახვეული და მხოლოდ უდისციპლინობით გამოირჩეოდა, – *„ახლა მხოლოდ აწმყოზე და მომავალზე ვფიქრობ. მინდა, ვიშრომო და დავამტკიცო, რომ გაცილებით მეტი შემიძლია!“* როგორც ჩანს, სერბი აზრზე მოვიდა, რადგან მაგათთან მას უდისციპლინობა ნამდვილად არ გაუვა და რომ არ შეცვლილიყო, „დესპოტი ფელიქსი“ მას თავისთან ნამდვილად არ უხმობდა, რადგან ყველამ იცის, რომ მაგათი დისციპლინის ფანატიკოსია.

რამდენიმე დღის წინათ ვოლფსბურგელებმა კიდევ ერთი ტრანსფერი სრულყვეს – მაგათმა იაპონიის ნაკრების ფეხბურთელი **მაკოტო ჰასებე** გადაიბირა. ფელიქსს ახლა მხოლოდ მეკარის საკითხილა აღარდებს. როგორც იცით, მან **სიმონ იენტცში** გუნდიდან მოკვეთა. ადრეც გაცნობეთ, რომ ფავორიტი 26 წლის შვეიცარიელი კიპერი **დიეგო ბენალიოა**, რომელსაც მაგათი „შტუტგარტში“ მუშაობის დროიდან იცნობს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, ტრანსფერი მალე განხორციელდება. ახლა ბენალიოს მრჩეველი, მისი კლუბი (ნასიონალი) და „ვოლფსბურგი“ უკანასკნელ დეტალებს ათანხმებენ. მოკლედ, „ვოლფსბურგი“ მეორე წრეს სრულ მზადყოფნაში შეხვდება.

### პეპე ერთი თვე ვერ ითამაშებს

სამეფო კლუბის სამედიცინო შტაბმა მწვრთნელებსა და გულშემატკივრებს ცუდი ინფორმაცია შეატყობინა. **პეპეს** მარჯვენა ბარძაყის კუნთი გაუწყდა და ლაზარეთში ამოჰყო თავი. ექიმებმა საგულდაგულო სამედიცინო შემოწმების წყალობით დაადგინეს, რომ მათ პაციენტს სულ მცირე 4 კვირით მოუწევს დასვენება. საუკეთესო შემთხვევაში 30 მილიონ ევროდ შეძენილი მცველი მხოლოდ “რომასთან” საჩემპიონთალიგო შეხვედრისთვის შეძლებს დაბრუნებას. შეგახსენებთ, პეპემ ტრავმა “ატლეტიკოსთან” საკვირაო დერბიში მიიღო. ფეხბურთელმა შეცვლა უკვე მეათე წუთზე ითხოვა. **ბერნდ შუსტერი** შეგირდის მდგომარეობით უკიდურესად შეშფოთებულია: *“ვწუხვარ, რომ ასე მოხდა. პეპე გენიალური მცველია და მომდევნო მატჩებში ძალიან დაგვაკლდება. მას შემცვლელს აუცილებლად მოვუნახავთ, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია განვაცხადო, რომ პეპეს გარეშე ძალიან გაგვიჭირდება.”* სავარაუდოდ შუსტერი ტრავმირებულ შეგირდს ლაზარეთიდან ახლახანს დაბრუნებული **კრისტოფ მეტცელდერით** შეცვლის. ყველაფერი ალბათ, იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად სწრაფად აღიდგენს ფორმას გამოცდილი გერმანელი მცველი.

### ანჩელოტი, 2007 წლის საუკეთესო მწვრთნელი

“მილანის” თავკაცი **კარლო ანჩელოტი** 2007 წლის მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელი გახდა. მას ეს საპატიო ტიტული ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ მიანიჭა. სტატისტიკოსებმა 2007 წლის საუკეთესო მეკარედ “იუვენტუსის” კარის დარაჯი **ჯანლუიჯი ბუფონი** დაასახელეს. მათი გამოთვლები საკმაოდ რთულ არითმეტიკულ ანგარიშს ეფუძნება. ანჩელოტიმ, რომელმაც გასულ წელს ჩემპიონთა ლიგა და მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგო, საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ **სერ ალექს ფერგიუსონს**. ინგლისის ნაკრების თავკაცმა **ფაბიო კაპელომ** რეიტინგში მხოლოდ მე-11 ადგილი დაიკავა, რომაელთა თავკაცმა **ლუჩანო სპალეტიმ** კი - მე-15. აქვე სტატისტიკოსთა მიერ დასახელებულ საუკეთესო ათეულს გაგაცნობთ: 1. კარლო ანჩელოტი (მილანი), 2. სერ ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერ იუნაიტედი), 3. **ხუანდე რამოსი** (ტოტენჰემი), 4. **არსენ ვენგერი** (არსენალი), 5. **ჟოზე მოურინიო** (უკლუბოდ), 6. **რაფაელ ბენიტესი** (ლივერპული), 7. **ფრანკ რაიკაარდი** (ბარსელონა), 8. **რობერტო მანჩინი** (ინტერი), 9. **მიგელ ანხელ რუსო** (ბოკა ხუნიორსი), 10. **გუსტავო ალფარო** (არსენალი, არგენტინა).

### ატლეტიკოს ორი ტრანსფერი

“ატლეტიკოს” არგენტინული “ინდეპენდიენტეს” თავდამსხმელი **ხერმან დენისი** სურს. ამ ბიჭმა აპერტურა შთამბეჭდავად ჩაატარა და იტალიური და ესპანური კლუბების ყურადღება მიიპყრო. მადრიდელებს “ინდეპენდიენტესთან” ჩინებული ურთიერთობა აქვთ. “ატლეტიკომ” სამხრეთამერიკელებისაგან **სერხიო აგუერო** შეიძინა. აქვე გეტყვით, რომ დედაქალაქურ კლუბს “იუვენტუსის” ფლეიმეიქერ ტიაგოზეც უჭირავს თვალი. გუნდი ნახევარდაცვის გაძლიერებასაც ეშურება. შესაძლო გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია.

### ტრაპატონი ვესტ ჰემის დირექტორად?

**ჯოვანი ტრაპატონი**, შეიძლება, “ვესტ ჰემში” დაინიშნოს. ამ ინფორმაციას ბრიტანული სააგენტოები ავრცელებენ. “ჩაქუჩების” თავკაც **ალან კერბიშლის** არაფერი ემუქრება. ხელმძღვანელობა მისი მუშაობით კმაყოფილია. სახელგანთქმულ იტალიელს კი, როგორც ამბობენ, სპორტული დირექტორის პოსტს შესთავაზებენ. უცნაური ისაა, რომ ინგლისში სპორტული დირექტორის მოვალეობებს, როგორც წესი, მთავარი მწვრთნელი ითავსებს ხოლმე. ამიტომაც ჰქვიათ ინგლისური კლუბების დამრიგებლებს მენეჯერები. ამჟამად ტრაპატონი ავსტრიაში მოღვაწეობს და ზალცბურგის “რედ ბულს” უდგას სათავეში. ინგლისში გადასვლასთან დაკავშირებით მას კომენტარი არ გაუკეთებია. ამასობაში, “არსენალი” “ვესტ ჰემის” მეკარე **რობერტ გრინით** დაინტერესდა. “დეილი ექსპრესის” ცნობით, “მეთოფეები” მზად არიან, ახალგაზრდა მეკარეში 7 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. გრინს იენს ლემანის შემცვლელად განიხილავენ.

### ჰერტას მორიგი შენაძენი

ბერლინის „ჰერტამ“ ბრაზილიელი **რაფაელის** შემდეგ მორიგი ტრანსფერი გაჩარხა. ბერლინელებმა „ვოივოდინას“ სერბი მცველი **გოიკო კაჩარი** შეიძინეს. ეს უკანასკნელი 20 წლისაა და დაცვის გარდა, საყრდენი და შემტევი ნახევარმცველის ფუნქციების შესრულებაც შეუძლია. კაჩარი, რომლის სანაცვლოდაც „ჰერტამ“ 3 მილიონი ევრო გადაიხადა, ბერლინელებთან კონტრაქტი 2012 წლამდე გააფორმა.



ინტერვიუ ლევან დათუნაშვილთან

# ორივე უნდა მოვიგოთ!

**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ 2 დივიზიონში ლევან დათუნაშვილისა და რეზო გიგაურის „მონლუსონი" ლიდერთა შორისაა და ფედერალ 1-ში დაბრუნებისთვის იბრძვის. ჩვენებურები, როგორც გაირკვა, ამ ნახევრად პროფესიულ გუნდში დიდხანს დარჩენას არ აპირებენდა თვალი ელიტარული დივიზიონებისკენ უჭირავთ. საკლუბო კარიერისა და ერთა თასის მოახლოებული მატჩების შესახებ ლევან დათუნაშვილს ვესაუბრეთ.**

- „მონლუსონმა" სეზონი კარგად ვერ დაიწყო, მაგრამ მერედამერე მდგომარეობა გამოვასწორეთ. ამჟამად სატურნირო ცხრილში მეორე ადგილზე ვართ. უკვე ლიდერები უნდა ვყოფილიყავით, რომ არა დასანანი მარცხი ბესო უდესიანის სუსტ გუნდ „შალონთან". თუმცა დაკარგული ჯერ არაფერია. კლუბის ხელმძღვანელებს გუნდის ფედერალ 1-ში დაბრუნება უნდათ. შანსი გვაქვს და ვფიქრობ, მას ხელიდან არ გავუშვებთ.

**- „მონლუსონში" უკვე მესამე სეზონია თამაშობთ. კიდევ დიდხანს აპირებთ დარჩენას ამ გუნდში?**

- არა, აღარ მინდა აქ დავრჩე. კარგ პროფესიულ გუნდში მინდა გადავიდე. „მონლუსონში". ნახევრადპროფესიონალები არიან. თან მუშაობენ, თან თამაშობენ. მარტო მე, რეზო გიგაური და კიდევ სამი აფრიკელი ვართ პროფესიული კონტრაქტით.

**- უკეთესი გუნდებიდან შემოთავაზება გაქვთ?**

- ჯერ ადრეა ამაზე ლაპარაკი, თებერვლის მიწურულიდან დაიწყება მოლაპარაკება. მსოფლიო თასის შემდეგ ქართველი მორაგბეებისადმი დაინტერესება მნიშვნელოვნად გაიზარდა. ვნახოთ, კარგი იქნება მე-2 დივიზიონის რომელიმე გუნდში თუ შევძლებ გადასვლას. ყოველ შემთხვევაში, მსოფლიო თასის წინ, ელიტის გუნდებთან, „ოშთან" და „ალბისთან" თამაშისას გამოჩნდა, რომ ამ გუნდების მოთამაშეებს ერთი-ერთზე არაფრით ჩამოვუვარდებოდით.

**- თქვენი თანაგუნდელის, რეზო გიგაურის გეგმებიც ემთხვევა თქვენსას?**

- მასაც სურს უკეთეს გუნდში გადასვლა. რეზო სეზონის დასაწყისიდანვე ძირითადში თამაშობს, ძალიან კარგ ფორმაშია და დღეისათვის მის ანგარიშზე 8 ლელო დაგროვდა. მეორეს მხრივ, თუ „მონლუსონი" ფედერალ 1-ი გადავიდა და კლუბს ბიუჯეტი გაეზარდა, შესაძლოა დავრჩეთ კიდეც.

**- რა დონის კლუბია „მონლუსონი" ფინანსების მხრივ?**

- რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ფედერალ 2-ი ყველაზე მდიდარი კლუბია. ასე იყო ფედერალ 1-შიც, შარშან რომ ვთამაშობდით. რაგბი აქ ძალიან პოპულარულია და ქალაქის მერია დახმარებას გვპირდება. საკმაოდ ამბიციურებიც არიან. თუკი ბურგუენს, რომლის მოსახლეობაც 15 ათასი კაცია, პირველ დივიზიონში ჰყავს გუნდი, რატომ არ შეიძლება 50 ათასიან მონლუსონსაც ჰყავდეს? ერთი სიტყვით, აქაურებს გეგმები დიდი აქვთ, მაგრამ განხორციელდება თუ არა, ძნელი სათქმელია.

**- მალე ევროპის ერთა თასის გათამაშებაში პორტუგალიასთან საკმაოდ მძიმე შეხვედრა გელის. სხვადასხვა მიზეზების გამო ბევრი წამყვანი მოთამაშე დაგვაკლდება. როგორ ფიქრობთ, შევძლებთ პორტუგალიელების დამარცხებას?**

- სამუხაროდ არ ვიცი ნაკრებში როგორი შემადგენლობა იყრის თავს. როგორც არ უნდა იყოს, სახლში ვთამაშობთ და მეტოქე აუცილებლად უნდა დავამარცხოთ. თუ არ ვცდები, ვინც პორტუგალიასთან დაგვაკლდება, ისინი ერთი კვირის შემდეგ რუმინეთთან შემოგვიერთდებიან. ორივე შეხვედრა საკმაოდ რთული იქნება, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ორივეს მოვუგებთ. უკვე ერთი თვეა, მე და რეზო ამ თამაშებისთვის გაძლიერებულად ვემზადებით. მოწინააღმდეგეებს სრულ მზადყოფნაში დავხვდებით.

**- ნაკრებს ახალი მწვრთნელი, ავსტრალიელი ტიმ ლეინი დამოძღვრავს. რა იცით მასზე?**

- ტიმ ლეინს არ ვიცნობ, მაგრამ ჩემი თანაგუნდელები ამბობენ, ძალიან მაგარი სპეციალისტიაო. ის ერთი ხანობა „კლერმონში" მუშაობდა, რომელიც ჩვენი, ოვერნის რეგიონის გუნდია და ამიტომ კარგად იცნობენ.

ბესიკ ჯანგავაძე

სუმო

 იანვრის ბაშო

# ქართული სენსაციის მოლოდინში

**ლევან ცაგურიას (კოკაი)** მიზანი იანვრის ბაშოზეც პროზაული გახდა - დარჩენილი ხუთი ორთაბრძოლიდან მან ორი მაინც უნდა მოიგოს, რომ დადებითი ბალანსი დაიბევოს. მხოლოდ ამ შემთხვევაში წაიწევს წინ რეიტინგში მეცხრე მაეგაშირა კოკაი. არადა რომ არა ბოლო ორი მარცხი არცთუ ძალიან ძლიერ მეტოქეებთან, ის ახლა ლიდერთა შორის იქნებოდა. გუშინ კოკაიმ იორიკირით წააგო მე-12 მაეგაშირა **ფუტენოსთან**, რომელსაც, როგორც წესი, უგებს ხოლმე. კოკაის 6-4 ბალანსი გაუხდა. კოკაიმ თავი აარიდა სასტარტო დაჯახებას (ტაჩი აი), შემდეგ სცადა მეტოქის მარჯვენა ხელის დაჭერა. ორთაბრძოლა კარა ხანს გაგრძელდა, ბოლოს იაპონელმა ცაციით ხელთ იგდო კოკაის მავაში და შეძლო მეტოქის გაყვანა დოჰიოდან. დღეს კოკაის მეტოქე მასავით ექს-კომუსუბი **ივაკიამაა**. დღეისათვის მე-13 მაეგაშირა ივაკიამას, რომელიც 174 კილოს იწონის, 7-3 ბალანსი აქვს იანვრის ბაშოზე.

გუშინ „კოკუგიკანი" ბალიშების სროლის მოწმე გახდა, დამარცხდა აქამდე დაუმარცხებელი იოკოძუნა **ჰაკუჰო**, მონღოლს თანამემამულე **ამამ** აჯობა. არადა რომ მოეგო ჰაკუჰო პირველად რაც დიდი ჩემპიონი გახდა ბაშოზე ზედიზედ მეათე მოგებას იზეიმებდა. ბაშოს თითო წაგებით სამი მონღოლი ლიდერობს: ჰაკუჰო, **ასაშორიუ** და **კიოკუტენჰო**. ორ-ორი მარცხი აქვთ **კაკურიუს** და ფუტენოს. ერთი მოგებალა დარჩა ბულგარელ ჩემპიონ **კოტოოშუს** დადებითი ბალანსის დაბევებამდე, ეს კი მას ოძეკის ტიტულს შეუნარჩუნებს.

ძურიოში კი, შესაძლოა, ქართული სენსაციის მოწმენი გავხდეთ - ყოველ შემთხვევაში ბაშოს დასრულებამდე ხუთი დღით ადრე 20 წლის **ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი)** ტიტულის მოპოვების ერთ-ერთი ყველაზე რეალური კანდიდატია. გუშინ მან 23 წლის მონღოლ **მოკონამის** მოუგო იორიკირით. ლევანის ბალანსია 7-3. მასზე უკეთ მხოლოდ სამი სუმოისტი ასპარეზობს: **ჰოშიჰიკარი, კიტაძაკურა** და **კიტატაიკი**, მათ რვა-რვა მოგება აქვთ.

დღეს ტოჩინოშინს ძალზე გამოცდილი მეტოქე ელის, ძურიოს მეხუთე ნომერი **ტოიოძაკურა** 33 წლისაა, მას მაკუუჩის დივიზიონში ასამდე ბრძოლა აქვს მოგებული და „მებრძოლი სულის" პრიზიც მიუღია. 13 წლით უმცროსი ქართველი კი ცხოვრებაში პირველად ასპარეზობს 15-დღიან ბაშოზე.

ნიკოლოზ ნეფარიძე

**ჰაცუ ბაშო**
**(იანვრის სუპერტურნირი)**
13-27 იანვარი, ტოკიო (იაპონია)

**მაკუუჩი**

X დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი-ფუტენო 0:1 (იორიკირი), ასაშორიუ-ვაკანოსატო 1:0, ამა-ჰაკუჰო 1:0, კაიო-ამინიშიკი 1:0, კოტოოშუ-ასასეკირიუ 1:0, კოტომიცუკი-როჰო 1:0, ტოკიტენკუ-დეჯიმა 1:0, კისენოსატო-ტოიონოშიმა 1:0, გოეიდო-მიაბიამა 1:0, ტოჩინონადა-ბარუტო 1:0, ვაკაკირინი-ტამაკასუგა 1:0, კაკურიუ-ტაკეკაძე 1:0, კიოკუტენჰო-ტოჩიონძანი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 9-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა), ასაშორიუ (იოკოძუნა), კიოკუტენჰო (მაეგაშირა 10): 8-2: კაკურიუ (მ 8), ფუტენო (მ 12): 7-3: კაიო (ოძეკი), კოტოოშუ (ოძეკი), კისენოსატო (მ 1), ასასეკირიუ (მ 4), ტაკეკაძე (მ 7), ვაკანოჰო (მ 10), ივაკიამა (მ 13).

XI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი-ივაკიამა, ჰაკუჰო-ამინიშიკი, ასაშორიუ-კოტოოშუ, კოტომიცუკი-ვაკანოსატო, კაიო-კისენოსატო, ამა-ტოკიტენკუ, დეჯიმა-გოეიდო, ტოიონოშიმა-მიაბიამა, ჰომაშო-ტოჩინონადა, კიოკუტენჰო-ასასეკირიუ, ბარუტო-როჰო, კასუგაო-ტამაკასუგა, ვაკანოჰო-ჰოკუტორიკი, ფუტენო-ტაკეკაძე, კაკურიუ-ტოჩიოძანი.

**ძურიო**

X დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: ტოჩინოშინი-მოკონამი 1:0 (იორიკირი), ტოიოძაკურა-კორიუ 1:0, ჰაკუროძანი-კასუგანიშიკი 1:0, საკაიაძავარიუო 1:0, ჰოშიჰიკარი-კიტატაიკი 1:0.

სატურნირო მდგომარეობა. 8-2: ჰოშიჰიკარი (ძურიო 5), კიტაძაკურა (ძ 8), კიტატაიკი (ძ 11).7-3: საკაიძავა (ძ 3), ტოჩინოშინი (ძ 12), ტამავაში (ძ 13);

XI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: ტოჩინოშინი-ტოიოძაკურა, რიუოკოტოკასუგა, საკაიძავა-ჰოშიჰიკარი, ჰოჩიამა-ოცუკასა, კიტაძაკურა-შირონონამი, კიტატაიკი-ტამავაში.



კოკაი ფუტენოსთან დამარცხდა

ჩოგბურთი



ოქსანა კალაშნიკოვა

# ბადეში კვლავ ვერ გავიდა

**ოქსანა კალაშნიკოვამ** კვლავ ვერ შეძლო საერთაშორისო ტურნირის ძირითად ბადეში გასვლა, სეზონის რიგით მეორე ტურნირში ის ასპარეზობას ფინალურ საკვალიფიკაციო წრეში ასრულებს. კალაშნიკოვა მსოფლიოს 646-ე ჩოგანია, ის გერმანულ ქალაქ კაარსტში 10-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციო ბადეში მესამე ნომრად იყო განთესილი. მესამე, ფინალურ წრეში ოქსანა მე-14 ნომრად განთესილ ჩეხ **პავლა სმიდოვას** შეხვდა. თანატოლთა შეხვედრა დაძაბული გამოდგა, ქართველი სამ სეტში დამარცხდა - 6:0, 2:6, 6:7 (4). წყვილთა თანრიგში ოქსანა გერმანელ **დომინიკ პიროლს** შეუწყვილდა. კაარსტის შემდეგ კალაშნიკოვა ბუდაპეშტში წავა, სადაც „ფედერაციის თასზე" საქართველოს ნაკრების ლიდერობა მოუწევს, რადგან ჩვენ გუნდს ერთბაშად ექვსი (!) მოწინავე ჩოგბურთელი არ ეყოლება. მით უფრო შემაშფოთებელია კალაშნიკოვას ცუდი სპორტული ფორმა.

# ლაზარე ახალგაზრდულს დაუბრუნდა

გუშინ გამოქვეყნდა 18-წლამდელ ჩოგბურთელთა მსოფლიო რეიტინგ-ლისტი. **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელსაც სექტემბრის შემდეგ ახალგაზრდულ ასპარეზზე არ უთამაშია, მე-13 ჩოგანია (საუკეთესო შედეგი მე-11 ჩოგნობა სექტემბერში) 695 ქულით. 16 წლის **ეკა გორგოძე** 60 ქულით 554-ე ჩოგანია. **ანა ჯიქია** 41 ქულით 717-ე პოზიციაზეა. 12 ქართველი გოგონა კი რეიტინგში ათასეულს მიღმაა. ბიჭებში **ლაზარე კუხალაშვილი** 105-ე პოზიციაზეა 232 ქულით (საუკეთესო შედეგი 36-ე პოზიცია, შარშან იანვარში). ლაზარეს ახალგაზრდულ ასპარეზზე ივლისის მერე არ უთამაშია, თუმცა ის ახლა ბრუნდება. ჩეხეთში პირველი კატეგორიის ტურნირი DHL-ის თასი იწყება, სადაც ლაზარე მე-8 ნომრად არის განთესილი და პირველ წრეში ისვენებს. **ნიკოლოზ ბასილაშვილს** შესამჩნევი პროგრესი აქვს, ის უკვე 260-ე ჩოგანია. **ნიკოლოზ ქურდაძე** 328-ე პოზიციაზეა, ხოლო **გიორგი ხმიადაშვილი** - 418-ეზე. ხუთასეულში კიდევ ერთი ქართველია - **რევაზ ოსაძე** - 468-ე. გიორგი ხმიადაშვილი ახლახან ინდოეთში მესამე კატეგორიის ტურნირში ასპარეზობდა, სადაც პირველ წრეში დამარცხდა უზბეკ **რომან პიფტორთან** - 4:6, 4:6. ამავე ტურნირის საკვალკიფიკაციო ბადეში მეორე წრეში დამარცხდა **სერგო სიხარულიძე**.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ლაზარე კუხალაშვილი

თარიღი

**მუხრან ვახტანგაძე.** დაიბადა 22.01.1973, ბათუმი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (85 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (2001), 2000 წლის სიდნეის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი და ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (ჯგუფიდან ვერ გავიდა). ევროპის ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2003), მსოფლიოს თასის მფლობელი პირად (2003) და გუნდურ (2004) ჩათვლაში. ღირსებისა და ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენების კავალერი.

**გურამ გედეხაური.** დაიბადა 23.01.1962, გარდაბანი. ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (100 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1987), მსოფლიოს თასის მფლობელი (1987), სსრკ ჩემპიონი (1989) და სამგზის მეორე პრიზიორი (1987, 88, 90). ივან პოდდუბნის სახელობის საერთაშორისო ტურნირში ორგზის გამარჯვებული (1986, 88), 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების მონაწილე (VII ადგილი). საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (1993-94). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

**ბადრი ჯანიაშვილი.** დაიბადა 23.01.1972, ზემო ჩოჩეთი, კასპი. სამბო (57, 62, 68 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1977), მეორე (1996) და ორგზის მესამე (1993, 2002) პრიზიორი, ევროპის ჩემპიონატების მეორე (1996) და მესამე (2003) პრიზიორი. ღირსების მედლის კავალერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს თასი

# ავია ფინალში უთამაშებლად გავიდა

## ვინ დასაჯა დარბაზი?

| 22 იანვარი | | | | |
|---|---|---|---|---|
| სპორტის სასახლე | | | | |
| A ჯგუფი | | | | |
| მაკაბი-დინამო | | | | 92:97 |

20:25, 23:22, 22:36, 27:14

მაკაბი: ი. ბერიშვილი (3ქ, 6პ), სორდია (8ქ, 7პ, 6მ), გ. შერმადინი (50ქ, 14მ), პირველაშვილი (10ქ), ვაშაკიძე, ს. შერმადინი (15ქ, 8მ, 3პ), კორკოტაძე (6ქ, 3ჩ)

დინამო: ჟლენტი (21ქ, 4პ, 3ჩ), სიგუა (9ქ, 4ჩ), მაისურაძე (5ქ, 6მ, 3პ), ათანელიშვილი (10ქ, 8მ), ლაფანაშვილი (26ქ, 9მ, 3პ, 3ჩ), გულისაბედაშვილი (10ქ, 5მქ), ახალკაცი (16ქ, 5მ, 3ჩ), ნანიტაშვილი, ფაიქრიძე

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 2 | 1 | 1 | 3 |
| 2. ავიამშენი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. მაკაბი | 2 | 0 | 2 | 2 |

| B ჯგუფი | |
|---|---|
| თსუ-ვითა | 81:68 |

16:22, 24:17, 19:14, 22:15

თსუ: არწივიძე (15ქ, 7მ), ფანჩულიძე (23ქ), დ. ბერიშვილი (4ქ, 4პ), ბარბაქაძე (11ქ, 8მ), ყველაშვილი (2ქ), ხიზანიშვილი (2ქ), კეიდია (10ქ, 6მ), ტყეშელაშვილი (13ქ, 9მ), ივანეიშვილი (1ქ)

ვითა: მარხვაშვილი (17ქ), მარკოიშვილი (17ქ), ბეჟანიშვილი (9ქ, 6მ, 4პ), ნ. ნოზაძე (16ქ, 6მ, 3პ), ძიძიგური (2ქ), გასიტაშვილი (4ჩ), ცერცვაძე (3ქ)

მსაჯები: ზ. მაჩალაძე, ხ. გაბედავა

| A ჯგუფი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ენერჯი | 1 | 1 | 0 | 2 |
| 2. თსუ | 1 | 1 | 0 | 2 |
| 3. ვითა | 2 | 0 | 2 | 2 |

**დღეს:**

13:15 თსუ-ენერჯი

15:15 მაკაბი-ავიამშენი

გუშინ „დინამოსთან“ მატჩის დასრულებამდე 4 წამით ადრე **გიორგი შერმადინმა** ბურთი საკუთარი ფარიდან მოხსნა, მეტოქის კალათისკენ დაიძრა და საფინალო სირენასთან ერთად ეფექტურად ჩატენა. თუნდაც ამ კონკრეტული მაგალითის მოშველიებით შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ საქართველოს თასის მეექვსე გათამაშების მეორე ტური პირველზე საინტერესო იყო. თუკი დავამატებთ, რომ ამ ჩატენვამ ტაბლოზე შერმადინის 50-ე ქულა დააფიქსირა, იმის მტკიცებაც შესაძლებელია, რომ ეს მაჩვენებელი 2007-08 წლების სეზონის საუკეთესო შედეგია. საქართველოს მეთექვსმეტე ჩემპიონატში ყველაზე მეტი, 39 ქულა **ლაშა გამყრელიძემ** დეკემბერში ჩააგდო. ამასწინათ დასრულებულ ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე იმავე შერმადინს „ვითასთან“ 42 ქულა ჰქონდა. 39, 42, 50 - როგორც ხედავთ სარეკორდო ზღვარი ნელ-ნელა ზემოთ იწევს და იმედი დავიტოვოთ, რომ სეზონის ბოლომდე 76 ქულასაც ასცდება. შეგახსენებთ, რომ საერთო-ქართული რეკორდი სწორედ 76 ქულაა. მაკაბელმა გიორგი შერმადინმა შარშან, თასის გათამაშებისას თსუ-ს 76 ქულა „უძღვნა“.

ერთი წლით აქეთ გადმოვინაცვლოთ და ორიოდე სიტყვა „მაკაბი“ „დინამოს“ გუშინდელ დაპირისპირებაზე ვთქვათ. პირველ ტაიმში მაკაბელები, როგორც ყოველთვის შერმადინს ტვირთავდნენ და ისიც იშვიათად ცდებოდა. დინამოელები კი გუნდური თამაშის აწყობას ცდილობდნენ, მაგრამ ბოლომდე არ გამოსდიოდათ, თუმცა, **ჯამლეტ ხუხაშვილის** შეგირდებს მაინც თანაბრად ეთამაშებოდნენ. ასე გაგრძელდა მესამე პერიოდის მე-5 წუთამდე. „დინამო“ 60:56-ს იგებდა, როცა **ზაზა ცაგარეიშვილის** გუნდმა პერიმეტრიდან თამაშიააწყო, ჟლენტი-ლაფანაშვილის შორეული ტყორცნების წყალობით „დინამომ“ 11:0 სპურტი მოაწყო და 71:58 დაწინაურდა.

აქედან მოყოლებული მეორმოცე წუთამდე მაკაბელებმა ბევრი იჯახირეს მაგრამ სირენასთან ერთად სხვაობა შერმადინმა მხოლოდ 5 ქულამდე რომ შეამცირა (92:97) უკვე გითხარით.

ამ გამარჯვების მიუხედავად „დინამოს“ თასის ფინალში გასვლის შანსი აღარა აქვს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ დღეს „მაკაბი“ ძლიერ „ავიამშენს“ ხვდება, წინასწარ შეიძლება „ავიატორებისთვის“ ფინალისტობის მილოცვა. „მფრინავთა“ ნაცვლად ფინალში „მაკაბი“ მხოლოდ იმ შემთხვევაში გავა, თუ მეტოქეს 33 ქულის სხვაობით დაამარცხებს. ეს კი უტოპიის კუნძულელებისთვისაც წარმოუდგენელია.

„ვითა“-თსუ-ს მატჩისას ერთ-ერთი ფეხბურთზე მწერალი ჟურნალისტი დარბაზში შემოვიდა გაოცებით იკითხა - ეს არენა დაჯარიმებული ხომ არ არის, ტრიბუნები ცარიელი რატომააო?

დარბაზისკენ მიმავალმა თანმხვედრი მიმართულებით მიმავალი ხუთი ახალგაზრდის საუბარი მოვისმინე. მივხვდი, რომ კალათბურთზე მიდიოდნენ, მაგრამ უცებ ერთს გაახსენდა - აქ უბილეთოდ ვერ შევალთო. სპორტის სასახლის დაცვასთან მოლაპარაკება სცადეს, მაგრამ უარი რომ მიიღეს, უკან იმედგაცრუებულები გაბრუნდნენ. ის ახალგაზრდები არენაზე რომ შეეშვათ, ჟურნალისტი ხომ აღარ იტყოდა ტრიბუნები ცარიელი რატომ არისო? ჩემი მოკლე ჭკუით, კალათბურთზე ხალხის მოზიდვის მიზნით ბილეთზე ფასის გაუქმებაა აუცილებელი - ფული არც ასე შედის და არც ისე შევა...

შეიძლება, ზემოთნახსენებმა ახალგაზრდებმა უკეთესი გასართობიც მონახეს, მაგრამ არც „ვითა“-თსუ-ს დაპირისპირებისას მოიწყენდნენ. სტუდენტთა მწვრთნელმა ნუგზარ ჭეიშვილმა გუნდის ძალები თანაბრად გადაანაწილა, გამოცდილი კეიდია, ახალწვეული დავით ბერიშვილი („მაკაბიდან“ გადავიდა) ბოლოსთვის შემოინახა და გამარჯვებასაც მიაღწია. მაშინ როცა, სტუდენტებს დაღლა თითქმის არ დატყობიათ, ვითელთა ხუთეული მესამე პერიოდიდან აშკარად დაიღალა. ეს მწვრთნელმა ზურაბ ტომარაძემაც შენიშნა და ხელი ჩაიქნია - უკვე „ჟანგბადი გადაეკეტათო“. მაგრამ ბაჟანიშვილის, მარკოიშვილის, მარხვაშვილისა და ნიკო ნოზაძის სათანადოდ შემცვლელი სკამზე არ ჰყავდა...

დღეს თსუ-სა და „ენერჯის“ მატჩი გაარკვევს ვინ დაუპირისპირდება „ავიამშენს“ ფინალში.

ვაჟა სიმონიშვილი






კოკა ტომარაძე

# ტომარაძე და შენგელია სერბეთში

**სერბეთის** დედაქალაქ ბელგრადში დასრულდა ჭაბუკთა ტურნირი, რომელსიც ყოველწლიურად იმართება და მასში ევროპის საუკეთესო კლუბები მონაწილეობენ. სერბეთში ჩატარებულ შეჯიბრებაში ორი ქართველის გუნდი მონაწილეობდა: კოკა ტომარაძის „ბარსელონა“ და თორნიკე შენგელიას „ვალენსია“.

ტურნირის ფინალში მასპინძელმა „ცელეზნიკმა“ 79:78 დაამარცხა ტომარაძის „ბარსელონა“ და საპატიო თასს დაეუფლა. კოკა თანაგუნდელთა შორის ერთ-ერთი გამორჩეული იყო, თავი 17 ქულით (4-დან 4 ორქულიანი, 4-დან 3 სამიანი) და 2-2 მოხსნა-პასით გამოიჩინა. მასზე მეტი ქულა „ბარსას“ ცენტრმა დიუფმა მიითვალა. ეს აფრიკელი კატალონელებმა ტომარაძესთან ერთად ტენერიფეს „არონადან“ გადაიყვანეს. ფინალის სნაიპერი „ცელეზნიკის“ უკანახაზელი სუბოტიჩი გახდა - 36 ქულა.

ფინალის მიმოხილვიდან ვგებულობთ, რომ შეხვედრის სტარტზე სერბებმა სოლიდური უპირატესობა მოიპოვეს. თუმცა, მათი ფორა ქართველი უკანახაზელის მოედანზე გამოსვლასთან ერთად გაქრა - კოკამ რაც ისროლა ყველა კალათში მოათავსა. თუმცა, საბოლოოდ მასპინძლებმა კატალონელები ერთი ქულის სხვაობით რომ დაამარცხეს, ზემოთ გითხარით.

ფინალამდე „ბარსელონამ“ ჯერ თანამემამულე „ესტუდიანტესი“ დაამარცხა (90:72), შემდეგ - ფრანგული „პო ორტეზი“ (93:68), ხოლო ნახევარფინალში ხორვატიის „ციბონა“ - 88:67. ხორვატებთან კოკა ტომარაძემ 6 ქულა ჩააგდო, დანარჩენ მატჩებში ქართველის მონაგარი ვერ მოვიძიეთ.

ტურნირზე პირველობა „ცელეზნიკმა“ მოიპოვა, მეორე „ბარსელონა“ იყო, ხოლო თორნიკე შენგელიას „ვალენსიამ“ მეშვიდე ადგილი დაიკავა.

ვაჟა სიმონიშვილი

# ფარღალავა ფლორიდის უნივერსიტეტში ითამაშებს

**ამერიკის** კოლეჯთა ლიგის მთავარ დივიზიონში (NCAA) უკვე ორი ქართველი ირიცხება, „არკანზასელ“ **დიმიტრი ფაცაციას** წლის დასაწყისში **ლაშა ფარღალავა** დაემატა, რომელიც სამხრეთ ფლორიდის უნივერსიტეტმა აიყვანა. ფარღალავა „პენსაკოლას“ კოლეჯში თამაშობდა, სადაც მატჩში საშუალოდ 14 ქულა და 3 შედეგიან გადაცემას აკეთებდა. ლაშა ფარღალავა 20 წლის და 190 სმ. სიმაღლის მსროლელია. ფარღალავა და **დავით ერქვანია** „პენსაკოლაში“ ერთად თამაშობდნენ, რომელიც ახალგაზრდულ NCAA-ში გამოდის. ბუნებრივია, ლაშასთვის დიდებში გადასვლა დიდი წარმატებაა. ფარღალავას ჯერ არ უთამაშია ახალ გუნდში. წლეულს არც დიმიტრი ფაცაცია გამოჩენილა, ახლახან „არკანსზასმა“ მის გარეშე წააგო „ჯორჯიასთან“. დიმიტრის ტრავმა უშლის ხელს შემადგენლობაში მოხვდეს.

ნიკოლოზ ნეფარიძე



ლაშა ფარღალავა

## მძლეოსნობა

# ქევხიშვილი სეზონს მოგებით იწყებს

**მძლეოსნობაში** საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის წევრმა **მარიამ ქევხიშვილმა**, რომელიც აშშ-ში სწავლობს და ვარჯიშობს, წარმატებით დაიწყო ახალი სპორტული სეზონი — მოიგო სტუდენტთა ასოციაციის ზამთრის პირველობა. ასპარეზობა გაიმართა ინდიანას შტატში. ქართველმა სპორტსმენმა ბირთვის კვრაში 16 მ და 70 სმ აჩვენა და ზამთრის ასპარეზობებში პირადი რეკორდი გაიმეორა.

ეს ინფორმაცია მარიამის თბილისელმა მწვრთნელმა **ყარამან საბანაშვილმა** მოგვაწოდა და დასძინა, რომ 10 დღეში ჩვენი მძლეოსანი მიმდინარე სეზონში სტუდენტთა მეორე შეჯიბრებაში იასპარეზებს.

შარშანდელი შედეგებით მარიამ ქევხიშვილი ქალ სტუდენტთა შორის 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენად დაუსახელებიათ ფლორიდას შტატში, სადაც ის ცხოვრობს და სწავლობს.

## ზამთრის სახეობები

# იანვარს ასცდნენ

**დადგა** იანვრის ბოლო კვირა. ქართული სპორტის სპორტლონისძიებათა კალენდარში 2008 წლის პირველი თვე არ ყოფილა შეჯიბრებებით გადატვირთული. იგულისხმება როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო ასპარეზობები. ისიც ბუნებრივია, რომ აქცენტი გადატანილია ზამთრის სპორტის სახეობებზე. მიმდინარე თვეში დაგეგმილი იყო მონაწილეობა ბიატლონში. კალენდრით 6-8 იანვარს ბაკურიანში საქართველოს პირველობა უნდა გამართულიყო, თუმცა ეს ვერ მოხერხდა. მიზეზი ეროვნულ ფედერაციაში არ დააკონკრეტეს, მოკლედ გვიპასუხეს, რომ შეჯიბრება გადაიდო. ახალი წლის დასაწყისში საქართველოს პირველობის გამართვა ლოგიკური იყო, რადგან რამდენიმე დღეში ევროპის თასის ეტაპი თამაშდებოლდა, ერთმანეთის მიყოლებით, გერმანიასა და სლოვაკეთში. ეს გეგმაც ჩაიშალა. გვითხრეს, რომ მიზეზი გახდა უსახსრობა და ვიზების პრობლემა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩელენჯიდან ნამდვილ ევროპამდე

**საქართველოს ხელბურთელთა ეროვნული ნაკრები გუშინ დაბრუნდა ნორვეგიიიდან, სადაც კვირას თავისი არსებობის ისტორიაში პირველი ტიტული მოიგო. „ჩელენჯ ტროფის“ ახალი ჩემპიონები თბილისში დილის 5 საათისთვის ჩამოფრინდნენ. ლეგიონერებმა ნორვეგიიდანვე თავიანთ კლუბებს მიაშურეს, სამშობლოში მხოლოდ აქ მოთამაშე ხელბურთელები დაბრუნდნენ. თვითმფრინავიდან ჩამოსულებს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და მისი მოადგილე გია გალდავა შეეგებნენ, ხელბურთელებს წარმატება მიულოცეს და სამომავლოდ ყოველგვარ თანადგომას დაჰპირდნენ.**

**„ლელო“ ნაკრების მთავარ მწვრთნელ იმედო ფხაკაძეს გაესაუბრა „ჩელენჯ ტროფის“ ფინალის პერიპეტიებსა და სამომავლო გეგმებზე.**



დახვედრა თბილისის აეროპორტში




იმედო ფხაკაძე

- ნებისმიერ ფინალს თან ახლავს თავისებური დაძაბულობა და ჩვენს შემთხვევაშიც ასე იყო - თავიდან გუნდი ცოტა შებოჭილად გამოიყურებოდა. ამასთან, დიდი ხანი ვიმგზავრეთ, დრამენში მატჩის წინა დღეს ჩავედით და ბიჭებმა ხეირიანად დასვენება ვერ მოასწრეს.

ყოველივე ამის გამო, პირველი ტაიმი ცუდად დავიწყეთ, ლუქსემბურგი წინ გავუშვით და ტაიმის ბოლომდე მდევრის როლში ვიყავით. თუმცა, ტაიმის მიწურულს მდგომარეობა გამოვასწორეთ და შესვენებაზე ერთბურთიანი ფორით გავედით. მეორე ნახევრიდან კი ნელ-ნელა ვიპოვნეთ ჩვენი თამაში და საიმედო სხვაობით დავწინაურდით. თუმცა; ბოლო ოთხ წუთში რვაბურთიანი ფორა მეტოქემ მინიმუმამდე შეგვიმცირა.

**- რა მოხდა ბოლო წუთებზე, რატომ გაგიჭირდათ ასე?**

- რატომღაც გუნდი ზედმეტად ანერვიულდა და საქმის მშვიდად დამთავრება გაუჭირდა. ტაიმაუტი ავიღეთ და ბიჭებს ვუთხარით, რომ ემოციები მოეთოკათ, დამშვიდებულიყვნენ და ბურთი იქამდე ეთრიათ, სანამ მსაჯი არ ჩამოგვართმევდა. ასეთ შემთხვევაში დროს გავწელავდით, მეტოქე აჩქარდებოდა და შეცდომებს დაუშვებდა. თუმცა, პირიქით მოხდა - ბოლო წუთებზე საქართველოს ნაკრებს უფრო ეტყობოდა აჩქარება და ნერვიულობა. მერე ორი ხელბურთელიც გაგვიძევეს და ამ ყველაფრით მეტოქემ მაქსიმალური ხეირი ნახა. საბედნიეროდ, იმხელა სხვაობით ვიყავით წინ, რომ ლუქსემბურგელებმა ანგარიშის მინიმუმამდე შემცირების მეტი ვერ მოასწრეს.

ისე, ზუსტად იგივე რამ შეეემთხვა გუნდს ფინალში გამსვლელ შეხვედრაზე მოლდოვასთან. მაშინაც კინაღამ ბოლო წუთებზე ჩაგვეყარა წყალში ყველაფერი. როგორც ჩანს, გუნდს უყალიბდება ბოლო წუთების სინდრომი, მაგრამ ეს ადვილად გამოსწორებადი პრობლემაა...

რაც მთავარია, ყველაფერი კარგად დასრულდა. ეს გამარჯვება ნაკრებს და ქართულ ხელბურთს ძალიან სჭირდებოდა. მართალია, „ჩელენჯ ტროფზე“ ევროპის ყველაზე სუსტი გუნდები თამაშობენ, მაგრამ ტურნირის ჩემპიონობა ჩვენთვის მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. აქამდე ხომ გუნდს არცერთი შეჯიბრება არ ჰქონდა მოგებული.

**- რის ხარჯზე მოახერხეთ ლუქსემბურგის დამარცხება?**

- ფაქტობრივად, ყველა რგოლში დავჯაბნეთ. ზემოთნახსენები პრობლემები რომ არ გვქონოდა და თანაბარ პირობებში ვყოფილიყავით, მეტოქე გაცილებით იოლად და მეტი სხვაობით უნდა დაგვემარცხებინა.

**- პირობები ახსენეთ და თუ გაქვთ ინფორმაცია, რა პირობებში ემზადებოდა ფინალისთვის ლუქსემბურგი?**

- ჩვენი და მათი პირობების შედარებაც კი არ შეიძლება. როგორც იცით, ჩვენ დეკემბრიდან დავიწყეთ სამზადისი, თურქეთში ვითამაშეთ 3 საკონტროლო მატჩი, სადაც ვერ ჩამოვიდნენ წამყვანი ლეგიონერები და ფინალის წინ გაყინულ დარბაზში ვივარჯიშეთ ყოველგვარი საკონტროლო შეხვედრების გარეშე. ლუქსემბურგელები ასეთ პირობებს ალბათ ყველაზე ცუდ სიზმარშიც კი ვერ ნახავენ. ისინი შუაგულ ევროპაში არიან, კარგი დარბაზებიც აქვთ და მეზობელ ქვეყნებში სიარულის საშუალებაც. მათ თავისუფლად შეუძლიათ, ჩაჯდნენ ავტობუსში და ახლოს მდებარე ქვეყნებში წავიდნენ შეკრებისა თუ ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად. თუკი ჩვენ წლის განმავლობაში თითო-ოროლა საკონტროლო შეხვედრას ვატარებთ, ისინი 40-ზე მეტ შეხვედრას მართავენ და შეთამაშების არანაირი პრობლემა არ აქვთ. თუმცა, ასეთ აშკარად არათანაბარ პირობებში ყოფნის მიუხედავადაც კი, ჩვენი გუნდის უფრო მაღალმა კლასმა თავისი გაიტანა...

ისე არ მინდა გამომივიდეს, რომ ამით პრეტენზიები და საყვედური გამოვხატო. ხელბურთის ფედერაცია და სპორტის დეპარტამენტი შესაძლებლობების ფარგლებში, მაქსიმალურად ამოუდგნენ ნაკრებს გვერდში. სასიამოვნო იყო, რომ დღეს სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელობამ ყურადღება გამოიჩინა და აეროპორტში შეგვეგება. დავით ნამგალაური სამომავლოდ ყველანაირ დახმარებას დაგვპირდა. ვიმედოვნებ, ამის შემდეგ მოსამზადებელ ეტაპზე ამგვარ სირთულეებს აღარ გადავაწყდებით.

წინ ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპი გვაქვს, რომელიც შემოდგომით დაიწყება. ამ ტურნირისთვის სერიოზულად მომზადებააა საჭირო.

თუკი მოხერხდება რამდენიმე შეკრებისა და საკონტროლო მატჩების ჩატარება, ძალიან კარგი იქნება. ნაკრებს, რომელსაც აქვს წარმატებების პრეტენზია, უნდა ჰქონდეს იმის საშუალება, რომ ჩაატაროს დაახლოებით ათდღიანი შეკრება, მერე კი 1-2 საკონტროლო მატჩი, რათა მწვრთნელებმა დაინახონ ხარვეზები, ისევ დაიწყოს შეკრება და ხარვეზების აღმოფხვრაზე შეუდგნენ მუშაობას, მერე ისევ ამხანაგური შეხვედრა ჩავატაროთ და ასე შემდეგ. როდესაც გუნდს ოფიციალურ მატჩებამდე ცოტა ხნით ადრე შეკრებ, ძალიან ძნელია, რომ ხელბურთელებმა ნორმალურად შეთამაშება შეასწრონ და ნაკლოვანებები აღმოიფხვრას.

**- ისევ ფინალს მივუბრუნდეთ. რა ხდებოდა დარბაზში გამარჯვების შემდეგ?**

- რა თქმა უნდა, ყველა ძლიან გახარებული ვიყავით და ვზეიმობდით. გვილოცავდნენ უცხოელებიც. ნორვეგიაში ბევრი ქართველი არ ცხოვრობს, თანაც მატჩი დედაქალაქში კი არა, დრამენში იყო. მიუხედავად ამისა, ფინალზე მოსვლა მაინც მოახერხა რამდენიმე ქართველმა, რომლებიც ტრიბუნებზე ქართულ დროშებს აფრიალებდნენ და მათაც გულით გაიზიარეს ჩვენი წარმატება.

**- საქართველოს ნაკრებიდან ვის თამაშს გამოარჩევდით?**

- უპირველეს ყოვლისა, ფინალის საუკეთესო ხელბურთელად დასახელებულ სერგო დათუკაშვილს, რომელიც უმაღლესი კლასის ხელბურთელი და ნამდვილი პროფესიონალია. კარგად ითამაშეს ვლადიმერ რუსიამ, რატი მსხვილიძემ, რეზო ჭანტურიამ და შოთა თევზაძემაც. გამოვცადეთ ახალგაზრდა ილია გოგალაძე, რომელიც დებიუტანტის კვალობაზე შესანიშნავად გაისარჯა. დამაჯერებელი იყო გიორგი ნივნივაძეც. სამწუხაროდ, მოედანზე ვერ გამოვიყვანეთ ნიჭიერი ახალგაზრდები - უჩა მაისურაძე და გიორგი ჩიქოვანი, რადგან თამაში ისე წავიდა, რომ ექსპერიმენტების საშუალება არ გვქონდა. თუმცა, შემდეგში მათ და სხვა პერსპექტიულ ხელბურთელებსაც მიეცემათ თავის გამოჩენის შანსი.

**- შოთა თევზაძეზე რა გადაწყდა, გააფორმა კონტრაქტი შვედეთის „მალმიოსთან“?**

- დიახ, შოთამ უკვე მოაწერა ხელი კონტრაქტს და ნორვეგიიდან პირდაპირ შვედეთში წავიდა. ხელშეკრულება სამთვიანია, სეზონის ბოლოს კი ახალ კონტრაქტზე დაილაპარაკებენ.

**- ნაკრებს მინიმუმ, „ჩელენჯ ტროფის“ ფინალამდე უნდა გაძღოლოდით. შემდეგში რას აპირებთ, დარჩებით ნაკრებში თუ დატოვებთ თანამდებობას?**

- ახლა ხელბურთის ფედერაციაში სამომავლო გეგმები დეტალურად უნდა ჩამოვაყალიბოთ. ყველაფერი ფედერაციის გადასაწყვეტია. თუკი ჩემს დატოვებას საჭიროდ ჩათვლიან, სიამოვნებით მოვამზადებ გუნდს ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის.

**კობა ხატისაშვილი**

ძიუდო

26-27 იანვარი. თბილისის მსოფლიო თასი

# ოთხი ოლიმპიური და ხუთი მსოფლიო ჩემპიონი

**გუშინ საქართველოს სპორტის დეპარტამენტში ძიუდოს ფედერაციამ პრესკონფერენცია გამართა, რომელიც მთლიანად 26-27 იანვარს გასამართ მსოფლიო თასს მიეძღვნა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს ნაკრების, ძიუდოს ფედერაციისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელები, რომლებმაც ჟურნალისტებს ტურნირის მზადებასთან დაკავშირებით, ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს.**

სადღეისოდ საქართველოს ძიუდოს ფედერაციაში 41 ქვეყნის დასტურია მოსული, თუმცა ბოლო დღეებში ნიგერიელების - ერთადერთი აფრიკული ქვეყნისა და ყაზახების მონაწილეობა სათუო გახდა. ნიგერიელების ჩამოსვლა იმთავითვე საეჭვო იყო, ყაზახებს კი ხელი მკაცრმა ზამთარმა და რუსეთთან სავიზო პრობლემებმა შეუშალა. თუმცა ჯერ დაკარგული არაფერია და პარასკევ საღამომდე მათი ჩამოსვლის იმედი მაინც რჩება.

სტუმრებმა უკვე დაიწყეს ჩამოსვლა - ორშაბათ საღამოს კანადელები გვეწვივნენ, ნუხელ კი იაპონელები, პორტუგალიელები და შვეიცარიელები უნდა ჩამოსულიყვნენ. ძირითადი მასა ხვალ და ზეგ ჩამოვა.

ტურნირზე ისეთ ჩინმაღალ სტუმრებს ელოდებიან, როგორებიც ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტი **მარიუს ვიზერი** და მისი ევროპელი ქვეშევრდომი **სერგეი სოლოვეიჩიკი** გახლავან, თუმცა მათზე არანაკლები ჩინის კიდევ არაერთი ჩინოვნიკი გვესტუმრება. მსაჯთა ამალა 25 ქვეყნის 32 არბიტრითაა წარმოდგენილი. აქვე იმასაც გეტყვით, რომ პეკინის ოლიმპიადაზე მსაჯობის უფლება ევროპიდან სულ 6-მა არბიტრმა მიიღო და იმათგან 5 თბილისში ჩამოდის. ცხადია, ესეც ტურნირის პრესტიჟზე მიუთითებს - ეს ხომ სალიცენზიო შეჯიბრებაა და მას დიდი ყურადღება ექცევა. მსაჯების, მწვრთნელებისა და ოფიციალური სტუმრების ჩათვლით, ტურნირზე დაახლოებით 400-მდე სტუმარს ელოდებიან. პრესკონფერენციაზე ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამდენი სტუმარი ბოლო წლებისთვის უპრეცენდენტო ფაქტია.

მაგრამ ტურნირის მთავარი ღირსება მაინც სპორტსმენთა შემადგენლობაა და ეს შეჯიბრება ამ მხრივაც გამორჩეულია. შეხვედრაზე ითქვა, რომ თბილისში 4 ოლიმპიური და 5 მსოფლიო ჩემპიონი იჭიდავებს. ოლიმპიურ ჩემპიონთაგან წინასწარ განაცხადებშია ჩვენი **ზურაბ ზვიადაური** (90), ამავე წონაში მოასპარეზე მისი გაბერძნებული ბიძაშვილი **ილიას ილიადისი,** იაპონელი **მასატო უჩიშიბა** (66) და ბელარუსი **იჰარ მაკარაუ** (100). მსოფლიო ჩემპიონთაგან მასპინძელი **ირაკლი ცირეკიძე** (90) ნამდვილად იქნება, სტუმართაგან კი ბრიტანელ **კრეიგ ფელონს** (60), უნგრელ **აკოშ ბრაუნს** (73), ჰოლანდიელ **რუბენ ჰოუკესს** (60) და მის თანამემამულე **დენის ფან დერ ხესტს** (+100) ველოდებით. აქ არაფერს ევროპის ჩემპიონ-პრიზიორებზე, მსოფლიოსა და ოლიმპიადის მედალოსნებზე...

წინა წლების გამოცდილებიდან გამომდინარე, იქნებ წინასწარ განაცხადებში დასახელებული ფალავნებიდან ყველა არც ჩამოვიდეს, თუმცა ნახევარიც რომ გვესტუმროს, მაინც მართლაც რომ ძლიერი ტურნირი გამოვა. მაგალითად, კულუარული ინფორმაციით, ილიადისი ჩამოვა, მაგრამ არ იჭიდავებს. მისი მდგომარეობა გასაგებია - ლიცენზია მსოფლიოზე მოიპოვა და ახლა დასვენება შეუძლია, მაგრამ დასახელებულთაგან უმრავლესობას საგზური არ მოუპოვებია და, წესით, მართლაც უნდა ჩამოვიდნენ.

საბედნიეროდ, ჩვენს ნაკრებს ლიცენზიების პრობლემა ისე მწვავედ არ აწუხებს - 7-დან 5 საგზური მსოფლიოზე გაინაღდა. აღსანიშნავია, რომ 5 ლიცენზია არავის, თვით იაპონელებსაც კი არა აქვთ. ამის მიუხედავად, ჩვენი ნაკრები მშობლიური ტურნირისთვის მაინც გულმოდგინედ ემზადება. ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი შეგირდების მომზადებით კმაყოფილია და ყველა ლიდერს აჭიდავებს. გამონაკლისი მხოლოდ ორი ლიცენზირებული ფალავანია - მსოფლიოსა და ოლიმპიადის ვიცე-ჩემპიონი **ნესტორ ხერგიანი** (60) და ევროპის ვიცე-ჩემპიონი **დავით ქევხიშვილი** (73). ლიდერთაგან სხვა ყველა იჭიდავებს.

მასპინძელთა თქმით, ეს ტურნირი ევროპის 2009 წლის პირველობისთვის სარეპეტიციოა და ამიტომ ორგანიზაციულ საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა. ცხადია, უმთავრესი სპორტის სასახლის მდგომარეობაა, მაგრამ დაგვამშვიდეს, რომ იგი სრულ მზადყოფნაში ხვდება ტურნირს. მოგეხსენებათ, იგი გარემონტდა და სწორედ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი იქ სამი ტატამის გაშლა. რაც მთავარია, შეგვპირდნენ, რომ დარბაზში ტემპერატურა 23-24-მდე გათბება.

დასასრულს, შეგახსენებთ, რომ ასპარეზობები ორივე დღეს 10 საათზე დაიწყება, ფინალები - 18-ზე. პირველ დღეს 60, 66 და 73-ის ფალავნები იჭიდავებენ, დანარჩენები - მეორე დღეს, ბილეთი კი 2 ლარი ელირება.

**ირაკლი თავაძე**



ახალი ამბები

## ჯერმეინი სეზონს გამოტოვებს

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, "ინდიანა პეისერსის" ლიდერი **ჯერმეინ ო'ნილი** მუხლის ქრონიკული ტრავმის გამო ორ კვირას გამოტოვებს. გუშინ, ცენტრალურმა თავდამსხმელმა განაცხადა, რომ გამორიცხული არ არის, ამ დაზიანების გამო მან საერთოდ უარი თქვას წლევანდელ რეგულარულში მონაწილეობაზე.

ჯერმეინ ო'ნილი ამბობს, რომ მისთვის ჯანმრთელობა მთავარია და მარცხენა მუხლის სამკურნალოდ ამ სეზონის გამოტოვებაც რომ მოუწიოს, ის ამ ნაბიჯს უყოყმანოდ გადადგამს.

ამასობაში, ო'ნილმა შესაძლოა "ნიუ ჯერსიში" ამოჰყოს თავი. "ნეტსისა" და "პეისერსის" ხელმძღვანელებმა განაახლეს მოლაპარაკებები მოსალოდნელი ტრეიდის შესახებ, რომლის მიხედვითაც, ჯერმეინ ო'ნილი "ნიუ ჯერსიში" უნდა გადავიდეს, ხოლო საპირისპირო მიმართულებით "ინდიანაში" **ვინს კარტერი, ჯამაალ მაგლოირი** და **მარკუს უილიამსი** გაემგზავრებიან.

## ლიგაში ტრავმებმა იმატა

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურში ლიგის ორმა წამყვანმა კალათბურთელმა მიიღო ტრავმა.

"დენვერისა" და "ლეიკერსის" შეხვედრაში მარცხენა ფეხი დაიზიანა "ნაგეტსის" ერთ-ერთმა ლიდერმა **კარმელო ენტონიმ**. ინციდენტი მეორე მეოთხედის ბოლოს მოხდა, როცა **კობი ბრაიანტთან** ბრძოლაში, ენტონი პარკეტზე უხერხულად დაეცა. კალათბურთელმა შეხვედრის გაგრძელება ველარ შეძლო. ახლა კარმელოს სამედიცინო შემოწმება ელის, რომლის შემდეგაც დადგინდება, რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა.

კიდევ ერთი კალათბურთელი, რომელმაც გუშინ ტრავმა მიიღო, "შარლოტ ბობკეტსის" ლიდერი **ჯერალდ უოლასია**. "სან ანტონიოსთან" მატჩში, თავდამსხმელმა მარცხენა ფეხი იტკინა და როგორც ვარაუდობენ, მას "დალას მავერიქსთან" მომდევნო მატჩის გამოტოვება მოუწევს.

## პირსა და რიჩარდსონმა წაიჩხუბეს

"ბოსტონ სელტიქსისა" და "ნიუ იორკ ნიქსის" მატჩის დასრულება ვერ შეძლეს **პოლ პირსმა** და **კვენტინ რიჩარდსონმა**. თუმცა ამის მიზეზი არა ტრავმები, არამედ მესამე მეოთხედის ბოლოს კალათბურთელებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტი აღმოჩნდა.

შედეგად, მსაჯებმა ბოსტონელ პირსსა და ნიუიორკელ ჯეფერსონს ტექნიკური შენიშვნები მისცეს და მოედნიდან მიაბრძანეს. ასე რომ, კალათბურთელებს მეოთხე მეოთხედში თამაში არ მოუწიათ.

## აღმოსავლეთს რივერსი გაწვრთნის

გაირკვა, რომ 17 თებერვალს, ნიუ ორლეანში გასამართ "ყველა ვარსკვლავის მატჩში" აღმოსავლეთი კონფერენციის ნაკრების მთავარი მწვრთნელი, "ბოსტონ სელტიქსის" დამრიგებელი **დოკ რივერსი** იქნება.

რივერსმა ეს პატივი რეგულარულის ბოლო ტურში "ნიუ იორკ ნიქსის" დამარცხების შემდეგ დაიმსახურა. "ოლ სტარში" მონაწილე გუნდების მწვრთნელობა იმ სპეციალისტებს ევალებათ, რომელთა გუნდები 3 თებერვლამდე თავიანთ კონფერენციაში ლიდერობას ინარჩუნებენ. ამ კონკრეტულ თარიღამდე, აღმოსავლეთში "ბოსტონის" ლიდერობას არაფერი ემუქრება.

"ყველა ვარსკვლავის მატჩის" სასტარტო ხუთეულები ხუთშაბათს გამოცხადდება.

## ლეიკერსმა მბენგა აიყვანა

"ლოს ანჯელეს ლეიკერსმა" 10-დღიანი კონტრაქტი გააფორმა ცენტრალურ თავდამსხმელ **დიჯეი ილუნგა-მბენგასთან**.

როგორც იცით, ამ კალათბურთელმა წლევანდელი სეზონი "დალას მავერიქსში" დაიწყო, მაგრამ ამ კლუბმა მბენგასთან კონტრაქტი გაწყვიტა და კონგოელი ლეგიონერი თავისუფალი აგენტი გახდა.

"დალასის" გარდა, აფრიკელს "გოლდენ სტეიტ უორიორზში" უთამაშია.

ამასობაში, მბენგას დამატებამდე "ლეიკერსმა" თავდამსხმელი **ტრევორ არიზა** დაკარგა. კალათბურთელი სავარაუდოდ 8 კვირა ვერ დაეხმარება თავის გუნდს. კვირას, არიზამ ვარჯიშზე ფეხი დაიზიანა. სამედიცინო შემოწმებამ დაადგინა, რომ ფორვარდს მარჯვენა ფეხი ჰქონია მოტეხილი.

არიზა "ლეიკერსის" მეორე მოთამაშეა, რომელმაც ბოლო ათი დღის განმავლობაში მძიმე ტრავმა მიიღო. მანამდე გუნდს გამოაკლდა ცენტრალური თავდამსხმელი **ენდრიუ ბინუმი**.

## პანათინაიკოსმა ტომაშევიჩი დაკარგა

საბერძნეთის "პანათინაიკოსს" ევროლიგის მეორე ეტაპზე თავისი ძირითადი ცენტრის, **დეიან ტომაშევიჩის** გარეშე მოუწევს თამაში. კვირას, კალათბურთელს ზურგის ტრავმის სამკურნალოდ ოპერაცია გაუკეთეს. ტომაშევიჩი მარტამდე ვერ შეძლებს მოედანზე გასვლას.

ამის გამო, ევროლიგის მოქმედმა ჩემპიონმა სასწრაფოდ უნდა იპოვნოს სერბი კალათბურთელის შემცვლელი, რათა მეორე ჯგუფური ეტაპისთვის შემადგენლობა გააძლიეროს. ამ მხრივ, ბერძნებმა პირველი ნაბიჯი უკვე გადადგეს - მოსკოვის "დინამოდან" მიიწვიეს ხორვატი ცენტრი **ნიკოლა პრკაჩინი**. "პანათინაიკოსი" 33 წლის კალათბურთელის არენდით აყვანას აპირებს.

პრკაჩინმა ამ სეზონში ULEB-ის თასზე 9 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 6.2 ქულა და 3.1 მოხსნა მიითვალა.

## ვირტუსი ახალ მწვრთნელს ეძებს

ბოლონიის "ვირტუსი" მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩა. კლუბის ხელმძღვანელობამ ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე გაწყვიტა კონტრაქტი **სტეფანო პილასტრინისთან**. ეს გადაწყვეტილება კვირას, სერია A-ში "აველინოსთან" წაგების შემდეგ იქნა მიღებული. პილასტრინი "ვირტუსის" მთავარ მწვრთნელად გასულ ზაფხულს დაინიშნა.

ევროლიგის დასრულებამდე ორი ტურით ადრე, იტალიურ კლუბს მეორე ეტაპზე გასვლის პრაქტიკული შანსი აღარ დარჩა.

NBA. რეგულარული

**ნიუ იორკი–ბოსტონი 93:109**

23:29, 22:30, 25:23, 23:27

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (24 ქ. 15 მ. 4 ჩ. 2 პ), ჯ. კროუფორდი (22 ქ. 5 პ), კარი (19 ქ. 6 მ), ნ. რობინსონი (15 ქ. 4 პ. 2 ჩ).

**ბოსტონი:** პერკინსი (24 ქ. 8 მ. 2 ჩ), გარნეტი (20 ქ. 13 მ. 7 პ), რ. ალენი (17 ქ. 8 მ), რონდო (14 ქ. 4 ჩ), პირსი (10 ქ. 7 პ).

**ვაშინგტონი–დალასი 102:84**

23:21, 23:20, 27:19, 29:24

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (25 ქ. 9 მ. 5 პ. 5 ჩ), ჯეიმისონი (23 ქ. 8 მ. 3 პ), სტივენსონი (18 ქ), ა. დენიელსი (13 ქ. 6 პ).

**დალასი:** ჯოშ ჰოვარდი (32 ქ. 7 მ. 2 პ. 2 ჩ), ნოვიცკი (21 ქ. 11 მ. 6 პ. 2 დ), დ. ჰარისი (14 ქ. 4 მ. 4 პ).

**შარლოტი–სან ანტონიო 86:95**

27:26, 20:28, 20:19, 19:22

**შარლოტი:** ოკაფორი (21 ქ. 10 მ), ჯ. უოლასი (15 ქ. 9 მ. 4 პ), ჯ. რიჩარდსონი (13 ქ. 13 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), მოჰამედი (12 ქ. 2 ჩ), ფელტონი (10 ქ. 6 პ).

**სან ანტონიო:** დანკანი (19 ქ. 40 მ. 5 დ. 3 პ), ჯინობილი (16 ქ. 6 პ. 5 მ. 4 ჩ), ტ. პარკერი (16 ქ. 4 მ. 3 პ. 2 ჩ), ფინლი (13 ქ. 5 მ. 2 დ), უდოკა (11 ქ).

**ატლანტა–პორტლენდი 109:111 (ო)**

27:18, 23:36, 26:23, 24:23, 9:11

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (37 ქ. 7 პ. 4 მ), ლოუ (18 ქ. 3 პ), ჯოშ სმიტი (17 ქ. 17 მ. 6 პ. 3 დ. 2 ჩ), მერვინ უილიამსი (11 ქ), ჩილდრესი (11 ქ), ჰორფორდი (7 ქ. 11 მ), **ზაზა ფაჩულია (1 ქ)**.

**პორტლენდი:** ტ. აუთლო (23 ქ. 2 დ), როი (18 ქ. 2 ჩ), ს. როდრიგესი (16 ქ. 4 პ. 2 ჩ), ჯეიმს ჯოუნსი (10 ქ).

**ფილადელფია–ინდიანა 103:110**

19:32, 30:31, 30:27, 24:20

**ფილადელფია:** იგუოდალა (23 ქ. 5 მ. 5 პ. 2 ჩ), ა. მილერი (21 ქ. 5 პ. 4 მ), ლ. უილიამსი (14 ქ), ტ. იანგი (13 ქ. 13 ქ. 7 მ. 2 ჩ), დალემბერი (5 ქ. 13 მ. 2 დ).

**ინდიანა:** რაში (25 ქ. 5 მ), მ. დანლივი-უმცროსი (24 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), გრეინჯერი (18 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), მერფი (13 ქ), ფოსტერი (6 ქ. 10 მ. 3 პ), ტინსლი (2 ქ. 12 პ).

**ჰიუსტონი–სიეტლი 96:89**

22:24, 31:28, 24:16, 19:21

**ჰიუსტონი:** მინი (30 ქ. 17 მ. 3 დ. 2 პ), მაკგრეიდი (17 ქ. 6 მ. 5 პ. 2 დ), უელსი (16 ქ), ალსტონი (12 ქ. 6 პ. 3 ჩ), ლანდრი (12 ქ).

**სიეტლი:** ჯ. გრინი (15 ქ. 4 მ. 4 პ), შჩერბიაკი (15 ქ. 6 მ), დიურანი (12 ქ. 4 მ), კოლისონი (10 ქ. 9 მ), კურტ ტომასი (8 ქ. 11 მ. 2 დ), რიდნური (8 ქ. 5 პ).

**ნიუ ორლეანი–მილუოკი 106:92**

17:24, 33:30, 26:15, 30:23

**ნიუ ორლეანი:** ჩენდლერი (20 ქ. 15 მ), სტოიაკოვიჩი (18 ქ. 5 მ), დევიდ უესტი (16 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ. 2 დ), პოლი (16 ქ. 10 პ. 7 მ), პიტერსონი (14 ქ).

**მილუოკი:** რედი (19 ქ. 7 მ. 4 პ), ვილიანოვა (18 ქ. 5 მ), მო უილიამსი (16 ქ. 6 პ), ბოგუტი (13 ქ. 15 მ. 2 დ).

**კლიპერსი–იუტა 93:109**

20:23, 23:31, 24:25, 26:30

**კლიპერსი:** მაგეტი (23 ქ. 6 მ. 3 პ. 3 ჩ), კამანი (17 ქ. 10 მ. 2 დ), მობლი (14 ქ. 4 მ. 4 პ), თორნტონი (14 ქ).

**იუტა:** დ. უილიამსი (18 ქ. 13 პ. 4 მ. 2 ჩ), ჰარპრინგი (17 ქ. 3 ჩ), მილსეპი (17 ქ. 17 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), რ. ბრიუერი (15 ქ. 2 ჩ), ოკური (13 ქ), კორვერი (13 ქ. 4 მ. 3 პ), ბუზერი (12 ქ. 12 მ. 2 პ. 2 ჩ).

**გ. სტეიტი–მინესოტა 108:109**

23:33, 29:16, 28:36, 28:24

**გოლდენ სტეიტი:** მ. ელისი (28 ქ), მ. ბარნსი (20 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), ს. ჯექსონი (18 ქ. 5 მ. 3 პ. 2 ჩ), ბ. დევისი (15 ქ. 6 პ), ბიედრინსი (5 ქ. 12 მ).

**მინესოტა:** [illegible], ა. ჯეფერსონი (21 ქ. 12 მ), იარიჩი ([illegible]), მაკქენტსი (1[illegible] ქ. [illegible] მ. 4 პ. 2 ჩ), ტელფეირი (15 ქ. 7 პ).

**მემფისი–ჩიკაგო 104:90**

22:17, 26:18, 26:27, 30:28

**მემფისი:** გეი (24 ქ. 10 მ. 4 ჩ), მ. მილერი (24 ქ. 10 მ. 2 პ), უორიკი (12 ქ. 4 მ), გასოლი (12 ქ. 10 მ. 5 პ. 3 დ), კონლი (10 ქ. 10 პ).

**ჩიკაგო:** გორდონი (25 ქ. 5 პ), ნოჩიონი (16 ქ), დენგი (13 ქ), ჰაინრიხი (12 ქ. 6 პ), ბ. უოლასი (2 ქ. 13 მ. 2 დ).

**ორლანდო–დეტროიტი 102:100**

26:30, 29:19, 25:29, 22:22

**ორლანდო:** თურქოღლუ (26 ქ. 8 პ. 5 მ), დ. ჰოვარდი (23 ქ. 8 მ. 3 დ), რ. ლუისი (16 ქ. 6 მ), დულინგი (12 ქ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (21 ქ. 4 პ), პრინსი (20 ქ), ბილაპსი (18 ქ. 5 პ. 3 ჩ), რ. უოლასი (15 ქ. 15 მ. 5 ჩ. 2 პ. 2 დ), მაქსიელი (11 ქ. 7 მ), მაკდაისი (11 ქ).

**მაიამი–კლივლენდი 90:97**

28:27, 24:22, 18:23, 20:25

**მაიამი:** უეიდი (42 ქ. 7 პ. 6 მ. 3 ჩ), მ. ონილი (10 ქ. 5 მ. 2 დ), ჰასლემი (9 ქ. 13 მ. 2 დ).

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (28 ქ. 5 პ. 4 ჩ), ილგაუსკასი (13 ქ. 11 მ), გუდენი (11 ქ. 5 მ), პაევლოვიჩი (10 ქ. 4 პ), დ. ჯოუნსი (10 ქ), ვარეჟაო (6 ქ. 10 მ. 3 პ. 2 ჩ).

**ლეიკერსი–დენვერი 116:99**

39:29, 28:28, 24:25, 25:17

**ლეიკერსი:** ფიშერი (28 ქ), ფარმარი (19 ქ), ბრაიანტი (17 ქ. 11 პ. 5 მ. 2 ჩ), ოდომი (15 ქ. 11 მ. 7 პ), ტურიაფი (11 ქ. 5 მ. 3 დ), კ. ბრაუნი (7 ქ. 11 მ. 2 პ).

**დენვერი:** აივერსონი (24 ქ. 7 პ), კლეიზა (21 ქ. 7 მ), კემბი (18 ქ. 12 მ. 4 პ. 3 დ), კენიონ მარტინი (16 ქ. 11 მ. 2 ჩ), ენტონი (13 ქ. 4 მ), ე. კარტერი (უქულოდ, 14 პ. 2 დ).

# სამთო თხილამურები

მსოფლიო თასი

## რიშმა პირველი გამარჯვება მოიპოვა

გერმანელი **მარია რიშისთვის** მიმდინარე სეზონი პირველია, რომლის განმავლობაშიც, მას ტრავმები არ აწუხებს და შედეგად, ის აბსოლუტურ კლასიფიკაციაში პირველობისთვის მებრძოლთა შორის აღმოჩნდა. მისი ამბიციების მორიგი გამოვლინება კი კორტინა დ'ამპეცოში მოხდა, სადაც მან სუპერგიგანტის რბოლა მოიგო და აბსოლუტურში მესამე ადგილზე გადაინაცვლა.

ფერდობ "ოლიმპია დელე ტოფანეზე" ასპარეზობისას, რიშმა სულ რაღაც 0.04 წამით ჩამოიტოვა ავსტრიელი **ელიზაბეთ გიორგლი**. თავის მხრივ, ამას 0.16 წამით ჩამორჩა მისივე თანამემამულე **რენატე გიოჩლი**, ვისაც კორტინაში ათი რბოლა აქვს მოგებული და კვარცხლბეკზე ასპარეზობა 22-ჯერ დაუსრულებია. კვარცხლბეკამდე სულ 0.01 წამი დააკლდა ამერიკელ **ლინდსი ვონს**.

აღსანიშნავია, რომ ეს რბოლა ორჯერ გადაიდო. ის პირველად ერთი თვის წინ, აშშ-ის ასპენში (შტატი კოლორადო) უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ უამინდობის გამო გადაიტანეს. თავიდან გათვალისწინებული იყო, რომ კორტინას ამ რბოლისთვის პარასკევს უნდა ემასპინძლა, მაგრამ ძლიერი შტორმის გამო, კიდევ ერთხელ გადაიდო.

წინა დღეებისგან განსხვავებით, ამჯერად კორტინაში ძალიან ციოდა, რამაც წინა ეტაპების დროს მზისგან დარბილებული ტრასა გაყინა. შესაბამისად, მისი გავლაც მეტისმეტად გართულდა, რის გამოც, შეცდომებმა იმატა და რამდენიმე მოთხილამურემ ფინიშსაც ვერ მიაღწია.

*"მოყინული ტრასა ჩემი სტილისთვისაა შესაფერისი. ნებისმიერ შემთხვევაში, ყველას ერთსადაიმავე პირობებში გვიწევდა ასპარეზობა. გუშინდელ სუპერგიგანტზე ხელი მომეცარა, მაგრამ ამ გაწბილებას ჩემს დღევანდელ გამოსვლაზე არ უმოქმედია"*, - განაცხადა 23 წლის რიშმა, ვისთვისაც ეს გამარჯვება პირველია მიმდინარე სეზონში და მეხუთე კარიერაში. მან კარიერაში პირველი სამი გამარჯვება ოთხი წლის წინ მოიპოვა, მაგრამ შემდეგ სერიოზული ტრავმები მიიღო, რის გამოც კარგა ხანს არ ჩანდა. 2006 წელს რიშმა კანადის ლეიკ ლუისში დაშვების რბოლა მოიგო, თუმცა მორიგმა ტრავმამ ამ წარმატების განვითარების საშუალება არ მისცა.

მიუხედავად იმისა, რომ რიში აბსოლუტურში ლიდერთა შორისაა, ის ამბობს, რომ მთავარ ამოცანად ამ სეზონში კვარცხლბეკზე ხშირად ასვლას ისახავს. და თუ ამის შედეგად, ლიდერთა შორის მოხვდება, არც ამის საწინააღმდეგო ექნება რამე. და რაც მთავარია, ტრავმა აღარ უნდა მიიღოს.

რბოლა უქულოდ დაასრულა აბსოლუტურის ლიდერმა **ნიკოლ ჰოსპმა**, ვინც სტარტიდან სულ რაღაც ათ წამში დაკარგა წონასწორობა და რბოლაც ტრასის დასაწყისშივე დაასრულა. თუმცა, ამის მიუხედავად, მან ლიდერობა მაინც შეინარჩუნა. ჰოსპს 36 ქულით ჩამორჩება მეორეზე მყოფი ვონი, რომელიც თავის მხრივ, ოც ქულას უგებს მესამეზე გადასულ რიშს.



მარი რიში

სუპერგიგანტის კლასიფიკაციაში კი ლიდერი შეიცვალა. რიშმა პირველი ადგილიდან შვედი **ანია პერსონი** ჩამოაქვეითა, ვინც რბოლა მე-12 შედეგით დაასრულა.

კორტინა დ'ამპეცო (იტალია). ქალები. სუპერგიგანტი

1. მარია რიში (გერმანია) 1:25.73; 2. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 1:25.77; 3. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 1:25.93; 4. ლინდსი ვონი (აშშ) 1:25.94; 5. ბრიტ იანიკი (კანადა) 1:26.14; 6. ჯულია მანკუზო (აშშ) 1:26.19; 7. ტინა მაზე (სლოვენია) 1:26.22; 8. ფაბიან სუტერი (შვეიცარია) 1:26.41; 9. მარლის შილდი (ავსტრია) 1:26.43; 10. ანდრეა ფიშბახერი (ავსტრია) 1:26.57...

აბსოლუტური კლასიფიკაცია

1. ნიკოლ ჰოსპი (ავსტრია) 759; 2. ლინდსი ვონი (აშშ) 733; 3. მარია რიში (გერმანია) 713; 4. ჯულია მანკუზო (აშშ) 679; 5. მარლის შილდი (ავსტრია) 615; 6. ანია პერსონი (შვედეთი) 603; 7. ელიზაბეთ გიორგლი (ავსტრია) 591; 8. ტანია პოუტიაინენი (ფინეთი) 533; 9. დენიზე კარბონი (იტალია) 519; 10. რენატე გიოჩლი (ავსტრია) 411...

ფორმულა 1

## ალონსომ ახალი რენო გამოსცადა

გასულ უიქ ენდზე მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, ესპანელმა **ფერნანდო ალონსომ** პირველად გამოსცადა "რენოს" ახალი ბოლიდი - R28. ფრანგული საჯინიბოს წარმომადგენელთა ცნობით, პირველმა ტესტებმა წარმატებით ჩაიარა.

ალონსომ, რომელიც "მაკლარენში" გატარებული ერთი სეზონის შემდეგ, ფრანგულ გუნდში დაბრუნდა, ვალენსიას ტრასაზე 39 წრე გაიარა და მიუხედავად ნისლის გამო შეყოვნებისა, სადებიუტო პრაქტიკით კმაყოფილი დარჩა.

*"პირველი დღე, ახალი მანქანა - ასეთ სიტუაციაში, როგორც წესი ჩვეულებრივზე მეტ დროს კარგავ შემოწმებაზე. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ ჯერ ძალიან ადრეა ჩვენი ბოლიდის სხვა გუნდების მანქანებთან შედარება*, - მოჰყავს ალონსოს სიტყვები სააგენტო "როიტერს". - *მთავარი დადებითი მომენტი ის არის, რომ პირველ დღეს თითქმის არანაირი პრობლემა არ გვქონია"*.

"რენოს" ახალი ბოლიდის ოფიციალური პრეზენტაცია 31 იანვარს, პარიზშია დაგეგმილი. ფორმულა 1-ის მორიგი მსოფლიო ჩემპიონატი 16 მარტს, ავსტრალიის გრან-პრით დაიწყება.

## ჰონდას ახალი ტესტ-პილოტი

ფორმულა 1-ის მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილე იაპონური გუნდის, "ჰონდას" ხელმძღვანელებმა გამოაცხადეს, რომ ვალენსიაში დაგეგმილ ტესტებზე თავის გამოჩენის შანსს მისცემენ იაპონელ პილოტ **ტაკაში კოგურეს**. თუ ყველაფერი კარგად წარიმართა, ეს ავტომრბოლი "ჰონდას" ტესტ-პილოტის სტატუსს მიიღებს.

ადრე, 27 წლის კოგურე Formula Nippon-სა და Super GT-ის სერიაში გამოდიოდა.

ჰოკეი

## ფორსბერგმა ვარჯიში დაიწყო

სულ უფრო და უფრო დამაიმედებელი ცნობები მოდის შვედეთიდან ცნობილი ჰოკეისტის, **პიტერ ფორსბერგის** ჯანმრთელობის შესახებ. იქაური პრესის ცნობით, ფორვარდს სერიოზულად აქვს განზრახული ჰოკეის ეროვნულ ლიგაში დაბრუნება. მანამდე კი, ფორსბერგი შვედეთის ლიგაში მოთამაშე "მოდოს" რიგებში ვარჯიშობს.

34 წლის თავდამსხმელი შარშან, "ნეშვილის" რიგებში თამაშისას მიღებული ტრავმის შემდეგ არ გასულა მოედანზე.

*"ვიცი, რომ მან ვარჯიშები განაახლა, ამ ეტაპზე მხოლოდ ამის თქმა შემიძლია"*, - განაცხადა ჰოკეისტის მამამ, ცნობილმა მწვრთნელმა **კენტ ფორსბერგმა**.

ჯერჯერობით უცნობია, NHL-ის რომელ გუნდს აირჩევს კარიერის გასაგრძელებლად ფორსბერგი.

## ტამპა შემადგენლობას გადაახალისებს

"ტამპა ბეი ლაითნინგის" გენერალური მენეჯერი **ჯეი ფისტერი** მზად არის რამდენიმე ჰოკეისტს შეელიოს, თუ მისი კლუბი რეგულარული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით პლეიოფში ვერ მოხვდება.

*"რეალისტები უნდა ვიყოთ. თუ თებერვლის შუა რიცხვებში ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ "ტამპას" პლეიოფში გასვლის შანსი აღარ ექნება, მაშინ ჰოკეისტების გაცვლების სხვადასხვა ვარიანტებზე ვიფიქრებთ. ეს ის მოთამაშეები იქნებიან, რომლებსაც კონტრაქტი უმთავრდებათ. გვინდა, რომ მათ სანაცვლოდ გარკვეული კომპენსაციები მივიღოთ"*, - ამბობს გენერალური მენეჯერი.

"ტამპადან" წასვლის მთავარი კანდიდატები არიან მცველი **დენ ბოილი** და მარცხენა გარემარბი **ვაცლავ პროსპალი**, რომლებსაც ამ ზაფხულს კლუბთან კონტრაქტები უმთავრდებათ.

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი



რაიან გეტცლაფი

| აილენდერსი-კაროლინა | 2:3 (ო) |
|---|---|

0:0, 2:0, 0:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ჰილბერტი-5 (მაიერი-3, სატონი-6), 2:0 შატანი-11 (კომო-3, ვაშიჩეკი-8), 2:1 კომოდორი-2 (ბრინდამორი-27), 2:2 ვალინი-2 (სამსონოვი-9, ბრინდამორი-28), 2:3 სტილმანი-21 (ე. სტაალი-21, რეი უიტნი-25).

| ფინიქსი-ბაფალო | 6:2 |
|---|---|

1:1, 3:0, 2:1

**გოლები:** 1:0 ვინიკი-5 (ჰანჯალი-20, ზ. მიხალეკი-7), 1:1 გოსტადი-7 (პეი-13, კოტალიკი-14), 2:1 ნ. კაპანენი-6, 3:1 დოუნი-16 (ჟ. პერო-5, იენდლი-3), 4:1 დ. მორისი-4 (სიოსტრიომი-8, ბალარდი-10), 4:2 სტეფორდი-12 (ვანეკი-16, დ. რუა-19), 5:2 პ. მიულერი-13 (დოუნი-30, ბოინტონი-8), 6:2 ჟოვანოვსკი-6 (პ. მიულერი-17, რაინპრეხტი-16).

| ნეშვილი-სენტ ლუისი | 6:3 |
|---|---|

2:1, 2:1, 2:1

**გოლები:** 0:1 ბოიესი-27 (ე. მაკდონალდი-21), 1:1 შ. უებერი-2 (რადულოვი-20, სატერი-13), 2:1 ნიკოლი-5 (გელინასი-9, ერატი-21), 2:2 ჰინოტი-4 (მაიერსი-9), 3:2 რადულოვი-14 (ჟიდლიცკი-25), 4:2 გელინასი-7 (დე ვრისი-7), 5:2 რადულოვი-15 (დუმონი-22, არნოტი-25), 5:3 ტკაჩუკი-13 (ბექსი-9, ჯეკმენი-4), 6:3 გელინასი-8 (ერატი-22).

| პიტსბურგი-ვაშინგტონი | 5:6 (ბ) |
|---|---|

2:2, 2:2, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ტელბოტი-8 (ჯ. სტაალი-9, ე. კრისტენსენი-8), 1:1 ფლიშმანი-6 (ბ. გორდონი-9, სიომინი-8), 1:2 ვიქ. კოზლოვი-7 (ოვეჩკინი-24, ბექსტრიომი-28), 2:2 მალკინი-25 (მელოუნი-9), 2:3 ოვეჩკინი-37 (ფლიშმანი-12, ბექსტრიომი-29), 3:3 მალკინი-26 (მელოუნი-10, გონჩარი-29), 4:3 სიკორა-14 (რაიან უიტნი-14, გონჩარი-30), 4:4 ოვეჩკინი-38 (ბექსტრიომი-30, იურჩინა-4), 5:4 მელოუნი-11 (გონჩარი-31, მალკინი-30), 5:5 ვიქ. კოზლოვი-8 (პეტინგერი-4, ბექსტრიომი-31).

**ბულიტები გაიტანეს:** ოვეჩკინი (ვაშინგტონი), ი. რუუტუ (პიტსბურგი), სიომინი (ვაშინგტონი).

| ვანკუვერი-მინესოტა | 2:4 |
|---|---|

0:0, 1:2, 1:2

**გოლები:** 0:1 როლსტონი-15 (ბუშარი-31, შეპარდი-12), 1:1 ბაროუზი-5, 1:2 ბუშარი-9 (კარნი-4), 1:3 მ. კოივუ-7 (ბუშარი-32, ფედორუკი-4), 2:3 პიატი-12 (ჰ. სედინი-40, დ. სედინი-25), 2:4 ბუშარი-10.

### ტურის მოვლენები

- "აილენდერსმა" ზედიზედ მეოთხედ წააგო საკუთარ მოედანზე.

- აქამდე, ნიუიორკულ კლუბს 15-დან 15 მოგება ჰქონდა იმ დროს, როცა მატჩში ორი პერიოდის შემდეგ ლიდერობდა.

■ ■ ■

- "ბაფალომ" საკლუბო რეკორდი დაამყარა - ამ გუნდმა სტუმრად ზედიზედ მერვე მარცხი იწვნია.

- კარიერის რეკორდი დაამყარა "ფინიქსის" კაპიტანმა **შეინ დოუნმა** - ის ზედიზედ 11 მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებს ყინულს.

- "ფინიქსის" 19 წლის ცენტრმა **პიტერ მიულერმა** ზედიზედ მეშვიდე შეხვედრაში მიითვალა ქულა.

- "ფინიქსმა" ამ სეზონში პირველად გაიტანა მატჩში ექვსი გოლი.

- "ბაფალოს" ბოლო 12 მატჩში 11 წაგება დაუგროვდა.

■ ■ ■

- "ნეშვილმა" ბოლო 11 შეხვედრაში მეშვიდე გამარჯვებას მიაღწია.

- "სენტ ლუისმა" ზედიზედ მეხუთე მატჩი წააგო.

■ ■ ■

- "პიტსბურგს" ოვერტაიმში გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა, რადგან წუთისა და 7 წამის განმავლობაში, ყინულზე ორი ჰოკეისტით მეტი ჰყავდა. საერთოდ, მასპინძლებმა ოვერტაიმს 5 წუთიდან სამი წუთი რიცხობრივ უპირატესობაში გაატარეს.

- "ვაშინგტონმა" ზედიზედ მეოთხე შეხვედრა მოიგო. ამ გუნდს ბოლო 7 მატჩში ექვსი მოგება დაუგროვდა.

- "პიტსბურგის" რუს ლეგიონერს **ევგენი მალკინს** ბოლო 11 მატჩში 12 გოლი აქვს გატანილი.

- "ვაშინგტონის" ფორვარდს **ალექსანდრ ოვეჩკინს**, "პიტსბურგთან" 11 შეხვედრაში 6 გოლი და 7 შედეგიანი პასი აქვს დაგროვებული, მაგრამ ამ გუნდის დამარცხება მხოლოდ მეორედ შეძლო.

■ ■ ■

- "ვანკუვერმა" ბოლო შვიდ მატჩში ერთი მოიგო და სამი ქულა დააგროვა.

- "მინესოტას" ფორვარდმა **მარიან გაბორიკმა** შეწყვიტა 7-მატჩიანი სერია, რომლის დროსაც ის მინიმუმ ქულას აგროვებდა. ამ სერიამ 4 გოლი და 7 შედეგიანი პასი მოიცვა.

კვირის სამი ვარსკვლავი

პირველად კარიერაში, "ანაჰაიმ დაქსის" ცენტრი **რაიან გეტცლაფი** კვირის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა. 22 წლის ჰოკეისტი გასული შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა - მის ანგარიშზე 8 ქულა მოდის. გარდა ამისა, გეტცლაფი ზედიზედ 14 მატჩია ქულის გარეშე არ ტოვებს მოედანს.

როგორც მოსალოდნელი იყო, კვირის ლაურეატებს შორის მოხვდა "ტამპა ბეი ლაითნინგის" მეკარე **იოჰან ჰოლმკვისტი**. კვირის მეორე ვარსკვლავმა ზედიზედ ორ მატჩში შეასრულა შატაუტი.

ზედიზედ მეორე კვირაა, მესამე ვარსკვლავის სტატუსს "ფილადელფია ფლაიერზის" მარცხენა ფრთა **სკოტ ჰარტნელი** ინარჩუნებს, რომელმაც 3 მატჩში 5 გოლი და ერთი შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში.

### აღმოსავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 48 | 30 | 14 | 4 | 64 |
| 2. პიტსბურგი* | 48 | 27 | 17 | 4 | 58 |
| 3. კაროლინა* | 51 | 24 | 23 | 4 | 52 |
| 4. ფილადელფია | 46 | 26 | 15 | 5 | 57 |
| 5. ნიუ ჯერსი | 47 | 27 | 17 | 3 | 57 |
| 6. მონრეალი | 47 | 24 | 15 | 8 | 56 |
| 7. ბოსტონი | 47 | 24 | 18 | 5 | 53 |
| 8. აილენდერსი | 48 | 23 | 19 | 6 | 52 |
| 9. რეინჯერსი | 49 | 22 | 21 | 6 | 50 |
| 10. ვაშინგტონი | 48 | 22 | 21 | 5 | 49 |
| 11. ატლანტა | 50 | 23 | 24 | 3 | 49 |
| 12. ბაფალო | 47 | 20 | 21 | 6 | 46 |
| 13. ფლორიდა | 49 | 21 | 24 | 4 | 46 |
| 14. ტორონტო | 49 | 19 | 22 | 8 | 46 |
| 15. ტამპა ბეი | 48 | 19 | 24 | 5 | 43 |

### დასავლეთი კონფერენცია

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 49 | 35 | 10 | 4 | 74 |
| 4. დალასი* | 51 | 28 | 18 | 5 | 61 |
| 3. მინესოტა* | 48 | 27 | 18 | 3 | 57 |
| 6. ანაჰაიმი | 51 | 27 | 18 | 6 | 60 |
| 2. სან ხოსე | 47 | 25 | 15 | 7 | 57 |
| 8. კოლორადო | 48 | 26 | 18 | 4 | 56 |
| 7. კალგარი | 49 | 24 | 17 | 8 | 56 |
| 5. ვანკუვერი | 49 | 25 | 19 | 5 | 55 |
| 11. ფინიქსი | 48 | 25 | 21 | 2 | 52 |
| 12. ნეშვილი | 48 | 24 | 20 | 4 | 52 |
| 10. კოლამბუსი | 49 | 23 | 20 | 6 | 52 |
| 9. სტ. ლუისი | 46 | 22 | 18 | 6 | 50 |
| 14. ჩიკაგო | 48 | 23 | 21 | 4 | 50 |
| 13. ედმონტონი | 50 | 22 | 23 | 5 | 49 |
| 15. ლოს ანჯელესი | 49 | 19 | 28 | 2 | 40 |

* - დივიზიონის ლიდერი

| ბომბარდირები | (გოლი+პასი) |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 64 (29+35) |
| იგინლა (კალ) | 63 (32+31) |
| კროსბი (პიტ) | 63 (20+43) |
| კოვალჩუკი (ატლ) | 63 (37+26) |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 62 (38+24) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 61 (28+33) |
| ალფრედსონი (ოტა) | 60 (29+31) |
| გეტცლაფი (ანა) | 57 (19+38) |
| ჰიტლი (ოტა) | 56 (25+31) |
| დაციუკი (დეტ) | 56 (17+39) |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 56 (15+41) |
| მალკინი (პიტ) | 56 (26+29) |

| გოლეადორები | |
|---|---|
| ოვეჩკინი (ვაშ) | 38 |
| კოვალჩუკი (ატლ) | 37 |
| იგინლა (კალ) | 32 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 29 |
| ალფრედსონი (ოტა) | 29 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 28 |
| ბოიესი (ს-ლუი) | 27 |
| პერი (ანა) | 26 |
| მალკინი (პიტ) | 26 |
| ე. სტაალი (კარ) | 26 |

| ასისტენტები | |
|---|---|
| კროსბი (პიტ) | 43 |
| ჯ. ტორნტონი (ს-ხოს) | 41 |
| სავარი (ბოს) | 41 |
| ჰ. სედინი (ვან) | 40 |
| სპეცა (ოტა) | 39 |
| ლიდსტრიომი (დეტ) | 39 |
| დაციუკი (დეტ) | 39 |
| გეტცლაფი (ანა) | 38 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 37 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 35 |

### ჩოგბურთი

## იტალიელებმა შემადგენლობა გაარკვიეს

2-3 თებერვალს, ქალთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის - ფედერაციის თასის პირველი ეტაპის მატჩები უნდა გაიმართოს. იტალიის ნაკრების ხელმძღვანელობამ უკვე დაასახელა ის ჩოგბურთელები, რომლებიც ნეაპოლში ესპანეთის ნაკრებს უმასპინძლებენ. ეს მოთამაშეები არიან: **ტატიანა გარბინი, ფალვია პენეტა, ფრანჩესკა სკიავონე** და ფედერაციის თასის დებიუტანტი, მსოფლიოს 65-ე ჩოგანი **სარა ერანი**. ამჯერად, ტრავმების გამო ნაკრებში ვერ მოხვდნენ **მარა სანტანჯელო** და **რობერტა ვინჩი**.

2006 წელს, იტალიის ნაკრებმა ფინალში **ჟუსტინ ანენის** ბელგია დაამარცხა, შარშან კი, ფინალში გავიდა, სადაც რუსეთის ნაკრებთან დამარცხდა.

## არგენტინას ნალბანდიანი, ბრიტანეთს მარეი ეყოლება

მამაკაცთა გუნდური მსოფლიო ჩემპიონატის, დევისის თასის გათამაშება 8 თებერვალს აიღებს სტარტს. მერვედფინალური ეტაპის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო შეხვედრა იქნება - არგენტინა-ბრიტანეთი, რომელიც ბუენოს აირესში, ნელ თიხნარზე გაიმართება.

ორივე გუნდის კაპიტნებმა ამ მატჩისთვის უძლიერესი ჩოგბურთელები გამოიძახეს. არგენტინას წინ გაუძღვება **დავიდ ნალბანდიანი**, რომლის პარტნიორებიც იქნებიან **ხუან მონაკო, აგუსტინ კალერი** და **ხოსე აკასუსო**.

ბუენოს აირესში ჩავა ბრიტანელთა ლიდერი **ენდი მარეი**, რომელსაც გვერდს დაუმშვენებს მისი ძმა - **ჯეიმი მარეი** და აგრეთვე **ჯეიმი ბეიკერი** და **ალექს ბოგდანოვიჩი**.

*"ჩვენ ფავორიტები ვართ. მართალია, მეტოქეს შესანიშნავი ჩოგბურთელი, ენდი მარეი ჰყავს, მაგრამ მას მაინცდამაინც არ უყვარს ნელი საფარი"*, - ამბობს არგენტინის ნაკრების თავკაცი **ალბერტო მარტინი**.

### ბიატლონი

## ფეხმძიმე ოლოფსონი მსოფლიოზე გაირბენს

ცნობილი შვედი ბიატლონისტი ქალი, ოლიმპიური ჩემპიონი **ანა-კარინ ოლოფსონი** ფეხმძიმედაა, მაგრამ მიუხედავად ამისა, ის მაინც აპირებს მომავალ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობას, რომელიც თებერვალში, შვედეთის ქალაქ ესტერსუნდში გაიმართება.

შვედეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, **შტეფან ეკლუნდის** სიტყვებით ფეხმძიმობამ სპორტსმენს მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობაში ხელი არ უნდა შეუშალოს. *"თუ მან იტალიაში მსოფლიო თასზე შეძლო მონაწილეობა, პრობლემას ვერ ვხედავ, რომ ოლოფსონმა მსოფლიოზეც იასპარეზოს"*, - განაცხადა ეკლუნდმა.

# TV სპორტი

## 23 იანვარი. ოთხშაბათი

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:15 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
18:50 გასული კვირის ჰიტ-აღლუმი.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:05 ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-ასტონ ვილა.
22:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. რასინგი-ბილბაო (LIVE).
00:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. I მატჩი. ვილიარეალი-ბარსელონა (LIVE).

### SPORT 1 (უკრაინა)

08:00 სპორტდოსიე.
08:28 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
08:58 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
09:56 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
10:10 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. დინამო (კ)-არსენალი.
11:46 ფეხბურთი. Barca TV.
11:55 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-მანჩესტერ იუნ.
13:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ვილიარეალი-ვალენსია.
15:32 სპორტდოსიე.
16:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა.
17:43 ფეხბურთი. Barca TV.
17:51 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ბირმინგემი-ჩელსი.
19:39 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
20:10 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. მონრეალი-ბოსტონი.
22:00 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
22:12 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:44 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა. ტელეჟურნალი.
23:15 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
23:30 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ატალანტა-მილანი (LIVE).
01:25 სპორტინფორმი - საინფორმაციო პროგრამა.
01:37 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ლანსი-დინამო (კ).
03:15 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-მანჩესტერ იუნ.
05:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ფიორენტინა-რომა.
06:50 ფეხბურთი. Barca TV.
07:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ვანკუვერი-სტ. ლუისი (LIVE).

### EUROSPORT

08:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი (LIVE).
10:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი.
12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. X დღე. მელბურნი (LIVE).
16:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. მოკლე პროგრამა. ზაგრები. ხორვატია (LIVE).
18:45 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
20:30 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ტუნისი-სენეგალი. განა (LIVE).
23:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. განა.
23:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ს. აფრიკა-ანგოლა. განა (LIVE).
01:30 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. მიმოხილვა.
16:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა. ზაგრები. ხორვატია.
06:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. ქალები. 1/2 ფინალი. მელბურნი (LIVE).

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი)-ტუროვი (პოლონეთი).
14:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. სუდანი-ზამბია. განა.
18:00 ფეხბურთი. აფრიკის თასი. ჯგუფური ეტაპი. ეგვიპტე-კამერუნი. განა.
19:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი.
20:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. ჯგუფური ეტაპი. ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი)-ტუროვი (პოლონეთი).
21:00 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ციურიხი (შვეიცარია)-ნოვარა (იტალია) (LIVE).
23:00 ახალი ამბები.
23:15 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ფრიდრიხშაფენი (გერმანია)-ალმერია (ესპანეთი) (LIVE).
01:15 რესტლინგი.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ექსტრემალური სპორტი.
02:45 ახალი ამბები.

# ცხელი ხაზი

## ფეხბურთი

### აფრიკის თასი

#### C ჯგუფი

| ეგვიპტე-კამერუნი | 4:2 |
|---|---|

**ეგვიპტე:** ელ-ჰადარი, ფათალაჰი, ფათჰი, გომაა, მოავადი (90. მოჰამედი), საიდი, აბდ რაბუ, შავკი, მოტაები, ზაქი (60. აბუთრიაქა), ზიდანი (68. ელ-მოჰამადი).

**კამერუნი:** კამენი, ატუბა, ბიკეი, სონგი, ეპალე, ჟერემი, მაკუნი (38. ბინია), მბია (46. სონგ ბილონგი), ნგემო (46. ემანა), ეტოო, იდრისუ.

**გოლები:** 1:0 აბდ რაბუ (14-პენ), 2:0 ზიდანი (16), 3:0 ზიდანი (45), 3:1 ეტოო (51), 4:1 აბდ რაბუ (82), 4:2 ეტოო (90-პენ)

**მაყურებელი:** 20 000

| სუდანი-ზამბია | 0:3 |
|---|---|

**სუდანი:** ელმუიზ აბდალა, ალი ელხიდირი, აჰმედ ჯიბრილი, ელდინ აბდალა, აჰმედი (24. იუსიფ ჰადო, ბახითი, ელ-ბაშირი (80. იდრის ფარაჰი), კარარი, ლადო, აგაბ სიდო (57. ბაბიკერი), ტამბალი.

**ზამბია:** მვეენე, ჰაშილენსა, მუსონდა, მვანზა, ნკეტანი, ბაკალა, კალაბა, კატონგო, შამანგა (83. კ. მულენგა), ჯ. მულენგა, ფირი (70. მაიუკა).

**გოლები:** 0:1 შამანგა (2), 0:2 ჯ. მულენგა (51), 0:3 კატონგო (60)

**მაყურებელი:** 5 000

### ამხანაგური მატჩები

| | |
|---|---|
| ჰანოვერი-პადერბორნი | 4:1 |
| ავსტრია-იანგ ბოიზი | 1:1 |
| ბაზელი-ვისლა | 1:2 |
| ჰანზა-კოპენჰაგენი | 1:1 |
| როიტლინგენი-კარლსრუე | 2:5 |
| ალემანია-ლევერკუზენი | 1:1 |
| ფორტუნა-ბაიერნი | 2:3 |

### ინგლისი

#### I ლიგა

| | |
|---|---|
| ბორნმუთი-ლუტონი | 4:3 |
| ჯილინგემი-ოლდჰემი | 0:0 |
| ჰარტლპული-საუთენდი | 4:3 |
| სუონსი-კრიუ | 2:1 |

#### II ლიგა

| | |
|---|---|
| ბერი-ბრედფორდი | 2:2 |

### კონფერენსი

| | |
|---|---|
| კემბრიჯი-დროილსდენი | 5:0 |

### ინგლისის თასი

| | |
|---|---|
| ბარნეტი-სუინდონი | 1:1. პენ. 2:0 |
| როვერსი-ფულჰემი | 0:0. პენ. 5:3 |
| უენსდი-დერბი | 1:1. პენ. 2:4 |

### ინგლისის ლიგის თასი

#### 1/2 ფინალი. II მატჩი

| | |
|---|---|
| ტოტენჰემი-არსენალი | 5:1 (1:1) |

### ჰოლანდია

| | |
|---|---|
| ალკმაარი-ბრედა | 1:2 |
| ჰერაკლესი-ექსელსიორი | 2:0 |
| ვილემი-ვიტესი | 4:0 |

### ბელგია

| | |
|---|---|
| რუზელარე-ლოკერენი | 1:1 |
| ვესტერლო-ბრიუგე | 0:0 |

### შოტლანდიის თასი

| | |
|---|---|
| აბერდინი-ფალკირკი | 3:1 |
| მოზერველი-პარტისი | 1:0 |
| პარტიკი-დანფერმლაინი | 2:1 |

## კალათბურთი

### ULEB-ის თასი

| | |
|---|---|
| ნიმბურკი-დინამო (მ) | 83:88 |
| პანელინიოსი-კლიმამიო | 67:85 |
| ცრვენა ზვეზდა-ოსტენდე | 86:100 |
| ასესოფტი-ხირონა | 78:68 |
| ასკ რიგა-ბენეტონი | 80:83 |
| ბეშიქთაში-შალონი | 78:55 |
| ბოსნა-ალბა | 91:76 |
| ვენტსპილსი-ჟელეზნიკი | 77:64 |
| კიოლნი-ოვარენსე | 97:90 |
| ლუკოილი-პო ორტეზი | 106:89 |
| სტრასბური-ზადარი | 74:83 |
| ტურკ ტელეკომი-გილფორდი | 92:73 |
| უნიქსი-ეიფელ ტაუერსი | 68:50 |
| ჰაპოელი (ი)-ტუროვი | 89:74 |
| პემოფარმი-გალათასარაი | 77:84 |
| შარლერუა-პანზევასტი | 85:76 |
| შიაულაი-ხუვენტუდი | 51:89 |
| არტლანდი-კიევი | 71:69 |
| ანვილი-ნანსი | 85:67 |
| ვალენსია-ხიმკი | 63:60 |
| სკაილაინერსი-აზოვმაში | 63:72 |
| ანტვერპენი-ლიუბერტსი | 82:74 |
| ბუდუჩნოსტი-გმუნდენი | 86:60 |
| გრან კანარი-ვილერბანი | 89:83 |
| პანიონიოსი-ლუდვიგსბერგი | 86:95 |
| შლიონსკი-კალევი | 84:65 |
| ფრიბურგი-ჰაპოელი (გ) | 84:101 |

## ხელბურთი

### ევროპის ჩემპიონატი

#### მამაკაცები

| | |
|---|---|
| გერმანია-ისლანდია | 35:27 |
| სლოვენია-ჩერნოგორია | 31:29 |
| ხორვატია-დანია | 20:30 |
| საფრანგეთი-ესპანეთი | 28:27 |
| ნორვეგია-პოლონეთი | 24:24 |
| შვედეთი-უნგრეთი | 27:27 |

## ჰოკეი

### გერმანია

| | |
|---|---|
| აუგსბურგი-კრეფელდი | 6:4 |
| ჰანოვერი-ინგოლშტადტი | 3:1 |
| დუისბურგი-ნიურნბერგი | 2:2 |
| იზერლონი-აისბარენი | 3:0 |
| კიოლნი-დიუსელდორფი | 4:1 |
| ფრანკფურტი-ვოლფსბურგი | 3:4 |

### სლოვაკეთი

| | |
|---|---|
| კეჟმაროკი-სკალიცა | 2:4 |
| პოპრადი-მარტინი | 1:3 |
| ზვოლენი-კოშიცე | 3:1 |
| ნიტრა-მიკულაში | 2:4 |
| ტრენჩინი-სლოვანი | 3:1 |

### ფინეთი

| | |
|---|---|
| იოკერიტი-ლუკო | 3:0 |
| კიეკო-საიპა | 2:0 |
| ტაპარა-ილვესი | 3:0 |

### ჩეხეთი

| | |
|---|---|
| ტრშინეცი-სლავია | 2:1 |
| ზნოიმო-პლზენი | 1:1 |
| კლადნო-ვიტკოვიცე | 2:2 |
| ლიტვინოვი-ქლინი | 5:3 |
| ბუდეიოვიცე-სლოვანი | 4:2 |
| კარლოვი ვარი-ლიბერეცი | 4:2 |
| სპარტა-პარდუბიცე | 5:2 |

### შვეიცარია

| | |
|---|---|
| ამბრი-კლოტენი | 3:5 |
| ბაზელი-დავოსი | 0:9 |
| ბერნი-ციურიხი | 5:4 |
| ჟენევა-ფრიბურგი | 2:2 |
| ლანგნაუ-ცუგი | 4:6 |
| რაპერსვილი-ლუგანო | 3:4 |

### შვედეთი

| | |
|---|---|
| იურგორდენი-ფერიესტადი | 6:1 |

## ავტოსპორტი

ფორმულა 1. გუნდები

# უილიამსი წინსვლას გააგრძელებს



ახალ ბოლიდს პირველი ტესტი გერმანელმა ნიკო როსბერგმა ჩაუტარა

ფორმულა 1-ის ისტორიაში ერთ-ერთმა ყველაზე ტიტულოვანმა გუნდმა, ინგლისურმა "უილიამსმა" თავისი ახალი ბოლიდის ოფიციალური პრეზენტაციისგან თავი შეიკავა და ის პირველად ვალენსიაში გამოსცადა. მანამ, სანამ გუნდის ახალი ტესტპილოტი, გერმანელი **ნიკო ჰულკენბერგი** საჭეს მიუჯდებოდა, ჟურნალისტებს "უილიამსის" ტექნიკური დირექტორი **სემ მაიკლი** გაესაუბრა.

*"გასულ სეზონში ჩვენი მიზანი გამძლე, მეტნაკლებად კონკურენტუნარიანი ტექნიკის შექმნა იყო და ჩვენ ამ მიზანს მივაღწიეთ. ახალ სეზონში კი ჩვენ სისწრაფეზეც ვიზრუნებთ. ახალი მანქანა წინა მოდელის ევოლუციური ვარიანტია, თუმცა მასში იმდენად ბევრი სიახლეა, რომ თავისუფლად შეიძლება ვთქვათ, რომ ის სუფთა ფურცლიდან შევქმენით. ის გარემოება, რომ ტექნიკური რეგლამენტი ოთხი სეზონი უცვლელი იქნება, ამ მანქანის სრულყოფის საშუალებას გვაძლევს. FW30 წინ გადადგმული ნაბიჯია და ვიმედოვნებთ, რომ მისი მეშვეობით, შარშანდელზე გაცილებით მეტი ქულის აღებას შევძლებთ"*, - განაცხადა მაიკლმა.

შარშან "უილიამსმა" 33 ქულა მოაგროვა და კონსტრუქტორთა პირველობაზე მეოთხე ადგილი დაიკავა. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, **ფრენკ უილიამსის** გუნდმა 20 ქულით აჯობა "ტოიოტას", რომლის ძრავებსაც იყენებს. და კიდევ, გუნდი კვარცხლბეკს დაუბრუნდა – კანადაში ავსტრიელმა **ალექს ვურცმა** მესამე ადგილი დაიკავა, რაც დიდი მოულოდნელობა იყო.

ახალ სეზონში, ვურცის ნაცვლად, მეორე პილოტის მონოპოსტს იაპონელი **კაძუკი ნაკაძიმა** დაიკავებს. პირველი პილოტი კი კვლავ გერმანელი **ნიკო როსბერგი** იქნება. ეს პილოტები გუშინ შეუდგნენ ახალი ბოლიდის ტესტირებას.

ორშაბათს, ვალენსიაშივე, თავისი ახალი ბოლიდის ტრასაზე გამოყვანას გეგმავდა "რენოც", მაგრამ სქელი ნისლის გამო, ფრანგულმა გუნდმა R28-ის დებიუტი გადადო. სწორედ "რენოა" ის გუნდი, რომლის უკან მოტოვებაც ახალ სეზონში "უილიამსის" ერთ-ერთი მთავარი მიზანია.

*"ახალი მანქანის კონცეპცია იმის იმედს მაძლევს, რომ მომდევნო სეზონში, ჩვენ წინ მნიშვნელოვან ნაბიჯს გადავდგამთ. ვფიქრობ, კონსტრუქტორთა პირველობაზე ერთი-ორი ადგილით წინ წავალთ. "რენოს" ჩამოტოვება არ უნდა გაგვიჭირდეს და ვიმედოვნებ, რომ "ბეემვესაც" გავუტოლდებით. ჩვენ შარშან სოლიდური პროგრესი გვქონდა და ვიმედოვნებ, რომ ეს ტენდენცია ახალ სეზონშიც შენარჩუნდება"*, - ამბობს როსბერგი, ვინც გასულ სეზონში 22 ქულის აღება შეძლო.

სხვათა შორის, ამ სეზონში "უილიამსს" დაარსებიდან 30 წელი უსრულდება. იუბილესთან დაკავშირებით, წინასასეზონო ტესტებზე FW30 სხვადასხვა ფერებში გამოწყობილი წარდგება. ვალენსიაში ის შავი ფერის იყო და კოკპიტზე გუნდში მომუშავე 519-ვე ადამიანის სახელი ეწერა. გარდა ამისა, ბოლიდს ნაწერილი აქვს იმ 85 ბრენდის ლოგო და დასახელება, რომლებიც გუნდს მისი არსებობის განმავლობაში სპონსორობას უწევდნენ და ფაქტობრივად, მის წარმატებებში ღებულობდნენ მონაწილეობას.



ჩაგაევი სკელტონს ბომბავს

## კრივი

ზემძიმე წონა

# ჩაგაევმა ტიტული დაიცვა

ზემძიმე წონაში კრივის მსოფლიო ასოციაციის (WBA) ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონმა, უზბეკმა **რუსლან ჩაგაევმა**, გერმანიის ქალაქ დიუსელდორფში ბრიტანელ **მეტ სკელტონთან** იბრძოლა და პირველად დაიცვა ტიტული. 12 რაუნდის ჯამში, სამივე მსაჯმა უზბეკის უპირატესობა დააფიქსირა.

დასაწყისში ბრიტანეთის თანამეგობრობის ჩემპიონი, 40 წლის სკელტონი გაცილებით აქტიური იყო. მაგრამ მეოთხე რაუნდში მას დაღლა დაეტყო, რითაც კარგად ისარგებლა ჩაგაევმა (24-0, 17 ნოკაუტი), რომელიც თავისი ცაცია ჯებით იოლად ახერხებდა მეტოქის დაცვის გარღვევას.

სკელტონი (21-2) სულ ექვსი წელია, რაც მოკრივეა. კრივში მოსვლამდე ის კიკბოქსინგში გამოდიოდა. ბრძოლამდე ბრიტანელი ირწმუნებოდა, რომ ჩაგაევის დამარცხება შეუძლია. *"ის ტაისონის სტილში იბრძვის, მაგრამ რეალურად, მაიკზე გაცილებით სუსტია. ის ყოველთვის წინ მიიწევს და ბრძოლის ადრე დასრულებას ცდილობს. მას ფეთქებადი სტილი აქვს და თუ სივრცეს დავუთმობ, კარგი დღე არ დამადგება. მაგრამ მე მისთვის სივრცის დათმობას არ ვაპირებ"*, - ამბობდა სკელტონი.

რეალურად კი მას თავისი ჩანაფიქრის განხორციელების საშუალება დაღლამ არ მისცა. ჩაგაევი, ვინც მეტოქეზე დაახლოებით, 8 კილოგრამით მსუბუქია, ბრძოლის დროს სხარტად ირჯებოდა. მისი კომბინაციები ხშირად აღწევდა მიზანს.

*"ვიცოდი, რომ მოგების მცირე შანსი მქონდა, მაგრამ მაინც ვცადე. სამწუხაროდ, მწვერვალს ვერ მივაღწიე"*, - განაცხადა სკელტონმა, ვინც ალბათ ამ მარცხის შემდეგ, თავის სპორტულ კარიერას დაასრულებს.

ორმა მსაჯმა უზბეკის უპირატესობა 117-111 ფარდობით გამოხატა, ერთმა კი ანგარიში 117-110 დააფიქსირა.

შეგახსენებთ, რომ ჩაგაევმა, ვინც მოყვარულებს შორის მსოფლიოს ორგზის ჩემპიონია, WBA-ის ტიტული შარშან, მას შემდეგ მოიპოვა, რაც კრივის ისტორიაში ყველაზე მძიმე და დიდი ჩემპიონი, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** დაამარცხა.

სკელტონის დამარცხების შემდეგ, ჩაგაევმა განაცხადა, რომ მისი მთავარი მიზანი ოთხივე პრესტიჟული საკრივო გაერთიანების ტიტულების დაუფლებაა. *"ჩემი მიზანი ოთხივე ტიტულის მოპოვებაა. ვინ იქნება მომდევნო მეტოქე? ეს სულერთია, ამაზე ჩემი მენეჯმენტი იზრუნებს"*, - ამბობს ჩემპიონი.

## ჩოგბურთი

ავსტრალიის ღია პირველობა

# ჩემპიონი შინ გაუშვეს

მელბურნ პარკის კორტებზე გრძელდება ავსტრალიის ღია პირველობა, რომელზეც უკვე მეოთხედფინალური შეხვედრები გაიმართა. ორივე ბადეში ორ-ორი შეხვედრა ჩატარდა, რომელთა შედეგად, ტურნირს მისი ან უკვე ყოფილი ჩემპიონი, ამერიკელი **სერენა უილიამსი** და მსოფლიოს პირველი ჩოგანი, ბელგიელი **ჟუსტინ ანენ** გამოეთიშნენ. ნახევარფინალური საგზურები კი რუსმა **მარია შარაპოვამ** და სერბმა **ელენა იანკოვიჩმა**, ასევე ფრანგმა **ჟო-ვილფრედ ცონგამ** და ესპანელმა **რაფაელ ნადალმა** ოიპოვეს.

ჟუსტინს შარშანდელი უიმბლდონის შემდეგ, თამაში არ წაეგო (ზედიზედ 32 მოიგო), მაგრამ ძლევამოსილი ბელგიელი გუშინ შარაპოვამ დააჩოქა. 2002 წლის შემდეგ, მან სეტი მშრალი ანგარიშით პირველად დათმო.

თამაშის წინ, სპეციალისტების უმეტესობა უპირატესობას ჟუსტინს ანიჭებდა. მითუმეტეს, ბელგიელს თავისი რუსი ოპონენტი წინა რვა შეხვედრიდან ექვსში დაუმარცხებია. მაგრამ ამჯერად, ყველანაირი სტატისტიკა თავდაყირა დააყენა და ყველა სათამაშო კომპონენტში დაჯაბნა თავისი მეტოქე, ვისაც ეს ტურნირი 2004 წელს აქვს მოგებული.

*"საშინლად ვითამაშე, მაგრამ ახლა ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ფაქტია, რომ მე შინ ვბრუნდები, ის კი ტურნირს აგრძელებს. რა თქმა უნდა, განბილებული ვარ, მაგრამ მარიამ აშკარად მაჯობა. ძნელია, ყოველთვის საუკეთესო ფორმაში იყო. კარგად თამაშს ხანდახან ჩავარდნებიც მოსდევს. მეც ასე მომივიდა. ვეცდები, ეს აღარ განმეორდეს"*, - განაცხადა ჟუსტინმა, ვინც ტურნირის ფავორიტად შარაპოვა დაასახელა.

შარაპოვა პირველ სეტში 5:2 დაწინაურდა, მაგრამ შემდეგ ბელგიელმა ზედიზედ ორი გეიმი მოიგო და სეტის გადარჩენის შანსი გაუჩნდა. თუმცა, აქედან მოყოლებული, მეტოქემ ერთი გეიმის მოგების შანსიც კი არ დაუტოვა. ნამტჩევს ჟუსტინმა განაცხადა, რომ მუხლის ტრავმა აწუხებს, თუმცა ისიც დასძინა, რომ წაგებას ამ ტრავმას არ აბრალებს.

სერენამ ორ სეტში წააგო იანკოვიჩთან შეხვედრა, რის შემდეგაც, ჟურნალისტებს ბევრი აბდა-უბდა მოუყვა იმაზე, რომ ბურთს ხეირიანად ვერ ურტყამდა და რაღაც (არ დაუზუსტებია) ტრავმაც აწუხებდა.

*"მგონი, გავგიჟდი. აბა, სხვა რას დავაბრალო ამდენი შეცდომა? ისე ვერ ვითამაშე, როგორც ვისურვებდი. გარკვეული პრობლემები მქონდა, მაგრამ წაგება მხოლოდ ჩემი ბრალია. არც მოწოდება გამომდიოდა, როგორც ვისურვებდი, ვერც სწრაფად გადაადგილებას ვახერხებდი. რაღაც არ მიშვებდა. ნებისმიერ შემთხვევაში, ელენამ შესანიშნავად ითამაშა"*, - განაცხადა ამერიკელმა.

სხვათა შორის, გუშინვე სერენამ და მისმა დამ, **ვენუს უილიამსმა** წყვილთა მეოთხედფინალშიც წააგეს. ისინი სამ სეტში 3:6, 6:4, 6:2 დაამარცხა ჩინელების, **იან ზისა** და **ჭენ ძის** დუეტმა, რომელიც ავსტრალიის ღიას ყოფილი ჩემპიონია.

რაც შეეხება იანკოვიჩს, მან ძლივს გაიარა პირველი ორი წრე და რა თქმა უნდა, სერენასთან შეხვედრაშიც აუტსაიდერად მოიხსენიებოდა. სერბს სეზონებს შორის ცხვირის ძგიდის ოპერაცია გაუკეთებია და რამდენიმე მიკროტრავმა აწუხებს, მაგრამ სერენასთან ისე ითამაშა, რომ მას მოგების მცირე შანსიც არ დაუტოვა.

*"ჩემპიონის დამარცხება, თანაც ისეთი ჩემპიონისა, როგორიც სერენაა, ისეთი რამაა, რაც ხშირად არ ხდება. შარშან აქ მასთან მეოთხე წრეში დავმარცხდი. ჰოდა, ახლა რევანში ავიღე. ტურნირის დაწყებამდე, ნახევარფინალში გასვლაზე ოცნებაც არ შემეძლო. ახლა კი სწორედ ნახევარფინალში ვარ. არ ვიცი, ეს როგორ შევძელი, მაგრამ ფაქტია, რომ შევძელი და ეს შესანიშნავია"*, - ამბობს იანკოვიჩი, ვინც ფინალის საგზურისთვის შარაპოვას დაუპირისპირდება.

რაც ახალი სეზონი დაიწყო, იანკოვიჩმა ჯერ კანჭის ტრავმა მიიღო, ავსტრალიის ღიას დაწყებამდე, მხარსა და წელში ტკივილებს უჩიოდა. სერენასთან შეხვედრების დროს კი მასაჟისტის დახმარება დასჭირდა, რომელმაც მარცხენა ბარძაყის დაჭიმული კუნთი დაუმუშავა.

*"რა თქმა უნდა, ძალიან მინდა, რომ თამაშის დროს არანაირი ტკივილი არ მაწუხებდეს, მაგრამ იმასაც ვიტყვი, რომ როცა რამე მტკივა, უკეთაც კი ვთამაშობ, უფრო მობილიზებული და მიზანსწრაფული ვხდები"*, - ამბობს იანკოვიჩი.

მათ შორის, ვინც გუშინ ნახევარფინალის საგზურს დაეუფლა, გაწუთუსავი მხოლოდ ერთი – ჟო-ვილფრედ ცონგაა, რომელმაც სამ სეტში მოუგო რუს **მიხაილ იუჟნის** და კარიერაში პირველად მიაღწია დიდი სლემის ტურნირის ნახევარფინალს.

*"მინდა ვიტირო, ვიცინო და ბევრი სიგიჟე მოვიმოქმედო. ახლა ემოციების მოზღვავება მაქვს და არ ვიცი, ეს სიხარული სიტყვებით როგორ გამოვხატო. იუჟნისთან აშშ-ის ღიაზეც მითამაშია და ვიცოდი, მისი ძლიერი და სუსტი მხარეები, თუმცა ამჯერად მან სულ სხვაგვარად ითამაშა"*, - განაცხადა ცონგამ.



ცონგა გამარჯვებას ზეიმობს

რაც შეეხება ნადალს, მან სამ სეტში გაასალა ფინელი **იარკო ნიემინენი**, რის შემდეგაც განაცხადა, რომ თავადაც გაკვირვებულია იმით, რომ ასე შორს გასვლა შეძლო. მისი გაკვირვება გასაგებია – მსოფლიოს მეორე ჩოგანი დიდი სლემის ჰარდის ტურნირებზე (ავსტრალიის და აშშ-ის ღია) აქამდე მეოთხედფინალს იქით არასოდეს გასულა.

*"იმაზე უკეთ ვთამაშობ, ვიდრე ვვარაუდობდი. მეოთხედფინალის გადალახვა ყოველთვის მნიშვნელოვანია და მიხარია, რომ ამჯერად ეს შევძელი. და ფინალში გასვლასაც შევძლებ, მაშინ მართლაც ბედნიერი ვიქნები"*, - განაცხადა ნადალმა, ვისაც ჯერ სეტიც არ წაუგია.

ესპანელს ერთადერთი პრობლემა პირველი სეტის მიწურულს შექმნა, როცა ნიემინენს სეტ პოინტი ჰქონდა. თუმცა, ნადალმა ის ქულაც მოიგერია და აქედან მოყოლებული, ყველანაირად დაჯაბნა მეტოქე. ნახევარფინალში მას მეტოქეობას ცონგა გაუწევს.

**კაცები. მეოთხედფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 2)-იარკო ნიემინენი (ფინ, 24) 7:5, 6:3, 6:1**
**ჟო-ვილფრედ ცონგა (საფრ)-მიხაილ იუჟნი (რუს, 14) 7:5, 6:0, 7:6(6)**

**ქალები. მეოთხედფინალი**

**მარია შარაპოვა (რუს, 5)-ჟუსტინ ანენი (ბელგ, 1) 6:4, 6:0**
**ელენა იანკოვიჩი (სერბ, 3)-სერენა უილიამსი (აშშ, 7) 6:3, 6:4**


ერთიანი სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაბაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
დავით თავართქილაძე
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე),
გივი ვეშაპიძე,
ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი



ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დიღომი, ახალი კონოსტუდია, პირველი სართული);

ტელეფონი: 46 30 98
46 30 56, 46 32 62
899 55 48 97 (მთ. რედაქტორი)
53 39 11

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა